www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი 6 ნოემბერი, 2009 წელი. №243 (2281) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიჭქიანი ნომერი
*2424

"ტორი"-ს ახალი ევროპული პოლიტიკა

A8



დიდი განაწილება

A10



თემურ ქეცბაია ნაკრებში ბრუნდება

A13



24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვეის სადაზღვევო ჯგუფი

# პროვოკაციები უფრო და უფრო სერიოზულდება

დიმიტრი ავალიანი

*რუსი სამხედროები საქართველოს წინააღმდეგ ახალი პროვოკაციული ბრალდებებით გამოდიან. მოსკოვში აცხადებენ, რომ საქართველო, უკრაინის, ნატო-სა და აშშ-ს წაქეზებით, ახალი ომისთვის ემზადება. საქართველოს მხრიდან შესაძლო "აგრესიისა" არც რუს ექსპერტებს სჯერათ. თუმცა, ჩრდილოეთ კავკასიაში ჯარების მობილიზებას რუსეთი სწორედ ამ საბაბით აგრძელებს.*

რუსეთის გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს (გრუ) უფროსმა ალექსანდრე შლიახტუროვმა "მზვერავის დღე" თავისებურად აღნიშნა. მან საქართველო ომის დაწყების გეგმებში კიდევ ერთხელ დაადანაშაულა.

**"სიტუაცია საქართველოსთან დაკავშირებით დაძაბული რჩება იმის გამო, რომ საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება არა მხოლოდ უარს ამბობს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის აღიარებაზე, არამედ ამ დამოუკიდებელი ქვეყნების თავის იურისდიქციაში დაბრუნებას ცდილობს,"** - განაცხადა შლიახტუროვმა.

მისი აზრით, სიტუაციის **"სალად გააზრებაში"** (ანუ ოკუპირებული რეგიონების აღიარებაში) საქართველოს უცხო ქვეყნები "უშლიან ხელს", რომლებიც მას შეიარაღებას აწვდიან.

გრუ-ს მონაცემებით, საქართველო დღესაც იღებს სამხედრო დახმარებას ნატო-ს ქვეყნებიდან, ისრაელიდან და უკრაინიდან. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთევროპელი წევრები, რუსული დაზვერვის მონაცემებით, საქართველოს მსუბუქ შეიარაღებას და აღჭურვილობას აწვდიან, ისრაელი - უპილოტო საფრენ აპარატებს, ხოლო უკრაინა - ტანკებსა და ჰაერსაწინააღმდეგო შეიარაღებას.

რუსული სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელის განცხადებაზე დაყრდნობით, რუსული მედია უმალვე გაივსო ცნობებით იმის შესახებ, რომ საქართველო ახალ ომს ამზადებს. რუსულმა სააგენტოებმა გენერალური შტაბის უცნობი წარმომადგენლის კომენტარიც გაავრცელეს, რომელმაც უკვე უკრაინის ხელისუფლება დაადანაშაულა საქართველოსთვის შეიარაღების მიწოდების გზით ახალი ომის პროვოცირებაში.

რუსეთის ხელისუფლების მხრიდან უკრაინის მიმართ ბრალდებები აგვისტოს ომის შემდეგ მუდმივად ისმის. რუსეთის პრეზიდენტმა უკრაინელი კოლეგა თავის საგანგებო ვიდეომიმართვაშიც დაადანაშაულა. თუმცა როგორც ვიქტორ იუშჩენკო, ასევე უკრაინის სხვა ოფიციალური პირები აცხადებდნენ, რომ არც გაერო-ს და არც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციას საქართველოსთვის იარაღის მიწოდებაზე ემბარგო არ შემოუღია, შესაბამისად, უკრაინა საქართველოსთან უკვე გაფორმებული კონტრაქტების შესრულებას განაგრძობს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# 6 სამხედრო 900 ტანკის პირისპირ

## პოლონეთი ამერიკელებს რუსეთისგან დაცვას სთხოვს

მარიკა იაშვილი

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რადოსლავ სიკორსკი ამერიკის ხელისუფლებას რუსეთის შესაძლო სამხედრო აგრესიისგან დაცვის მიზნით პოლონეთის ტერიტორიაზე შეიარაღებული ძალების განთავსებისკენ მოუწოდებს.

ვაშინგტონში გამართული პრესკონფერენციის დროს სიკორსკიმ გაიხსენა, რომ სულ ცოტა ხნის წინ რუსეთმა და ბელარუსმა პოლონეთის ტერიტორიის მახლობლად ერთობლივი სამხედრო წვრთნები ჩაატარეს, რომელშიც ასობით ტანკი მონაწილეობდა. ამავდროულად, სიკორსკის თქმით, პოლონეთში ამ დროისთვის სულ ექვსი ამერიკელი სამხედრო მოხელე იმყოფება. **"თქვენ რომ ერთ მხარეს 900 ტანკი გყავდეთ, ხოლო მეორე მხარეს 6 სამხედრო, ეს დაგამშვიდებდათ?"** - აცხადებს სიკორსკი.

გაგრძელება A8 გვერდზე



*პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რადოსლავ სიკორსკი*

# ყველასთვის ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების მთავარი პირობა

## "არაგონივრული სახელმწიფო ბაჟი, რომელიც ზიანის მომტანია ქვეყნის პრესტიჟისთვის"

ინგა ალავიძე
თამარ კაციტაძე

*ბოლო პერიოდში ხშირად ისმის საყვედური იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო ბაჟის რაოდენობა საკმაოდ დიდია, რის გამოც, ადამიანები პრობლემის სასამართლოში განხილვაზე უარს ამბობენ. ექსპერტთა განცხადებით, სამართლებრივ დავის არსებობის შემთხვევაში მოქალაქის პირველი შეკითხვა სახელმწიფო ბაჟის ოდენობას ეხება და ძალზე ხშირია შემთხვევები, როცა ბაჟის სიდიდიდან გამომდინარე, უარს ამბობენ არსებული პრობლემის სამართლებრივ მოგვარებაზე. პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში ამ საკითხზე მუშაობენ, ბაჟის რაოდენობის დაწევასთან დაკავშირებით პროექტი მზადდება და უახლოეს მომავალში მართლმსაჯულება ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი გახდება.*

ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში, სადაც ლიბერალური კანონები მოქმედებს და მართლმსაჯულების სისტემა დემოკრატიულ პრინციპებზეა დამყარებული სასამართლოს ხელმისაწვდომობა გარანტირებული და დაცული უნდა იყოს.

გაგრძელება A6 გვერდზე

## ქართველების წინააღმდეგ მებრძოლები დააჯილდოვეს

ოჩამჩირეში ქართველების წინააღმდეგ ბებრძოლი ბოევიკები დააჯილდოვეს.

აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის ხელმძღვანელმა ჯილდოები იმ ბოევიკებს გადასცა, რომლებმაც თავი სხვადასხვა დროს ქართველებთან ბრძოლაში გამოიჩინეს. სერგეი ბაღაფშმა რაიონში რუსეთის დაფინანსებით აშენებული სპეცდანიშნულების ცენტრის ბაზაზე შეიარაღებაც დაათვალიერა. "ჯი-ეიჩ-ენის" ინფორმაციით, ბაზაზე ძალოვანი მინისტრების საგანგებო თათბირი მოეწყო. "მინდა მოგილოცოთ ის, რომ ჩვენ რუსეთის ფედერაციის დახმარებით შევძელით კარგი ცენტრის გახსნა. შევქმენით ბაზა, რომელიც სრულყოფილი არ არის, მაგრამ მალე გახდება. მინდა ხაზი გავუსვა თქვენი სამსახურის მნიშვნელობას. დღევანდელ რთულ დროში, როდესაც მრავალი საფრთხის წინაშე ვიმყოფებით, სპეცდანიშნულების რაზმების მომზადებას, რაღა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა და ის უნდა დავიცვათ", - განაცხადა ბაღაფშმა.

## დიმიტრი შაშკინი ევროკავშირის ქვეყნების ელჩებს შეხვდა

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი დიმიტრი შაშკინი ევროკავშირის ქვეყნების ელჩებს შეხვდა.

სამინისტროს ცნობაზე დაყრდნობით, "ჯი-ეიჩ-ენი" ავრცელებს ინფორმაციას, რომ მინისტრმა სტუმრებს საქართველოში დემოკრატიული რეფორმების მეორე ტალღის მიმდინარეობის პროცესი და პენიტენციალურ სისტემაში განხორციელებული რეფორმები გააცნო.

საუბარი შეეხო კონსტიტუციის ახალ პროექტს, სასამართლო სისტემის გაძლიერებას, საარჩევნო რეფორმებს, პოლიტიკური პარტიების განვითარების ხელშეწყობას, კონტროლის პალატის ახალ კანონს, ქვეყნის მმართველობაში ოპოზიციის მონაწილეობისთვის ინსტიტუციონალური გარანტიების გაძლერებასა და მედიის პლურალიზმის ხელშეწყობას.

ამასთან, მინისტრმა სასჯელაღსრულების სისტემაში გატარებულ რეფორმებზე და პატიმრობის ახალ კოდექსზეც ისაუბრა, რომელიც მსჯავრდებულთა რეაბილიტაციაზე, საზოგადოებაში მათს ინტეგრაციასა და პრობაციის სისტემის განვითარებაზეა ორიენტირებული.

## BSEC-ის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრთა სხდომა

ბაქოში, **BSEC**-ის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრთა სხდომა გაიმართა.

საქართველოს დელეგაციას საგარეო ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე გიორგი კარბელაშვილი ხელმძღვანელობდა. "ჯი-ეიჩ-ენის" ინფორმაციით, მან სიტყვით გამოსვლისას რუსეთის ფედერაციას საერთაშორისო სამართლის ნორმების, პრინციპებისა და საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის აქტების ღიად დარღვევაში ბრალი კიდევ ერთხელ დასდო.

როგორც სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენი" იუწყება, კარბელაშვილმა ღიად გააკრიტიკა რუსეთის ქმედება, რომელიც მსოფლიოს ნუმერაციის კოდის მე-7 ზონაში ე.წ. "აფხაზეთის რესპუბლიკის" ჩართვას გულისხმობს, "მაშინ როდესაც აფხაზეთი, და სამხრეთ ოსეთი, საქართველოს განუყოფელი ნაწილებია".

ამასთან, მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ ზოგიერთი რუსული კომპანია, როგორც საერთაშორისო, ასევე საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევით, საქართველოს ტერიტორიაზე არალეგალურ საქმიანობას აგრძელებს. ეს კი, საერთაშორისო საკომუნიკაციო სისტემების გამოყენებით რუსეთის ფედერაციის ფიქსირებულ თუ მობილურ ქსელებზე საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო ქსელის ნაწილის პირდაპირ მიერთებით გამოიხატება. ეს ქსელები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზეა განთავსებული. აქვე კარბელაშვილი რუსეთის მხრიდან საქართველოს შეზღუდული ბუნებრივი რესურსებისა (რადიო-სადგურების), (სახელდობრ "მეგაფონის") და მობილური რადიო საკომუნიკაციო ქსელების საშუალებით ტელე-რადიო გადაცემათა მაუწყებლობის განხორციელების საკითხს (სახელდობრ "ORT", "NTV" და "Vesti-FM") შეეხო.

მან კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფართომასშტაბიან აგრესიაზე, შემდგომ ოკუპაციასა და რუსეთის მხრიდან განხორციელებული არალეგალური ქმედებებზე.

კარბელაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ BSEC-ის წევრი ქვეყნები ამ ფაქტს სათანადოდ შეაფასებენ.

მანვე ყველა დელეგაციას თხოვნით მიმართა, რომ მიიღონ შესაბამისი ზომები რუსეთის არალეგალური ქმედებების აღსაკვეთად. მოუწოდა BSEC-ის წევრი ქვეყნების შესაბამის უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციას, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო ზარების განხორციელებისას მხოლოდ საქართველოს საერთაშორისო კოდების შესაბამისად ისარგებლონ.

# არასამთავრობოები და ოპოზიცია ხელისუფლებისადმი მოთხოვნებს აყალიბებენ

არასამთავრობო ორგანიზაციები და ოპოზიციური პარტიები ერთობლივად მუშაობენ რეზოლუციის ტექსტზე, რომელიც 7 ნოემბერს ხელისუფლებას უნდა გაუგზავნონ. როგორც "24 საათს" კობა დავითაშვილმა განუცხადა, კონკრეტულად რა მოთხოვნებს წაუყენებენ მანიფესტანტები ხელისუფლებას, დღეს გახმაურდება.

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხელისუფლებისადმი მოთხოვნები სამპუნქტიანი იქნებოდა. ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ერთ-ერთი მოთხოვნა - პოლიტპატიმრების განთავისუფლება.

მანიფესტაციას, რომლის ინიციატორებიც სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი და არასამთავრობო ორგანიზაციები არიან, თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია უერთდება, მათ შორის "ლეიბორისტებიც". **"სადაც ხალხი იდგება, ჩვენც იქ ვიქნებით,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამ.

სხვებისგან განსხვავებით, "ლეიბორისტები" მიზანშეწონილად არ მიიჩნევენ ხელისუფლებისადმი რაიმე მოთხოვნების წაყენებას. ვინაიდან, მათი აზრით, ეს არანაირ შედეგს არ მოიტანს. **"ილუზიაა იმაზე ფიქრი, რომ ნებისმიერი სერიოზული საკითხი - იქნება ეს პოლიტპატიმრების განთავისუფლება თუ დემოკრატიული პროცესების განვითარება-გაღრმავება, სააკაშვილის რეჟიმის პირობებში გადაწყდება,"** - ასეთია გიორგი გუგავას პოზიცია.

ჯერჯერობით გაურკვეველია, რა ფორმით შეეხმიანება 7 ნოემბერს ირაკლი ალასანიას პარტია "ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები". როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ვიქტორ დოლიძემ "24 საათს" განუცხადა, ისინი 7 ნოემბრისთვის განსაკუთრებულ ღონისძიებას არ გეგმავენ. **"შესაძლებელია, პოლიტიკური განცხადება გავაკეთოთ, შესაძლებელია, გარეთ, ხალხთანაც გავიდეთ, ჯერჯერობით ამის შესახებ გადაწყვეტილება არ მიგვიღია,"** - განაცხადა დოლიძემ. რაც შეეხება ალასანიას ალიანსში ("ალიანსი საქართველოსთვის") შემავალ პარტიას - "ახალ მემარჯვენეებს", ისინი 7 ნოემბრის თარიღის შესახებ პოლიტიკურ განცხადებას გააკეთებენ.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ინციდენტი 62-ე სკოლაში

სალომე გულისაშვილი

***"ასეთი ხუმრობები ყურადღების გარეშე ვერ დარჩება. ასეთ ხუმრობებზე არსებობს კონკრეტული პასუხისმგებლობა,"*** *- ეს განცხადება განათლების მინისტრმა ნიკა გვარამიამ თბილისის 62-ე სკოლაში მომხდარი ინციდენტის შემდეგ გააკეთა. გუშინ იქ ათამდე ბავშვი მოიწამლა.*



"ინტერპრესნიუსის" ფოტო

თავდაპირველად ინფორმაცია სკოლის მასწავლებლებისგან გავრცელდა. მათი აღწერით, დილით სკოლის შენობაში გაზის სუნი იგრძნობოდა, რის შედეგადაც ბავშვებსა და მასწავლებლებს მოწამვლის სიმპტომები - თავბრუსხვევა, გულის რევა და ცრემლდენა დაეწყოთ. საქმე იქამდე მივიდა, რომ საჭირო გახდა ბავშვების კლინიკაში გადაყვანა. მოზარდები სასწრაფო დახმარების 3 მანქანით იაშვილის სახელობის კლინიკასა და რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ინციდენტის გამო გუშინ მთლიანად სკოლის შენობიდან ევაკუაცია მოხდა და სასწავლო პროცესი ჩაიშალა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ბავშვების მოწამვლის მიზეზი ცრემლსადენი ბალონი გახდა, რომელიც თავად მოზარდებმა გამოიყენეს. კერძოდ, სასწავლო პროცესის ჩაშლის მიზნით ინციდენტი ერთ-ერთმა მოსწავლემ მოაწყო, რომლის ვინაობაც ჯერჯერობით დაუდგენელია.

საბედნიეროდ, მოწამვლის ხარისხი მძიმე არ აღმოჩნდა, რის გამოც კლინიკაში მოთავსებული ბავშვები სახლებში გუშინვე დააბრუნეს.

მოწამლული ბავშვები ინციდენტიდან რამდენიმე საათის შემდეგ განათლების მინისტრმა ნიკა გვარამიამ მოინახულა. მინისტრმა ყველას სიფრთხილისკენ მოუწოდა.

**"როგორც მოსწავლეებს, ისე, გასაკუთრებით, მათ მშობლებსა და დირექციას მოვუწოდებ, გამოიჩინონ მეტი პასუხისმგებლობა,"** - განაცხადა მინისტრმა.

62-ე საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი დღეს დილით განახლდება.

# საქართველოს ყატარელი ინვესტორები ეწვევიან

ერთ კვირაში საქართველოს ყატარელი ინვესტორები ეწვევიან. გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტსა და ყატარის უძრავი ქონების საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელებს შორის გამართულ შეხვედრაზე გუშინ იქნა მიღებული.

"ჯი-ეიჩ-ენის" ცნობით, უკვე დადასტურებულია, რომ უცხოელი ბიზნესმენები საკურორტო პროექტებით დაინტერესდნენ. აქედან გამომდინარე, თბილისის გარდა მათი ჩაყვანა ბათუმში, ანაკლიასა და სენაკში იგეგმება.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრი ზურაბ პოლოლიკაშვილი, რომელიც პრეზიდენტთან ერთად ყატარში იმყოფება, ვარაუდობს, რომ წლის ბოლომდე ყატარელ ინვესტორებთან რამდენიმე კონკრეტული პროექტი შეთანხმდება.

ყატარის ყველაზე ძლიერი ფინანსური ჯგუფი - უძრავი ქონების საინვესტიციო კომპანია, რომლის წარმომადგენლებიც საქართველოში ჩამოსვლას გეგმავენ, 5 წლის წინ დაარსდა. ის ევროპის 4 ქვეყანაში 50 მილიარდი დოლარის ინვესტიციებს ახორციელებს.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# პროვოკაციები უფრო და უფრო სერიოზულდება

პირველი გვერდიდან

რუსეთის ხელისუფლებას მოკავშირეები უკრაინის საკანონმდებლო ორგანოშიც გამოუჩნდნენ. აგვისტოს ომის შემდეგ უმაღლეს რადაში საქართველოში იარაღის მიწოდების საკითხზე საგამოძიებო კომისია შეიქმნა, რომელიც პრორუსული ოპოზიციის წარმომადგენლებით დაკომპლექტდა. კომისიის ხელმძღვანელმა ვიქტორ კონოვალიუკმა განაცხადა, რომ საქართველოსთვის უკრაინიდან მძიმე შეიარაღების მიწოდება გრძელდება. კერძოდ, გასულ თვეში დაგეგმილი იყო საქართველოსთვის ტ-84 "ოპლოტის" ტიპის 12 ახალი ტანკის, ასევე ტ-72 ტიპის ტანკების, რამდენიმე ჯავსანტრანსპორტიორის, "ოსა"-ს ტიპის საზენიტო სარაკეტო კომპლექსების, ჰაერსაწინააღმდეგო და ტანკსაწინააღმდეგო რაკეტების გადაცემა.

თუმცა, ზოგიერთი უკრაინელი ექსპერტი ამ ინფორმაციას უარყოფს. როგორც უკრაინაში მოქმედი რაზუმკოვის ცენტრის სამხედრო პროგრამების დირექტორმა ნიკოლაი სნეგუროვსკიმ "ბი-ბი-სი"-ს განუცხადა, **"უკრაინა კარგად აცნობიერებს, რომ კონფლიქტის ზონაში იარაღის მიწოდება მთლად კარგი არ არის."** მისი თქმით, საქართველომ უკრაინიდან საარტილერიო და ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები აგვისტოს ომამდე მიიღო. დღეს კი, მისი აზრით, ყველაზე ძლიერი შეიარაღება, რისი მიწოდებაც საქართველოსთვის უკრაინას შეუძლია, "კრაზ"-ის ტიპის ავტომობილებია.

ქართული და უკრაინული მხარეები ამ საკითხზე ოფიციალურ კომენტარს არ აკეთებენ. ერთადერთი ოფიციალური წყარო, რომელიც ქვეყნებს შორის იარაღით ვაჭრობაზე მონაცემებს შეიცავს, გაერო-ს შეიარაღების რეესტრია, რომელშიც სახელმწიფოების მიერ მიწოდებული ყოველწლიური რეპორტები ქვეყნდება. ამ წყაროს მონაცემებით, 2008 წელს უკრაინამ საქართველოს ერთი ტანკი, ორმოცი ჯავშანმანქანა და ათასზე მეტი ტყვიამფრქვევი მიაწოდა. ამაზე ახალი მონაცემები რეესტრში ჯერჯერობით არ მოიპოვება.

რუსული დაზვერვის ხელმძღვანელმა უკმაყოფილება გამოთქვა საქართველოს შეიარაღებული ძალების მომზადებაში აშშ-ს მხარდაჭერის გამოც, რაც, მისი აზრით, საქართველოს ასევე უბიძგებს რუსეთთან ომის დაწყებისკენ.

მაგრამ, გრუ-ს შეფის ბრალდებებს სკეპტიკურად უყურებენ რუსი ექსპერტებიც. სამხედრო პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელი ანატოლი ციგანოკი მიიჩნევს, რომ საქართველოს მიერ ომის დაწყება მოსალოდნელი არ არის. ექსპერტის ვარაუდით, სამხედრო დაზვერვის ახალ ხელმძღვანელს, რომელიც ამ თანამდებობაზე მიმდინარე წლის აპრილში დაინიშნა, მხოლოდ **"მნიშვნელოვანი განცხადების გაკეთება და საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება სურდა."**

თუმცა, რუსი სამხედროების მხრიდან ახალი ბრალდებები, განსაკუთრებით კი ამ თემის ფართოდ გაშუქება კრემლის მიერ კონტროლირებად მედიაში, საკმაოდ შემაშფოთებლად გამოიყურება, საქართველოს საზღვრებთან თავად რუსეთის სამხედრო მზადების ფონზე. რუსული წყაროების ცნობით, უახლოეს მომავალში რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიაში სამხედრო დაჯგუფებას ოთხჯერ გაზრდის, რასაც რუსი სამხედროები სწორედ "საქართველოს მხრიდან აგრესიის" შესაძლებლობით ხსნიან.

რამდენიმე დღის წინ უკრაინულ სააგენტო "უნიან"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში კი რუსმა სამხედრო ექსპერტმა პაველ ფელგენგაუერმა საქართველოს წინააღმდეგ ახალი აგრესიისთვის რუსეთის მზადებაც არ გამორიცხა.

# ზღვარგადასული მოქმედება

## გორის რაიონიდან გატაცებული მოსწავლეები ცხინვალში იმყოფებიან

დათო გამისონია

*გორის რაიონის სოფელ ტირძნისიდან 4 ნოემბერს საღამოს გატაცებული მოზარდები გუშინ ცხინვალში გადაიყვანეს. მართალია, კოკოითის ხელისუფლება მოქალაქეების დაპატიმრებას ადასტურებს, თუმცა ე.წ. მთავრობა მოზარდების გათავისუფლებისთვის მოლაპარაკების გამართვაზე უარს აცხადებს. ოკუპირებული ზონის ადმინისტრაციული საზღვრის სიახლოვეს ბოლო დროს მოქალაქეთა ხშირ დაპატიმრებას საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები რუსეთის მიერ ქვეყანაში მუდმივი დესტაბილიზაციის შეტანის სურვილს უკავშირებენ.*

როგორც კი ტირძნისის საჯარო სკოლის მოსწავლეები გაუჩინარდნენ, მათი დაკარგვის მიზეზებზე სხვადასხვა ვერსიები გავრცელდა. 14 წლის გიორგი რომელაშვილის და ალეკო საბაძის, 16 წლის ვიქტორ ბუჩუკურის და 17 წლის ლევან ხმიადაშვილის ადგილსამყოფელის შესახებ მხოლოდ კოკოითის შსს-ს მიერ გამოქვეყნებული განცხადების შემდეგ გახდა ცნობილი. მარიონეტული ხელისუფლების ინფორმაციით, მოზარდები ე.წ. შსს-მ დააკავა და ისინი ცხინვალის დროებითი დაკავების საკანში გადაიყვანა, რადგან მათ ოთხი ხელყუმბარა და ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩნდათ. სწორედ ამიტომ, დაკავებულებს ტერორისტული აქტის მომზადების ბრალდება აქვთ წაყენებული. ქართული მხარეს ეს ბრალდება აბსურდულად მიაჩნია. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო დაკავებული 4 მოზარდის დაუყოვნებლივ და უპირობო გათავისუფლებას მოითხოვს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ განაცხადა, რომ **“საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს ახალგაზრდების გამოსახსნელად, მაგრამ მინდა, საერთაშორისო ორგანიზაციებს და დიპლომატიურ კორპუსს ვუთხრა, რომ საუბარია ბავშვების ბედზე. მოვუწოდებ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ყველაფერი გააკეთონ ბავშვების ტყვეობიდან გამოსახსნელად, რათა ისინი საკუთარ სახლებსა და სკოლას დაუბრუნდნენ.”** მინისტრის თქმით, მოზარდების გატაცება ადამიანის უფლებების და ამ შემთხვევაში ბავშვთა უფლებების უმძიმესი დარღვევაა. გვარამიამ იმედი გამოთქვა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები და მათ შორის, საქართველოში მოქმედი ევროპელი დამკვირვებლები შესაძლებლობების მაქსიმუმს გააკეთებენ. **“დღევანდელი მდგომარეობა ყველა მიმართულებით ქმედობაუნარიანობის მნიშვნელოვანი ტესტია. ვიმედოვნებ, რომ ამ ბავშვებს პრობლემები ძალიან მალე მოეხსნებათ,”** - განაცხადა ნიკა გვარამიამ.

“24 საათი” ესაუბრა ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის ფარგლებში შექმნილ ჯგუფში ქართული მხარის წარმომადგენელ შოთა უტიაშვილს. მისი თქმით, **“ჯერჯერობით ოსურ და რუსულ მხარესთან მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს, რადგან ისინი არ გამოდიან კავშირზე. ბავშვების დაჭერას თუ დაიწყებდნენ, ნამდვილად არ გვეგონა.”** მან დასძინა, რომ **“დავუკავშირდით ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას და ისინი ჩართულნი არიან პროცესში.”**

ბოლო დროს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის სიახლოვეს მოქალაქეების გატაცებები გახშირდა, უტიაშვილი სიტუაციის გამწვავებას რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო ნაწილების გადაწყვეტილება განაპირობებს. **“რუსებმა თქვეს, რომ პირველ ნოემბერს ჩაკეტავდნენ საზღვარს და ახლა უნდათ, შექმნან შთაბეჭდილება, რომ თითქოს მართლა შეასრულეს მუქარა,”** - მიიჩნევს უტიაშვილი.

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე გოკა გაბაშვილი მოსწავლეების დაკავებას მოსკოვის გეგმებით ხსნის. მან “24 საათთან” საუბარში განაცხადა, რომ **“ადამიანთა გატაცებები ოკუპანტების მიზანმიმართული პოლიტიკაა, რათა მუდმივად იყოს დაძაბულობა და პროვოკაციები. გარდა იმისა, რომ ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებული აქვთ, საქართველოზე დამატებით ამ სახით ზეწოლას და შანტაჟს იყენებენ. ამ მიზნით რუსეთის ხელისუფლება საქართველოს წინააღმდეგ მწვავე განცხადებებსაც აკეთებს. მათი ამოცანა მხოლოდ ის არ არის, რომ ეს ოკუპირებული ტერიტორიები თავის სამხედრო კონტროლის ქვეშ ჰქონდეთ, არამედ რუსეთის ხელისუფლებას ასევე სურს, რომ საქართველოში, როგორც სახელმწიფოში, მუდმივი დესტაბილიზაცია არსებობდეს.”** გაბაშვილი დასძენს, რომ **“ინციდენტები, რომლებშიც საქართველოს მოქალაქეები ხვდებიან, ძალიან მძიმეა ჩვენთვის, რადგან ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებას ეხება.”** საპარლამენტო უმრავლესობის წევრის აზრით, დღეს შექმნილ ვითარებაში საქართველო ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 12 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების ერთგული უნდა დარჩეს. მისი თქმით, აუცილებელია ხელმოწერილი დოკუმენტი საქართველომ ისევე პირნათლად შეასრულოს, როგორც აქამდე ასრულებდა. ამავე დროს, დეპუტატის თქმით, **“ძალიან პრინციპული პოზიცია უნდა გამოვხატოთ დიპლომატიურ ასპარეზზე. ჩვენს მოკავშირეებს მუდმივად უნდა ვთხოვდეთ და მათგან მოვითხოვდეთ, რომ რუსეთზე ზეწოლა განახორციელონ, რათა მან შეცვალოს ეს ტაქტიკა.”** მისი თქმით, ერთადერთი გამოსავალია, ადგილზე მყოფ დამკვირვებლებთან და პლუს საქართველოს მოკავშირე ქვეყნების მთავრობებთან აქტიური მუშაობა.

### აღიარების საკითხის მოსამზადებლად სამუშაო ჯგუფი შეიქმნა

გუშინ, 5 ნოემბერს, ბელორუსის პარლამენტის წარმომადგენელთა პალატამ იმ სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების განხილვის საკითხს მოამზადებს და შემდეგ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ე.წ. პარლამენტების მიმართვას ბელორუსის პარლამენტს გადასცემს განსახილველად.

ბელორუსის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა ვლადიმერ მაკეიმ რადიო "თავისუფლების" ეთერში განაცხადა, რომ ბელორუსის პარლამენტი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხს უახლოეს დღეებში, შესაძლოა, მიმდინარე კვირას, განიხილავს.

მაკეის განმარტებით, დეპუტატები აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების გამოტანისას აპირებენ, საზოგადოების აზრს დაეყრდნონ. "საზოგადოების აზრი კი ამ საკითხის ირგვლივ არაერთგვაროვანია".

მიმდინარე თვის მეორე ნახევარში ბელორუსის პარლამენტის დეპუტატები სეპარატისტულ აფხაზეთს, ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს ეწვევიან. ბელორუსის პარლამენტის საერთაშორისო და დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის სერგეი მასკევიჩის განმარტებით, შეხვედრის მიზანი სიტუაციის ადგილზე გაცნობა და დეფაქტო ტერიტორიების აღიარებასთან ან არაღიარებასთან დაკავშირებით სწორი გადაწყვეტილების მიღებაა.

მასკევიჩი იმედს იტოვებს, რომ "მათ ექნებათ საშუალება, ამ ქვეყნების პოლიტიკურ ხელმძღვანელობებს, პარლამენტის წევრებსა და მოსახლეობას შეხვდნენ".

შეგახსნებთ, რომ საქართველოს ორმა სეპარატისტულმა რეგიონმა ბელორიუსის პარლამენტს მათი ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების თხოვნით, დაახლოებით, ერთი წლის წინ მიმართა. რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ამ ორი რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობა ამჟამად რუსეთს, ვენესუელას, ნიკარაგუასა და რამდენიმე ტერიტორისტულ ორგანიზაციას აქვს აღიარებული.

### შალვა ნათელაშვილი აშშ-ში გაემგზავრა

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ლიდერი, შალვა ნათელაშვილი აშშ-ში გაემგზავრა. ამ ინფორმაციას სააგენტო "ჯი-eიჩ-ენის" ავრცელებს.

ნათელაშვილმა ჟურნალისტებისათვის აეროპორტში გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნა, რომ მას შეხვედრები ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში პოლიტიკური წრეების, გაეროს წარმომადგენლებთან და დიპლომატებთან აქვს დაგეგმილი.

"შეხვედრის თემა არის უცვლელი - როგორ გადავარჩინოთ საქართველო, როგორ გავაერთიანოთ ამერიკის, გაეროს, რუსეთის ძალისხმევა დაშლილი საქართველოს აღსადგენად და როგორ გამოვიდეთ იმ დიქტატურული რეჟიმიდან, რომელშიც თავი ამოვყავით", - აღნიშნა შალვა ნათელაშვილმა.

### 12 ნოემბერს საქართველო-ბელორუსიის ბიზნეს-ფორუმი გაიმართება

12 ნოემბერს სასტუმრო "რედისონში", 12.00 საათზე, საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით საქართველო-ბელორუსიის ბიზნეს-ფორუმი გაიმართება.

ბელორუს ბიზნესმენთა დელეგაციეს,"ჯი-eიჩ-ენის" ინფორმაციით, ბელორუსიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე ვასილი რომანოვი ხელმძღვანელობს.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან ბიზნესმენები სხვადასხვა სექტორიდან, მათ შორის ალკოჰოლური სასმელების, მინერალური წყლების, ციტრუსის, ხურმის, ბროწეულის, ჩაის, ჯემების, თხილის, ქიშმიშის, წვენების კონცენტრატების იმპორტიორი კომპანიები, ასევე წყლის ტუმბოების, სამედიცინო აღჭურვილობის, პროფესიონალური სარეცხი ფხვნილების და სადეზინფექციო საშუალებების, ტრანსფორმატორების და ელექტრო-გამანაწილებელი მოწყობილობების, გადამზიდავი სატრანსპორტო საშუალებების, საბურავების, ავეჯის დასამზადებელი აღჭურვილობების და საკვები პროდუქტების ექსპორტიორები.

ბიზნესფორუმზე მისასალმებელი სიტყვის შემდგომ ორმხრივი შეხვედრები ქართველ და ბელორუს ბიზნესმენებს შორის გაიმართება.

## საქართველო-ბელორუსის ბიზნესფორუმი გაიმართება

12 ნოემბერს სასტუმროში "რედისონში", 12.00 საათზე საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით გაიმართება საქართველო-ბელორუსის ბიზნესფორუმი.

ბელორუს ბიზნესმენთა დელეგაციას ბელორუსის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე ვასილი რომანოვი ხელმძღვანელობს.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან ბიზნესმენები სხვადასხვა სექტორიდან, მათ შორის

ალკოჰოლური სასმელების, მინერალური წყლების, ციტრუსის, ხურმის, ბროწეულის, ჩაის, ჯემების, თხილის, ქიშმიშის, წვენების კონცენტრატების იმპორტიორი კომპანიები, ასევე წყლის ტუმბოების, სამედიცინო აღჭურვილობის, პროფესიონალური სარეცხი ფხვნილების და სადეზინფექციო საშუალებების, ტრანსფორმატორების და ელექტრო-გამანაწილებელი მოწყობილობების, გადამზიდავი სატრანსპორტო საშუალებების, საბურავების, ავეჯის დასამზადებელი აღჭურვილობების და საკვები პროდუქტების ექსპორტიორები.

ბიზნესფორუმზე მისასალმებელი სიტყვის შემდგომ გაიმართება ორმხრივი შეხვედრები ქართველ და ბელორუს ბიზნესმენებს შორის.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ხელისუფლება სიგარეტის ქართველ ექსპორტიორებს წარმოების გადასარჩენად გზას "აგრესიულად" გაუხსნის

საქართველოს ფინანსთა მინისტრ კახა ბაინდურაშვილის განცხადებით, ხელისუფლება სიგარეტის ქართველ ექსპორტიორებს გზას "აგრესიულად" გაუხსნის შავი ზღვის აუზის ქვეყნებში. მისი თქმით, ეს წარმოების გადასარჩენად მნიშვნელოვანი გზა იქნება.

ბაინდურაშვილის თქმით, ადგილობრივი და იმპორტული წარმოების თამბაქოზე აქციზის გადასახადის გათანაბრება საქართველოს მხრიდან იძულებითი ნაბიჯი იყო.

"მთავრობას კარგად ესმის იმ საფრთხეების შესახებ, რასაც აღნიშნული გადაწყვეტილება გამოიწვევს, მაგრამ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნის შეუსრულებლობა პრობლემებს შეუქმნის საქართველოს, როგორც ევროკავშირთან, ასევე აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებებში," - განაცხადა ბაინდურაშვილმა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## საქართველოს ყატარელი ინვესტორები ეწვევიან

ერთ კვირაში საქართველოს ყატარელი ინვესტორები ეწვევიან. გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტსა და ყატარის უძრავი ქონების საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელებს შორის გამართულ შეხვედრაზე იქნა მიღებული.

უკვე დადასტურებულია, რომ უცხოელი ბიზნესმენები საკურორტო პროექტებით დაინტერესდნენ. აქედან გამომდინარე, თბილისის გარდა მათი ბათუმში, ანაკლეაში და სენაკში ჩაყვანა იგეგმება.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრი ზურაბ პოლოლიკაშვილი, რომელიც პრეზიდენტთან ერთად ყატარში იმყოფება, ვარაუდობს, რომ წლის ბოლომდე ყატარელ ინვესტორებთან რამდენიმე კონკრეტული პროექტი იქნება შეთანხმებული.

ყატარის ყველაზე ძლიერი ფინანსური ჯგუფი - უძრავი ქონების საინვესტიციო კომპანია, რომლის წარმომადგენლებიც საქართველოში ჩამოსვლას გეგმავენ, 5 წლის წინ დაარსდა. ის ევროპის 4 ქვეყანაში 50 მილიარდი დოლარის ინვესტიციებს ახორციელებს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ზურაბ პოლოლიკაშვილი ბიზნესმენებს შეხვდება

დღეს, 6 ნოემბერს, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" ეკონომიკის განვითარების მინისტრი ზურაბ პოლოლიკაშვილი ბიზნესმენებს შეხვდება. როგორც "ჯი-ეიჩ-ენს" ეკონომიკური უწყებიდან აცნობეს, მინისტრი საერთაშორისო სავაჭრო პალატის წევრებთან შეხვედრას გამართავს.

შეხვედრას მინისტრის მოადგილე ზურაბ ალავიძე და საქართველოს საინვესტიციო სააგენტოს უფროსი ირაკლი მაცუკაშვილიც დაესწრებიან.

შეხვედრა საერთაშორისო სავაჭრო პალატის ორგანიზებით გაიმართება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ბაფ-ი საერთაშორისო კონფერენციას მასპინძლობს

ნინო ნარჩემაშვილი




სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" მუშაობა დაიწყო საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფი) მიერ ორგანიზებულმა საერთაშორისო კონფერენციამ "ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის რეგულირება - გამოცდილება, რეალობა, პერსპექტივები". კონფერენციაში თერთმეტი ქვეყნის (ინგლისი, გერმანია, პოლონეთი, თურქეთი, სერბია, ბოსნია-ჰერცოგოვინა, უზბეკეთი, რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, სომხეთი) მარეგულირებელი, პროფესიული, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, საქართველოს სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის, ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები მონაწილეობენ. კონფერენციის გენერალური სპონსორია აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი, სპონსორები კი "ფრაისვოთერჰაუსკუპერსი ცენტრალური აზია და კავკასია ბი-ვი-ს საქართველოს ფილიალი", "იუ-ბი-სი ინტერნეშენალი", შპს "დელოიტი და ტუში", შპს "კონსაუდი", "ბიდიო ჯორჯია".

კონფერენციის მიზანია ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირებაში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და საქართველოში ამ სფეროს მარეგულირებელი ნორმების შემუშავებისას მათი გათვალისწინება. კერძოდ, კონფერენციის მონაწილეები ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების სფეროში თავიანთ ქვეყნებში არსებულ გამოცდილებასა და პრაქტიკულ მაგალითებს წარმოადგენენ. ასევე, განისაზღვრება საბუღალტრო და აუდიტის სფეროში პროფესიული რეგულირების და თვითრეგულირების გამოცდილების რეალობის და პერსპექტივების საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობის მიღწევის გზები.

რა მნიშვნელობა აქვს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში საერთაშორისო სტანდარტებით სარგებლობას? როგორც საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარე რეზო ძაძამია აღნიშნავს, **"ეს ძალზე მნიშვნელოვანია ბიზნესის წარმოების, ინვესტორთა მოზიდვის თვალსაზრისით, რადგან ამა თუ იმ საქმიანობის შესახებ არსებული ინფორმაციის სისწორე და გამჭვირვალობა გადამწყვეტი ფაქტორი გახლავთ ყველა იმ ადამიანისა თუ კომპანიისათვის, ვისაც საქმიანობის წარმატებულად წარმართვა სურს. ასეთ ინფორმაციას კი აუდიტი იძლევა".** მისივე თქმით, კონფერენციის ჩატარების აუცილებლობა იმითაც არის გამოწვეული, რომ არსებული ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში თავიდან იქნას აცილებული ხარვეზები, გამართლებული იყოს საზოგადოების მოთხოვნა და მოლოდინი - უზრუნველვყოთ გამჭვირვალობა.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში აუდიტორული სამსახური 1995 წლიდან ფუნქციონირებს. კანონიც ამ სფეროში სწორედ აღნიშნულ პერიოდშია მიღებული. შესაბამისად, კანონმდებლობა შეცვლას საჭიროებს. რეზო ძაძამიას თქმით, **"უკვე მომზადდა და საქართველოს პარლამენტს გადაეცა კანონპროექტი "ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტორული მომსახურების შესახებ," მაგრამ საჭიროა მასში ცვლილებების შეტანა. დღის წესრიგში დგას კონფერენციის მუშაობაში მონაწილე ქვეყნების გამოცდილების გაზიარებით, პარლამენტისათვის წინადადებების მიწოდების საკითხი."**

ორგანიზაცია "ქორფორეით სოლუშენ"-ის ("ქორფორეით სოლუშენ" წარმოადგენს აზიის განვითარების ბანკის პროექტს, რომელიც საქართველოში, აზერბაიჯანში და სომხეთში ხორციელდება) წარმომადგენელ ჯორჯ ბრიტანის განცხადებით, **"ფინანსური გამჭვირვალობა მნიშვნელოვანია ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. კონფერენცია განიხილავს, როგორ ხდება სხვადასხვა ქვეყნებში ფინანსური გამჭვირვალობის მიღწევა. ამდენად, მისი მუშაობა და შედეგები მნიშვნელოვანია."**

რაც შეეხება კონფერენციის ორგანიზატორ საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციას (ბაფ), ის არის რეგისტრირებული კავშირი, არასამთავრობო, არაკომერციული, პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც დღეისათვის 16 კორპორაციულ წევრს და 4.785 წევრ ფიზიკურ პირს აერთიანებს. არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი. ბაფის ინიციატივით მიღებულ იქნა კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ, საქართველოში დამკვიდრდა პროფესიული თვითრეგულირება, დაფუძნდა პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები აღიარებულ იქნა საქართველოს ეროვნულ სტანდარტებად და სხვა. საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ბაფ-ი აქტიურად მონაწილეობს კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირებაში.

# "ბრიტიშ-ამერიკან ტობაკოს" კონტრაბანდული სიგარეტის წარმოებაში ადანაშაულებენ

კომპანია "საქართველოს თამბაქოს წარმოების" ხელმძღვანელი ზურაბ ბერუაშვილი კომპანია "ბრიტიშ-ამერიკან ტობაკოს" კონტრაბანდული სიგარეტის წარმოებაში ადანაშაულებს. ეს განცხადება ბერუაშვილმა დღეს პარლამენტში ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" გაფართოებულ სხდომაზე გააკეთა.

სხდომაზე ფინანსთან მინისტრის თანდასწრებით განიხილეს ადგილობრივი და იმპორტული წარმოების თამბაქოზე აქციზის გადასახადის გათანაბრების საკითხი.

როგორც ბერუაშვილმა აღნიშნა, აღნიშნული კომპანია სიგარეტს არა მხოლოდ უკრაინაში აწარმოებს, არამედ რუსეთსა და აფხაზეთშიც.

ბერუაშვილის მტკიცებით, დასავლეთ საქართველოში უკვე გამოჩნდა კომპანიის მიერ წარმოებული სიგარეტი აფხაზური აქციზით. მისივე თქმით, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ, საქართველოსგან ადგილობრივი და იმპორტული წარმოების თამბაქოზე აქციზის გადასახადის გათანაბრება სწორედ "ბრიტიშ-ამერიკან ტობაკოს" მოთხოვნის საფუძველზე აიძულა.

"ქრისტიან-დემოკრატები" და მწარმოებლები მიიჩნევენ, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნის შესრულების შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდება კონტრაბანდული სქემა. ლევან ვეფხვაძის თქმით, მასში ჩაერთვებიან საოკუპაციო ძალებიც.

ბერუაშვილის განცხადებით, აღნიშნულ კომპანიასთან დაკავშირებით საქმეც იყო აღძრული დიდი ოდენობის გადასახადების დაფარვის გამოც.

როგორც ფინანსთა მინისტრი კახა ბაინდურაშვილი განმარტავს, საქართველომ აქციზების გათანაბრების გადაწყვეტილება მიიღო არა აღნიშნული კომპანიის მოთხოვნის გამო, არამედ "ევროკავშირის ელჩის დემარშისა და უკრაინის მთავრობის ნოტის საფუძველზე."

მწარმოებლები ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილების 2 წლით გადადებას სთავაზობენ, ან აქციზის ფასების დიფერენცირებას დაბალ და მაღალ ფასიან სიგარეტებზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროში ადგილობრივი მწარმოებლებისა და ექსპერტების შეხვედრა მომდევნო კვირას გაიმართება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

# სარეკლამო ბაზარი გამოცოცხლდა

## ტელევიზიებში სოციალური რეკლამის წილი გაიზარდა

ნინო ნატროშვილი

სარეკლამო ბაზარზე ზაფხულის შემდეგ მცირე გამოცოცხლება შეინიშნება. განვითარების პიკი ბაზარზე 2007 წელს იყო, თუმცა 2008 წლის სექტემბრიდან ბაზარმა დაბლა დაშვება დაიწყო. 2009 წლის ზამთარში კი, ფაქტობრივად, კრიზისის პიკს მიაღწია. არსებული რეცესიის პირობებში სარეკლამო ბაზარზე მზარდი ტენდენციების განვითარება არ არის მოსალოდნელი, მაგრამ 2010 წლის გაზაფხულზე ეკონომიკის რეცესიიდან გამოსვლასთან ერთად სურათი ამ ბაზარზეც შეიცვლება. თუ 2009 წლის გაზაფხულზე სარეკლამო ბაზრის მოთამაშეები 60-პროცენტიან ვარდნაზე საუბრობდნენ, 2009 წლის შემოდგომაზე მკვეთრი ვარდნის შემდეგ 10-15 პროცენტით გაცოცხლდა. ეს ტენდენცია ძირითადად ელექტრონულ მედიაში და გარე რეკლამაზე აისახა. რაც შეეხება ბეჭდურ მედიას, აქ რეკლამის წილი კვლავ 5 პროცენტია. რეკლამის განთავსება ყველაზე ეფექტურად კვლავ ტელევიზიასა და ქუჩაში ითვლება. გამოცოცხლდა ინტერნეტბაზარიც. ინტერნეტში რეკლამის განთავსების წილი ყოველწლიურად იზრდება, რადგან ინტერნეტით სულ უფრო მეტი ადამიანი სარგებლობს და ვებგვერდებზე რეკლამის განთავსება უფრო ხელმისაწვდომია.




ახლახან "აი-პი-ემ"-მა გამოაქვეყნა კვლევა, სადაც ჩანს, რომ 2009 წლის სექტემბრის მონაცემი, ტელევიზიებში რეკლამის რაოდენობის განთავსების თვალსაზრისით, 2008 წლის სექტემბრის მაჩვენებელს მხოლოდ 4 პროცენტით ჩამორჩება. რაც შეეხება თემატიკას, ელექტრონულ მედიაში სოციალური რეკლამა ლიდერობს. "სარეკლამო ბაზრის ტენდენციები მჭიდროდაა დაკავშირებული ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაში არსებულ ტენდენციებთან, რაც გავლენას ახდენს როგორც თვითონ ბაზრის მოცულობაზე, ასევე მის სტრუქტურულ შემადგენლობაზე. 2009 წლის 9 თვის განმავლობაში განთავსებული კომერციული რეკლამა, ხანგრძლივობის მიხედვით, 2008 წლის იგივე პერიოდში განთავსებულ კომერციულ რეკლამაზე 4%-ით ნაკლებია," - ნათქვამია "აი-პი-ემ"-ის კვლევაში.

ცვლილებები, რა თქმა უნდა, რეკლამირებულ სექტორებსაც შეეხო. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე სტაბილური სექტორია კომუნიკაცია. 2008 წელს ამ სექტორში განთავსებული კომერციული რეკლამის ხანგრძლივობა იყო 109643 წმ, ხოლო 2009 წელს - 98129 წმ. კლებამ 10,5% შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ განვითარების თვალსაზრისით, ეს სექტორი ისევ მზარდია. თუმცა 2009 წლის ტოპ 10 სექტორს შორის განთავსებული რეკლამის ხანგრძლივობის მიხედვით, ეს სექტორი მე-4 ადგილზეა.

სარეკლამო ბაზარი, ექსპერტების შეფასებით, გარკვეულწილად კატალიზატორის როლსაც ასრულებს. რეკლამის სეგმენტზე შთამბეჭდავი კლება სამშენებლო და ავტომობილების სექტორში. სამშენებლო ბაზარი ფაქტობრივად სტაგნაციაშია, ხოლო ავტომობილების გაყიდვების მაჩვენებელი თითქმის 80 პროცენტით დაეცა. შემოსავლების შემცირების ფონზე, ამ სფეროში მოღვაწე კომპანიები სატელევიზიო რეკლამებზე ფულს ველარ ხარჯავენ.

რეკლამის მატების ტენდენცია დაფიქსირდა ისეთ სექტორებში, როგორებიცაა: გართობა, მედიცინა, სოციალური რეკლამა და განათლება და დასაქმება. ამ სექტორებში 2009 წელს განთავსებული რეკლამის ხანგრძლივობა მკვეთრად აღემატება 2008 წლის იგივე პერიოდის მონაცემებს. 2008 და 2009 წლის 9 თვის შედეგების შედარება და 2009 წლის ტოპ 10 სექტორის შედეგები ქვემოთ მოყვანილ გრაფიკებზეა ასახული: პერიოდი: სექტემბერი 2008; სექტემბერი 2009. არხები: 1 არხი, 1 სტერეო, იმედი, კავკასია, მაესტრო, მზე, მუზიკ ბოქსი, რუსთავი 2.

# ეკონომიკის დეპრესია - ბანკებში დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი დაეცა

თინა შავაძე

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებულ ტენდენციებს სხვადასხვაგვარად აფასებენ. მიმდინარე წელს ინვესტორები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს უფრო ენდობიან და ფულს აბანდებენ, ვიდრე ბანკებში არსებულ შემოთავაზებას ფულის საიმედოდ განთავსების შესახებ. რატომ მოხდა ასე? - ამის შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძეს ახსნა არ აქვს. სავალუტო ბაზარზე აქტიურობა კვლავაც გრძელდება. 26 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე განთავსდა სახაზინო ვალდებულებათა სამი აუქციონი ჯამური თანხით 30 მლნ ლარი. კვლავ იმატა ბანკების მხრიდან სახაზინო ვალდებულებათა შეძენის ჯამურმა მოთხოვნამ და ის 94 მლნ ლარს გაუტოლდა. გაგრძელდა ბანკთაშორისი სესხის პროცენტის დაწევა (ერთდღიანი ოვერნაიტი) 0.55 პროცენტამდე, ლარის კურსი დოლარის მიმართ თითქმის არ შეცვლილა და გამყარდა ევროს მიმართ, რაც კროსს კურსით გლობალური ბაზრის გავლენაა. ოქროს ფასმა კვლავ იმატა და მსოფლიო ბაზარზე 1095 აშშ დოლარს 1 უნციაში (31.1 გრამი) მიაღწია.

მიმდინარე სიტუაცია ცხადყოფს, რომ საქართველოს ეკონომიკაში, ერთის მხრივ, ძვირი ფულის პოლიტიკა ტარდება, ხოლო მეორეს მხრივ, ეკონომიკური აქტივობა ეცემა. შპს "საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი+"-ის ექსპერტების შეფასებით, ამის ნიშანია დეპოზიტების ზრდა ბანკებში და საპროცენტო განაკვეთის დაცემა. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ეკონომიკა დეპრესიის პერიოდში შედის (კრიზისის ანუ დაცემის შემდგომი ეტაპი). დეპრესიის პერიოდის ხანგრძლივობა და დეპრესიიდან გამოსვლა პირდაპირ არის დამოკიდებული მონეტარულ პოლიტიკაზე. როგორც მსოფლიო კრიზისების ისტორია ცხადყოფს, მხოლოდ ეროვნული პროდუქციისა და წარმოების წახალისებით ხორციელდება ამ პერიოდის დაძლევა, თუმცა საამისოდ საწინააღმდეგო მონეტარული პოლიტიკაა გასატარებელი და არა მიმდინარე ძვირი ფულის პოლიტიკა (ძვირი ფული ადგილობრივ წარმოებას და ექსპორტს აძვირებს და მას არაკონკურენტულს ხდის)

**საქართველოს საფონდო ბირჟა**. აღნიშნულ პრერიოდში საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემის ჯამურმა ბრუნვამ 47,906 ლარი შეადგინა, გასხვისდა 140,353 აქცია და დაიდო 31 გარიგება. სურათი იდენტურია წინა კვირის - აქციებში ძირითადი ბრუნვა სს "საქართველოს სახალხო ბანკის" აქციაზე დაფიქსირდა, ხოლო ფულადი ბრუნვის მეტი წილი სს "საქართველოს ბანკზე" მოდიოდა. ფასის საშუალო მაჩვენებელია ორივე აქციაზე დიდად არ შეცვლილა და წინა მაჩვენებლების გარშემოა. სხვა აქციებიდან მოთხოვნა ან მიწოდება დაფიქსირდა სს "თელასის", სს "გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიის", სს "საქწყალპროექტის", სს "ყაზბეგის" აქციებზე, თუმცა გარიგება არ განხორციელდა.

გარესაბირჟო ფიქსინგით გარიგება 9 სახეობის აქციაზე დაიდო. სულ დაფიქსირდა 13 ოპერაცია, გადაცემებმა მოიცვა 502,374 აქცია, ხოლო თანხობრივმა მაჩვენებელმა 88,166 ლარი შეადგინა. წინა კვირასთან შედარებით, გარესაბირჟო ბაზარზე აქტივობამ იმატა. რაიმე არსებით წილის გასხვისებას ადგილი არ ჰქონია. ბრუნვის ძირითადი წილი სს "თელიანი ღვინოს" აქციაზე მოდის - გასხვისდა 445,925 აქცია, ჯამური თანხით 35,674 ლარი, თითო აქციის ფასი იყო 0,08 ლარი.

### ბიუჯეტის პროექტის შეტანის პროცედურის შემცირებას საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ეწინააღმდეგება

ბიუჯეტის პროექტის პარლამენტში სამჯერადი შემოტანის პროცედურის შემცირებას საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ეწინააღმდეგება. კომიტეტის ეს პოზიცია დღეს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე "საბიუჯეტო კოდექსის" პროექტის განხილვისას დაფიქსირდა.

ცვლილებები, რომელიც 2012 წლიდან ამოქმედდება, პროგრამული ბიუჯეტის დანერგვას ითვალისწინებს. პროექტის თანახმად, იცვლება საბიუჯეტო კალენდარი, ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და დამტკიცების ვადები. ასევე ახლებურად დარეგულირდება ბიუჯეტის აღსრულების სისტემა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ზურაბ მელიქიშვილმა განაცხადა, რომ კომიტეტი მხარს უჭერს საბიუჯეტო კოდექსის ძირითად პრინციპებს. თუმცა, ბიუჯეტის განხილვის ვადებთან დაკავშირებით შენიშვნები გააჩნია.

კერძოდ, კომიტეტს მიაჩნია, რომ პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების ვადად უნდა დადგინდეს არა უადრესი პირველი დეკემბერი და არა უგვიანესი საშემოდგომო სესიის ბოლო პარასკევი, ნაცვლად პროექტში მითითებული არა უგვიანეს პირველი დეკემბრისა.

კომიტეტი ასევე არ ეთანხმება მთავრობის პოზიციას იმის შესახებ, რომ ბიუჯეტის პროექტი პარლამენტში მხოლოდ ორჯერ უნდა შემოვიდეს. "მიგვაჩნია, რომ ბიუჯეტის პროექტის პარლამენტში სამჯერადი შემოტანის პროცედურა მნიშვნელოვანია და ის არ უნდა შეიცვალოს," - აღნიშნა მელიქიშვილმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### სოციალური მეწარმეობის განვითარების პროექტის პრეზენტაცია ხვალ გაიმართება

სასტუმრო "შერატონ-მეტეხი პალასში" ბრიტანეთის საბჭო, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი გამართავს ერთობლივი პროგრამის პრეზენტაციას, რომელიც მიმართულია საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე.

სოციალური საწარმო არის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს გამოკვეთილი სოციალური მისია/მიზანი და რომელიც თავისი საქმიანობით მიღებულ შემოსავალს თავისი მისიის რეალიზაციას ახმარს. აღნიშნული მოდელი წარმატებულად მოქმედებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს როგორც თავად ორგანიზაციების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, ისე დასაქმების, სიღარიბის შემცირებისა და სხვადასხვა სოციალური სერვისების გასაუმჯობესებლად.

პრეზენტაციის დროს გათვალისწინებულია ზემოხსენებულ ორგანიზაციებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერა და პრესკონფერენცია.

აღნიშნული ერთობლივი ინიაციატივის ფარგლებში შეთახნმებულად განხორციელდება ის პროექტები, რომლებიც უკვე წამოწყებულია მემორანდუმის ხელმომწერი ორგანიზაციების მიერ. აღსანიშნავია ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისა და "Czech Fundraising Centre"-ისა (ჩეხეთის რესპუბლიკა) და "Resource Alliance"-ის (გაერთიანებული სამეფო) ერთობლივი პროექტი "სოციალური მეწარმეობის განვითარება საქართველოსა და სომხეთში", რომელიც მხარდაჭერილია ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. ხაზგასასმელია გერმანული ორგანიზაციის ეკლესიის განვითარების სააგენტოს (EED) მიერ მხარდაჭერილი პროექტი, რომლის განხორციელება დაიწყო "საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა." განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბრიტანეთის საბჭოს ჩართულობა და კონტრიბუცია ამ ერთობლივ ინიციატივაში.

კლიფორდ დუგლას საუსკომბი - ბრიტანელი ექსპერტი გააკეთებს პრეზენტაციას სოციალური მეწარმეობის თაობაზე ფართო აუდიტორიისათვის, რომლის დროსაც მონაწილეებს გაუზიარებს ბრიტანულ და ევროპულ გამოცდილებას. დღის მეორე ნახევარში ბრიტანელი ექსპერტი ჩაატარებს 2-საათიან სემინარს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის, რომლის დროსაც დეტალებში გააცნობს სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტებს, სოციალური საწარმოების სხვადასხვა ფორმას.

პრეზენტაციაზე მოწვეული არიან სამინისტროებისა და სამთავრობო სტრუქტურების, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## სასამართლომ ცოტნე გამსახურდიას ადვოკატის საჩივარი დაუშვებლად ცნო

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ცოტნე გამსახურდიას ადვოკატ ქეთი ბექაურის საჩივარი აღმკვეთი ღონისძიების გაუქმების შესახებ დაუშვებლად ცნო. როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლოში განმარტავენ, მოსამართლე მანუჩარ კაპანაძემ საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ გადაწყვეტილება გუშინ გამოიტანა და შესაბამისად ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი არევაძის ბრძანება აღმკვეთ ღონისძიებად ორთვიანი პატიმრობის შეფარდების შესახებ. გამსახურდიას ბრალი ედება განზრახ მკვლელობის მცდელობაში და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებაში. ინციდენტი 27 ოქტომბერს "კოლხურ კოშკთან" მოხდა, რა დროსაც გამსახურდიას მეზობელი დავით ბაჯელიძე დაიჭრა.

*ინტერპრესნიუსი*

## სახალხო დამცველის მოადგილე პატიმარ ქალებს შეხვდა

სახალხო დამცველის მოადგილე ტატა ხუნწარია და რწმუნებულები რუსთავის N1 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსებულ პატიმარ ქალებს შეხვდნენ. პატიმრებმა სახალხო დამცველის წარმომადგენლებს საკუთარი მოთხოვნები გააცნეს. ისინი ითხოვენ ამანათით დაშვებული პროდუქტების სიის გაზრდას, დამატებით ხორცეულისა და სხვა სახის საკვები პროდუქტების მიღების უფლებას, ასევე, საცხოვრებელი საკნების გარეთ ტერიტორიაზე ყოფნისთვის 19 საათამდე გამოყოფილი დროის 21.00 საათამდე გაგრძელებას. პატიმართა დიდი ნაწილი პირობით ვადამდე გათავისუფლებას ითხოვს. მათი განცხადებით, თბილისის N5 ქალთა და არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 2009 წლის 19 აპრილს განვითარებული მოვლენების შემდეგ, მსჯავრდებულ ქალთა პირობით ვადამდე გათავისუფლება ფაქტობრივად აღარ ხორციელდება. სახალხო დამცველი რეგულარულად ამოწმებს დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში მყოფ პირთა უფლებების დაცვის მდგომარეობას, ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას.

*საკუთარი ინფორმაცია*

## ტრენინგი პოლიციის აკადემიაში

შსს-ს აკადემიაში ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე ტრენინგი ჩატარდა. პოლიციის აკადემიის ინფორმაციით, კურსი ჰოლანდიის ბავშვთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის (ECPAT), ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდისა და შსს აკადემიის ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩატარდა. ქართველ სპეციალისტებთან ერთად კურსს ჰოლანდიელი ექსპერტები ლია კნოტ-ვრეჰენი და კატრიცა ვან დერ ზონი უძღვებოდნენ. განიხილეს ძალადობის ფორმები და მისი ამოცნობის ნიშნები, პოლიციის როლი ძალადობის შემთხვევის მართვაში, დაკითხვის თავისებურება ძალადობის შემთხვევაში და ა. შ. კურსი შსს-ს აკადემიის ინსტრუქტორებმა და თანამშრომლებმა საპატრულო და საუბნო უწყებებიდან გაიარეს.

*ინტერპრესნიუსი*

## არასრულწლოვანი პატიმრების უარყოფა

ბათუმის N3 საპყრობილეში არასრულწლოვან პატიმრებს გუშინ სახალხო დამცველის წარმომადგენელი შეხვდა და მათ საპყრობილეში არსებულ პირობებზე ესაუბრა. როგორც სახალხო დამცველის ოფისში აცხადებენ, არასრულწლოვნები კატეგორიულად უარყოფენ გავრცელებულ ინფორმაციას საპყრობილეში შიმშილობის დაწყებასთან დაკავშირებით.

"შეხვედრისას გაირკვა, რომ 3 ნოემბერს საპყრობილეში განთავსებული რამდენიმე პატიმარი ადმინისტრაციასთან შეხვედრას ითხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი პურის მიღებაზე იტყოდნენ უარს. არასრულწლოვნები უკმაყოფილებას ერთ-ერთი თანასაკნელის მიმართ გამოთქვამდნენ და მისი სხვა საკანში გადაყვანას ითხოვდნენ. როგორც სახალხო დამცველის წარმომადგენელს განუცხადეს, ადმინისტრაცია შეხვდა არასრულწლოვან პატიმრებს და მიუხედავად იმისა, რომ საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის, რაიმე სახის დაპირისპირება არ მომხდარა," - განმარტავენ სახალხო დამცველის ოფისში. ომბუდსმენის აპარატის ინფორმაციით, სახალხო დამცველის აპარატი მუდმივად ახორციელებს მონიტორინგს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული პირობებისა და მდგომარეობის შესასწავლად და მონიტორინგის შედეგები ზედმიწევნით აისახება სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშებში. შიმშილობის შესახებ ინფორმაცია გუშინწინ არც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში დაადასტურეს.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ყველასთვის ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების მთავარი პირობა

პირველი გვერდიდან



ეს უფლება მინიჭებული აქვთ საქართველოს მოქალაქეებს, რაც საქართველოს კონსტიტუციითაც არის გარანტირებული. მეტიც, მას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციაც იცავს.

სასამართლოს ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა სახელმწიფო ბაჟის ხელმისაწვდომი განაკვეთებია. სახელმწიფო ბაჟი ეს არის სასამართლო ხარჯი, რომელიც განმცხადებელმა უნდა გადაიხადოს სახელმწიფო ბიუჯეტში, სასამართლოს მიერ მისი დავის განხილვისას გაწეული ხარჯების დასაფარად.

“სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონით` სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველ საქმეებზე, საერთო სასამართლოებში განსახილველ სასარჩელო ან სხვა განცხადებებზე და საჩივრებზე, საქართველოს ტერიტორიაზე მოქალაქეობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის, მოქალაქეობისა და ემიგრაცია-იმიგრაციის საკითხებზე განცხადებების განხილვისათვის და მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისათვის, რომლებსაც ახორციელებენ შესაბამისი სამსახურები. საქართველოში გაცემული ოფიციალური დოკუმენტების აპოსტილით დამოწმებისათვის, სახელმწიფო სასაზღვრო-გამტარ პუნქტებში საქართველოს ორდინალური ვიზის გაცემისათვის და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დოკუმენტების გამოთხოვისთვის ან ლეგალიზაციისათვის.

ბოლო პერიოდში ხშირად ისმის საყვედური იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო ბაჟის რაოდენობა საკმაოდ დიდია, რის გამოც, ადამიანები პრობლემის სასამართლოში განხილვაზე უარს ამბობენ. ექსპერტთა განცხადებით, სამართლებრივ დავის არსებობის შემთხვევაში მოქალაქის პირველი შეკითხვა სახელმწიფო ბაჟის ოდენობას ეხება და ძალზე ხშირია შემთხვევები, როცა ბაჟის სიდიდიდან გამომდინარე, უარს ამბობენ არსებული პრობლემის სამართლებრივ მოგვარებაზე. პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში ამ საკითხზე მუშაობენ, ბაჟის რაოდენობის დაწევასთან დაკავშირებით პროექტი მზადდება და უახლოეს მომავალში მართლმსაჯულება ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი გახდება.

**“სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება “სამოქალაქო საპროცესო კოდექსის” და “სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონით” დადგენილი წესით წარმოებს და სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა ოდენობას შეადგენს. თუმცა, დღევანდელი ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევებში, შეუძლებელს ხდის სასამართლოებში, მოქალაქეებისთვის კონსტიტუციით გარანტირებული მათი უფლებების დაცვის განხორციელებას.**

**სახელმწიფო ბაჟის განაკვეთები შემდეგნაირად გამოიყურება: პირველი ინსტანციის სასამართლოში ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის გადასახდელი ბაჟი ხშირ შემთხვევაში 3-5 ათას ლარს შეადგენს და შემდგომ ინსტანციებში იზრდება პროპორციულად. კერძოდ, რაიონულ და საქალაქო ანუ პირველი ინსტანციის სასამართლოში ბაჟი სადავო თანხის 3 პროცენტია, სააპელაციოში სადავო თანხის 4 პროცენტი, ხოლო საკასაციოში 5 პროცენტი. ასევე გათვალისწინებულია მაღალი თანხის ბაჟის ოდენობები კერძო საჩივრებზე და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ფიზიკური თუ იურიდიული პირთა მიმართ და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა წარმოების განახლების ან ბათილად ცნობისას, რაც ჩვენი მოქალაქეების ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინებით, ხშირ შემთხვევაში, მათ სამართლებრივ დაუცველობას ამყარებს. ამის გამო, ათასობით ჩვენი მოქალაქე უარს აცხადებს სასამართლოებს მიმართოს მათი უფლებების დასაცავად. ამიტომ, აუცილებელია ქვეყანაში გატარდეს ცვლილებები და რეფორმები, სახელმწიფო ბაჟის ოდენობები გადაიხედოს და მიესადაგოს დღევანდელ რეალობას, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისთვის მართლსაჯულების ხელმისაწვდომობას. ჩემი ინფორმაციით, ხელისუფლებაში და პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში მუშაობენ აღნიშნულ თემებზე და იმედი მაქვს, რომ უახლოეს პერიოდში განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები,** - აცხადებს პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილი პარლამენტის ანტიკრიზისული საბჭოს ექსპერტი სამართლებრივ საკითხებში, ადვოკატი ლევან ადეიშვილი.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში სახელმწიფო ბაჟის ზრდა რამდენჯერმე მოხდა და 2006 წელს მაქსიმალურმა ოდენობამ 50 ათას ლარს მიაღწია. ამის გამო, დავა საკონსტიტუციო სასამართლოშიც მიმდინარეობდა. ამ სარჩელის ავტორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორ ირაკლი ყანდაშვილის განცხადებით, 2006 წელს სახელმწიფო ბაჟის მაქსიმალური ოდენობა 50 ათასი ლარი იყო, რაც საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრდა და საბოლოოდ, ეს არაგონივრულად და შეუსაბამოდ მაღალი განაკვეთი შემცირდა.

**“ბოლო წლების სტატისტიკით, საქართველოში სასამართლოსათვის მიმართვის შემთხვევებმა საგრძნობლად იმატა, რაც ერთის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებამ სამართლებრივი გზით დავების მოგვარება დაიწყო. ეს კი კიდევ უფრო ზრდის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გარანტირებულობის აუცილებლობას, რაც კონსტიტუციური უფლებაა და ამასთანავე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციაც იცავს. ამიტომ, ხელოვნური ბარიერებით არ უნდა წაერთვას საზოგადოებას სასამართლოსთვის მიმართვის საშუალება. კერძოდ, მაღალი სახელმწიფო ბაჟის დაკანონებით არის ალბათობა რომ მოქალაქეებს და კომპანიებს სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა წაერთვათ. უფრო მეტიც, ნებისმიერ სახელმწიფოში არაგონივრული სახელმწიფო ბაჟის განაკვეთები უპირველესად ზიანის მომტანია ქვეყნის პრესტიჟისთვის, რადგან მოქალაქეებს თუ იურიდიულ პირებს ყოველთვის შეუძლიათ სასამართლოს ხელმისაწვდომობის დარღვევისთვის მიმართონ სტრასბურგის სასამართლოს, რომელსაც ამ საკითხზე მყარად ჩამოყალიბებული პრაქტიკა გააჩნია. ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლო ევროკონვენციაზე დაყრდნობით იცავს განმცხადებლების უფლებას ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების მიღებაზე.**

**ამასთან, არაგონივრული სახელმწიფო ბაჟის განაკვეთები, სახელმწიფოსთვის წამგებიანი შეიძლება იყოს იმიტომაც, რომ თუ მოქალაქეს შეეზღუდა სამართლებრივი გზით დავის გადაწყვეტის შესაძლებლობა, იგი აუცილებლად შეეცდება არასამართლებრივი გზებით მოაგვაროს საკუთარი პრობლემები, რისი მაგალითებიც საქართველოში მრავლად იყო და მისი განმეორება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავუშვათ. ამაზე, თავის მხრივ, საკანონმდებლო ორგანომ უნდა იზრუნოს, არ უნდა დაუშვას სახელმწიფო ბაჟის ზრდა, პირიქით, კიდევ უფრო გონივრული სახელმწიფო ბაჟის დაწესებით საქართველოში ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა გახადოს მართლმსაჯულება,"** - აცხადებს ირაკლი ყანდაშვილი, რომლის თქმითაც, მიუხედავად არსებული სიტუაციისა, საბოლოო ჯამში, მოსახლეობა მაინც პრობლემის სამართლებრივი გზით მოგვარებას ანიჭებს უპირატესობას და ამის დასტური სასამართლო დავების სტატისტიკაა.

**“თუმცა მიუხედავად იმისა, რომ დავების რიცხვი სასამართლოებში არ კლებულობს, უმჯობესი იქნება განაკვეთების კიდევ უფრო ქვემოთ დაწევა, რათა მოდავე მხარეს დავის საგანზე უფრო ძვირი არ დაუჯდეს სასამართლოსთვის მიმართვა. დარწმუნებული ვარ, კანონმდებლები ამ საკითხით დაინტერესებული არიან,"** - აცხადებს ირაკლი ყანდაშვილი.

# ჩინეთი ინდოეთის წინააღმდეგ

## მოჰყვება თუ არა ომი ორი ქვეყნის მეტოქეობას

ყველა ცივ ომს თავისი ნიშნები აქვს. ჰიმალაის მთების რაიონში, რომელიც ჩინეთის ტერიტორიასა და ინდოეთის არუნაჩალ-პრადეშის შტატებს შორის მდებარეობს, ასეთ ნიშნებად შეიძლება ჯარისკაცების მიერ მორიგეობის დროს დატოვებული ცარიელი ლუდის ბოთლები იქცეს. ჩინელი და ინდოელი ჯარისკაცები მაღალ მთებში იცავენ საზღვარს, რომელიც დიდი ხანია, ორი ქვეყნის დავის საგანია. საკამათო საზღვრის ზოგიერთ ნაწილში ჯარისკაცები ღამის მორიგეობის დროს ხშირად ტოვებენ კვალს. როდესაც ქვეყნებს შორის ვითარება შედარებით სტაბილურია, ამ კვალს ნაგავს უწოდებენ, ხოლო ურთიერთობის დაძაბვისთანავე ნაგავი ოფიციალურ ანგარიშებში "საზღვარზე აგრესიული პატრულირების" დამადასტურებელ მტკიცებულებად იქცევა ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი სამხედრო კონფრონტაცია არ არსებობს, ამ ორ უდიდეს ამბიციურ სახელმწიფოს შორის დაძაბულობა სულ უფრო მატულობს.

ინდოეთი და ჩინეთი, რომლებსაც ერთმანეთთან ახლო მეზობლური დამოკიდებულება არასდროს ჰქონიათ, სულ უფრო ხშირად ერთვებიან დიპლომატიურ დუელში. სექტემბერში ინდოეთმა თანხმობა განაცხადა დალაი-ლამას ვიზიტზე სასაზღვრო ქალაქ ტავანგში, რომელშიც ტიბეტელი ბერების ცნობილი ბუდისტური მონასტერი მდებარეობს. ჩინეთმა ეს ნაბიჯი პროვოკაციად შეაფასა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრ მანმოჰან სინგჰის არუნაჩალ-პრადეშში ვიზიტის წინააღმდეგ იმ საბაბით გამოვიდა, რომ ეს ტერიტორია ჩინეთის იურისდიქციაში მყოფ ტიბეტს ეკუთვნის. ჯერჯერობით არავინ ფიქრობს, რომ მკვეთრი განცხადებები, რომლებიც მიმდინარე წლის დასაწყისიდან ისმის, ომში გადაიზრდება, თუმცა მტრული დამოკიდებულება აშკარად იგრძნობა.

ჩინეთისა და ინდოეთის საერთო საზღვარი 3500 კილომეტრის მანძილზეა გადაჭიმული. ინდოეთის მხარეს საზღვარი აჯანყებულთა მუდმივი გამოსვლებით ცნობილი ჩრდილო-აღმოსავლეთ შტატების გავლით კაშმირის საზღვართან მდებარე ლადაკჰას მყინვარებამდე მიდის. სიმშვიდით არც საზღვრის ჩინური მხარე გამოირჩევა - იქ ჩინური ტიბეტი მდებარეობს. ქვეყნებს შორის ქიშპობა 1962 წლის შემდეგ გრძელდება, როდესაც ჩინეთმა ინდოეთის ტერიტორიების ნაწილი მიიტაცა. 1993 წლიდან ისინი მეტ-ნაკლებად მშვიდად ცხოვრობენ საზღვარზე, რომლის ხაზიც მონიშნული არ არის. თუმცა ამჯერად დავაში ფსონი არა ტერიტორია, არამედ საერთაშორისო სტატუსი და გავლენაა. ჩინეთი ამ დროისთვის ეკონომიკური ძალაუფლების მნიშვნელოვანი ცენტრია, თუმცა მას შემდეგ, რაც ინდოეთმა აშშ-სთან ხელი მოაწერა შეთანხმებას სამოქალაქო ბირთვული ენერგეტიკის შესახებ, პეკინს მეზობლის მზარდი საერთაშორისო გავლენა და წონა სულ უფრო მეტად აღელვებს. ამ ქიშპობის ფონზე ამერიკა ცდილობს, კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოს ორივე ქვეყნასთან, რაც სულ უფრო რთულდება და ამ ბალანსის დაცვა შესაძლოა ამერიკისთვის მიმდინარე ასწლეულის ყველაზე რთულ გეოპოლიტიკურ გამოწვევად იქცეს.

პატარა ინდური ქალაქი ტავანგი, რომელიც მაღალ მთებში მდებარეობს, კონფრონტაციის ცენტრს ახლა ნამდვილად აღარ ჰგავს, თუმცა 1962 წელს ჩინელები ინდოეთის ტერიტორიაზე სწორედ მისი გავლით შეიჭრნენ. მას შემდეგ ქალაქში სამხედრო შტაბი შეიქმნა და დღეისათვის იქ წარმოუდგენლად ბევრი ჯარისკაცი მსახურობს - 15 ათასი სამხედრო პირი, მაშინ როდესაც ქალაქსა და მის შემოგარენში, სულ რაღაც, 80 ათასი ადამიანი ცხოვრობს.

დროის ძირითად ნაწილს სამხედროები საველე წვრთნებში ატარებენ, თუმცა ვითარება დრო და დრო მწვავდება. ცოტა ხნის წინ ჩინეთმა აზიური ბანკისგან ინდოეთისთვის კრედიტების დაბლოკვა მოითხოვა, საპასუხოდ კი ნიუ-დელიში მიიღეს გადაწყვეტილება სასაზღვრო რეგიონში დამატებით 50 ათასი სამხედრო მოსამსახურე გაგზავნის შესახებ. განახორციელებენ თუ არ ამ გეგმას, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ინდოეთი საზღვარს




თვალყურს მუდმივად ადევნებს. ბოლო პერიოდში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩინეთმა ტიბეტში სამხედრო წვრთნები ჩაატარა, რომელშიც 50 ათასი ჯარისკაცი მონაწილეობდა.

სამხედრო დეტალები ფარავს კონფლიქტის ნაკლებად თვალშისაცემ, თუმცა უფრო მნიშვნელოვან მხარეს - ინფრასტრუქტურას. ამ სფეროშიც ორი ქვეყანა ცდილობს, ერთმანეთის პროექტები მუდმივად დაბლოკოს ან გადაფაროს. ჩინეთის ეკონომიკა ინდოეთისას ორჯერ აღემატება და ეს ნიუ-დელისთვის ძალიან მწვავე საკითხია. მაგალითად, როდესაც წელიწადში ორჯერ ქვეყნების სამხედრო წარმომადგენლები ერთმანეთს საზღვარზე - არუნაჩალში ხვდებიან, ინდოელი სამხედროები შეხვედრაზე მძლავრი ჯიპებით მიდიან, რომლებსაც მთის ცუდ გზებზე გადაადგილება შეუძლიათ, ხოლო ჩინელები ასფალტიან სწორ გზაზე მდიდრული სედანებით გადაადგილდებიან. ეს ფაქტი, ინდოელ სამხედროთა განცხადებით, მათზე ძალიან მოქმედებს. სწორედ კარგი გზების წყალობით შეძლეს ჩინელებმა 1962 წელს ინდოეთის ტერიტორიაზე ასე მოკლე დროში შეჭრა. საგულისხმოა, რომ ინდოეთისთვის ასეთი არახელსაყრელი მდგომარეობა სულ უფრო მძიმდება.

დღეისათვის, რასაკვირველია, გეოპოლიტიკური მდგომარეობა სრულიად სხვაგვარია. ჩინეთი თავისი ეკონომიკით მჭიდროდ არის დაკავშირებული ამერიკასთან. ბარაკ ობამა ცდილობს, პეკინთან კარგი ურთიერთობა დაამყაროს. სწორედ ამ მიზნით ამერიკის ლიდერმა გადაწყვიტა, მომავლისთვის ჩინეთში დაგეგმილ ვიზიტამდე ოფიციალური პეკინისთვის საძულველ დალაი-ლამას არ შეხვდეს. ამავე დროს აშშ ცდილობს, ინდოეთთან ურთიერთობა სამხედრო სფეროშიც დაამყაროს.

როგორც ჩანს, ურთიერთობის მოწესრიგებას ჩინეთისა და ინდოეთის მთავრობები თავად ეცდებიან და ეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ბანკოკის სამიტზე მოხდება. ღონისძიების ფარგლებში მანმოჰან სინგჰმა და ჩინელმა პრემიერმა ვენ ძიაბომ შეხვედრა უნდა გამართონ, თუმცა, სავარაუდოდ, ამ ჩახლართულ ისტორიაში გასარკვევად და პრობლემების მოსაგვარებლად ერთი შეხვედრა საკმარისი არ იქნება. ორივე მხარე მთლიანად არის ჩაფლული თამაშში, რომელიც მინიატურაში მიმდინარეობს. მაგალითად, ცოტა ხნის წინ კაშმირელმა სტუდენტმა მიიღო ვიზა, რომელიც პასპორტში ბეჭდის სახით კი არ იყო ჩარტყმული, არამედ ჩამაგრებული. ეს იყო მინიშნება, რომ კაშმირის კუთვნილება ინდოეთისადმი ჯერ კიდევ საეჭვო რჩება. ინდოეთმა ამ ჟესტზე მშვიდად უპასუხა, რომ ტიბელეტებთან მიმართებაში იმავეს გააკეთებს. ჯერჯერობით ეს ყველაფერი წვრილმანებია, თუმცა მათ უფრო მსხვილი მასშტაბების მიღება შეუძლიათ. მანამდე კი ჰიმალაის მთებში ჯარისკაცები ჯერ კიდევ მორიგეობენ.

*"ტაიმის" მიხედვით მოამზადა მარიკა იაშვილმა*

# ჟურნალისტის სასჯელი - 60 როზგი

*საუდის არაბეთის სასამართლომ 22 წლის ჟურნალისტ როზანა ალ-იამის სატელევიზიო შოუში მონაწილეობისთვის 60 როზგი მიუსაჯა.*

ალ-იამის განაჩენი ლიბანის სატელევიზიო არხზე გასულ იმ გადაცემაში მონაწილეობისთვის მიუსაჯეს, სადაც მამაკაცები სექსუალურ ურთიერთობებზე საუბრობდნენ. როგორც მოსამართლემ განაცხადა, ლიბანის არხს LBC -ს არ ჰქონდა შესაბამისი ლიცენზია - ოფიციალური ნებართვა საუდის არაბეთის ხელისუფლებისგან. ამდენად, სატელევიზიო შოუს დასრულებისთანავე LBC არხის ორი წარმომადგენლობა დაიხურა.



*22 წლის ჟურნალისტისთვის გამოტანილი სასჭელი უპრეცედენტოა.*

როგორც The Times წერს, გადაცემის მსვლელობისას ერთ-ერთმა სტუმარმა, ოთხი შვილის მამამ, მაზენ აბდულ-ჯავამ განქორწინებულ ცოლთან ინტიმური ურთიერთობების თაობაზე ისაუბრა. ჟურნალისტისგან განსხვავებით, გადაცემის სტუმარს გაცილებით დიდი სასჯელი ერგო. სასამართლომ მაზენ აბდულ-ჯავას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და 1000 როზგი მიუსაჯა.

რაც შეეხება ბრალდებულ ჟურნალიტს. ბრალდების მხარე მას არა მხოლოდ გადაცემის მომზადებასა და მონაწილეობაში ადანაშაულებს, არამედ გადაცემის ინტერნეტის საშუალებით რეკლამირებისთვისაც. როზანა ალ-იამი ბრალს უარყოფს და აცხადებს, რომ იგი მხოლოდ გადაცემის კოორდინატორი იყო.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტის უდანაშაულობა არაოფიციალურად თავად მოსამართლემაც აღიარა. მან განაჩენის გამოტანისას განაცხადა, რომ სასჯელი "დაშინების მეთოდი" გახლდათ.

22 წლის ჟურნალისტისთვის გამოტანილი სასჯელი უპრეცედენტოა. მისი ადვოკატის სულეიმან ალ-ჯუმეის განცხადებით, პირველი შემთხვევაა, როდესაც ჟურნალისტი ქალი ასე მკაცრად ისჯება.

საუდის არაბეთის კულტურისა და ინფორმაციის მინისტრმა აბდულ-რახმან ალ-ჰაზამ ჟურნალისტის გარშემო ატეხილ საერთაშორისო სკანდალზე კომენტარის გაკეთებისაგან თავი შეიკავა.

როგოც მსოფლიო საინფორმაციო სააგენტოები აღნიშნავენ, განაჩენის გამომტანი ვაჰაბიტი-მოსამართლეები დიდი უფლებებით სარგებლობენ და თავიანთი შეხედულების თანახმად შეუძლიათ ისლამური კანონების გამოყენება.

**"საუდის არაბეთი ისლამური კონსერვატიზმის, ძველი ტრადიციების უკომპრომისო დამცველია, სადაც განათლების, სასამართლო წარმოების სფეროებში რეფორმები აუცილებლადაა ჩასატარებელი,"** - წერს The Times.

# ყოფილ მოხელეს სამუდამო პატიმრობა ელის

ყოფილი სახელმწიფო მოხელე ცოლის მკვლელობაში ამხილეს. გამოძიებას მკვლელის ვინაობის დადგენისთვის 10 წელი დასჭირდა. ვირჯინიის კუნძულების სასამართლოში, ჯეიმსთაუნის საქალაქო საბჭოს წევრისა და ბიზნესმენის, დევიდ სუვეინის მეუღლის გარდაცვალების ფაქტზე გამართული პროცესი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. გახმაურებულ პროცესზე განსასჯელის სკამზე თავად ქვრივი ზის, რომელიც ცოლის "იდეალურ მკვლელობაშია "ეჭვმიტანილი.

53 წლის ყოფილ ჩინოვნიკს დევიდ სუვეინს, რომელიც წყალქვეშა ცურვის მოყვარულთათვის გახსნილი მაღაზიის მფლობელია, საკუთარი ცოლის მკვლელობისთვის სამუდამო პატიმრობა ელის.

1999 წელს მომხდარი ამბის გამოძიება უბედური შემთხვევის კვალიფიკაციით მიმდინარეობდა. როგორც საქმიდან ირკვევა, 46 წლის შელი ტაირი შვებულების ბოლო დღეს გარდაიცვალა. მისი ცხედარი წყალში 24 მეტრის სიღრმეზე აღმოაჩინეს. იგი აკვალანგით ჩავიდა წყალში, თუმცა, უკან ველარ ამოვიდა. არადა, უბედური შემთხვევის ადგილი უსაფრთხოდ ითვლებოდა და არანაირი ობიექტური მიზეზი არ არსებობდა იმისთვის, რომ ცურვისას თავად ქალს დაეშვა შეცდომა.

კრიმინალისტებმა დაადგინეს, რომ ჟანგბადის ბალონს დაზიანებები აღენიშნებოდა. ხოლო მილი, რომლითაც მას უნდა ესუნთქა, დაიკარგა.

ახალი გარემოებების აღმოჩენის გამო გამოძიება განახლდა. სასამართლოში საქმის 3-კვირიანი განხილვის შემდეგ გაირკვა, რომ სუეინი თავს დაეხსა წყალში მყოფ მეუღლეს.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ქვრივს გარდაცვლილის მშობლებმა 3,4 მილიონ დოლარი ჩამოართვეს. მათ სასამართლოზე დაამტკიცეს, რომ დევიდ სუვეინს ამ თანხის განკარგვის უფლება არ ჰქონდა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ სუეინმა ცოლი ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა. განსასჯელს განაჩენს უახლოეს დღეებში გამოუტანენ.

# "ტორი"-ს ახალი ევროპული პოლიტიკა

დიდი ბრიტანეთის "კონსერვატიული პარტიის" ლიდერმა დევიდ კამერონმა განაცხადა, რომ ბრიტანეთი "მომავალში აღარასდროს" დათანხმდება რეფერენდუმის გარეშე ბრიუსელისთვის უფლებამოსილების გადაცემას, თან აღიარა, რომ ლისაბონის ხელშეკრულებაზე საყოველთაო გამოკითხვა, რის ჩატარებასაც "ტორი" აპირებდა, ვეღარ შედგება. მისი სიტყვებით, ბრიტანელებს ყველა მნიშვნელოვან ევროპულ შეთანხმებაზე საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება მიცემათ.

დევიდ კამერონმა ამის შესახებ თავის გამოსვლაში განაცხადა. მან ილაპარაკა ევროკავშირის მიმართ პარტიის ახალი პოლიტიკის შესახებ მას შემდეგ, რაც მათ მოუწიათ უარის თქმა ლისაბონის ხელშეკრულების შესახებ რეფერენდუმის ჩატარების დაპირებაზე. **"ჩვენ არ შეგვიძლია, ჩავატაროთ რეფერენდუმი და თავი დავაღწიოთ ლოსაბონის შეთანხმებას. ის უკვე კანონად იქცა,"** - აღიარა კამერონმა.

"კონსერვატორების" ლიდერმა დაამატა, რომ არ სურს, "ხალხი სულელად მიიჩნიოს" და თავი მოიტყუოს. მან ასევე განაცხადა, რომ თუ "კონსერვატორები" მომავალ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვებენ, მიიღებენ კანონს სუვერენიტეტის შესახებ, რომელიც იმის გარანტია გახდება, რომ "ბოლო სიტყვა" ბრიტანელ კანონმდებლებს დარჩებათ.

ამას გარდა, კამერონს სურს,



*დიდი ბრიტანეთის "კონსერვატიული პარტიის" ლიდერი დევიდ კამერონი*

ბრიტანეთს დაუბრუნოს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უფლება ისეთ საკითხებზე, რომლებიც დასაქმების კანონს, ფუნდამენტალური უფლებების ქარტიას და სისხლის სამართალს შეეხება.

კამერონს ევროპის შესახებ თავისი ახალი პროგრამის გამოცხადება მას შემდეგ მოუწია, რაც სამშაბათს ჩეხეთმა ხელი მოაწერა ლისაბონის ხელშეკრულებას და ის პირველი დეკემბრიდან უკვე ამოქმედდება.

ბრიტანელი ევროსკეპტიკოსები ადანაშაულებენ კამერონს, რომ მან უღალატა რეფერენდუმის ჩატარების შესახებ თავის "ურყევ" დანაპირებს. ამაზე "ტორის" ლიდერმა უპასუხა, რომ ხალხს არ დაპირებია რეფერენდუმის ჩატარებას ყველა შემთხვევაში, რადგან როდესაც ლისაბონის ხელშეკრულება ამოქმედდება, უკვე "ვეღარაფერს გავაკეთებთ". "მე ვიცი, რომ არსებობენ პირები, რომლებსაც ახლა, როდესაც ჩვენ არ შეგვიძლია ლისაბონის ხელშეკრულების შესახებ რეფერენდუმის დანიშვნა, სურთ ხალხის გამოკითხვის ჩატარება რომელიმე სხვა საკითხზე... ნებისმერ საკითხზე," - განაცხადა კამერონმა. "ჩემი აზრით, არასწორია, მხოლოდ იმიტომ დავაყენოთ რაიმე საკითხი რეფერენდუმზე, რომ ის ჩატარდეს," - განაცხადა მან.

"კონსერვატორების" ლიდერმა აღნიშნა, რომ მომავალი ხელშეკრულებების რატიფიკაციისთვის რეფერენდუმების ჩატარების გარანტიის შექმნა და ლონდონისთვის უფლებამოსილების დაბრუნება რამდენიმე სფეროში არის "მნიშვნელოვანი, რეალური და მიღწევადი."

კამერონის სიტყვებით, მისი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიის და მანიფესტის მთავარი ლოზუნგი გახდება ფრაზა "მომავალში აღარასდროს".

კანონი სუვერენიტეტის შესახებ იმოქმედებს კონსტიტუციის ნაცვლად, რომელიც ბრიტანეთს არ გააჩნია, რათა თავიდან იქნეს აცილებული ევროკავშირის შემოჭრა ახალ-ახალ სფეროებში, - განმარტა კამერონმა.

"ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ბრიტანეთი ნელ-ნელა ფედერალური ევროპის ნაწილი გახდეს," - დააზუსტა მან.

კამერონმა ისიც განაცხადა, რომ მას დასჭირდება ევროკავშირის წევრი 27-ვე ქვეყნის თანხმობა, რათა ლონდონს დაუბრუნდეს უფლებამოსილება დასაქმების შესახებ კანონზე, მათ შორის სამუშაო კვირის ხანგრძლივობაზე და ფუნდამენტალური უფლებების შესახებ ქარტიაზე.

თუმცა, კამერონმა დაარწმუნა ევროკავშირის სხვა ქვეყნები იმაში, რომ ის მათგან გამოყოფას არ აპირებს.

ლისაბონის შეთანხმება, რომელიც 2009 წლის დეკემბერში ამოქმედდება, ევროკავშირში გადაწყვეტილების მიღების სისტემას სერიოზულად ცვლის, ბევრ საკითხში ბრიუსელის როლს აძლიერებს.

# შვედეთი და ფინეთი "ჩრდილოეთის ნაკადზე" დათანხმდნენ

შვედეთი და ფინეთი ბალტიის ზღვის საკუთარ ეკონომიკურ ზონაში გაზსადენ "ჩრდილოეთის ნაკადის" მილების გაყვანაზე დათანხმდნენ. აქედან გამომდინარე, პროექტმა, რომელიც ითვალისწინებს რუსეთიდან ბალტიის ზღვის გავლით გაზის გერმანიისთვის მიწოდებას, რეალიზაციის გზაზე ერთ-ერთი უკანასკნელი დაბრკოლება გადალახა. "ჩრდილოეთ ნაკადს განახორციელებენ "გაზპრომი", "რურგაზი", "ვინთერშელი" და "გაზუნიე".

თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ფინეთის ხელისუფლებას ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა ესაჭიროება. ფინეთის გარემოს დაცვის სააგენტომ ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება 2009 წლის ბოლომდე უნდა მიიღოს.

პირველი ქვეყანა, რომლის ეკონომიკურ ზონაშიც მილსადენი გაივლის და რომელმაც ოპერატორ კომპანიას "ნორდ სტრიმ აგ"-ს (Nord Stream AG) მშენებლობის ნებართვა მისცა, დანია იყო. დანიის ენერგეტიკის სააგენტომ 20 ოქტომბერს თანხმობა განაცხადა 87,7 კმ სიგრძის გაზსადენის გაყვანაზე ბალტიის ზღვის ქვეშ დანიის ტერიტორიულ წყლებში და 49,9 კილომეტრის - განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში.

ახლა "ჩრდილოეთ ნაკადის" პროექტის განხორციელების დასაწყებად გერმანიისა და რუსეთის თანხმობის მიღება დარჩა.

შვედეთის მთავრობამ, ბალტიის ზღვის საკუთარ ეკონომიკურ ზონაში "ჩრდილოეთ ნაკადის" გატარების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, წინასწარ სცადა ამ პროექტის ეკოლოგიური უსაფრთხოების შემოწმება. "თავიდან, დარწმუნებული ვიყავი, რომ გაზის მილების გაყვანა ეკოლოგიურ მოთხოვნებთან თანხვედრაში ვერ იქნებოდა, თუმცა დოკუმენტების შესწავლის შემდეგ დასკვნამდე მივედი, რომ ეკოლოგიური უსაფრთხოება დაცულია," - განაცხადა გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე გარემოს დაცვის მინისტრმა ანდრეას კალგრენმა.

ჟურნალისტის კითხვაზე, მოახდინა თუ არა რუსეთის პრემიერ-მინისტრმა პუტინმა შვეციის მთავრობაზე გავლენა, კალგრენმა განაცხადა, რომ "არავითარ შემთხვევაში. ცხადია, სხვადასხვა საშუალებები მიუთითებდა, რომ მილსადენის გაყვანა საჭიროა, თუმცა შვედეთის მთავრობისთვის საკითხის განხილვის დროს ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო კანონმდებლობის დაცვა იყო."

ანდრეს კალგრენის განცხადებით, "ჩრდილოეთ ნაკადის" შესახებ გადაწყვეტილება "თეორიულად შეიძლება გასაჩივრდეს" შვედეთის უზენაეს ადმინისტრაციულ სასამართლოში ან საერთაშორისო სასამართლოში. კომპანია "ნორდ სთრიმ ა.გ"- მილსადენის მშენებლობის დაწყებას 2010 წელს გეგმავს.

**მოამზადა თამთა კახაძემ**

# 6 სამხედრო 900 ტანკის პირისპირ

პირველი გვერდიდან

პოლონეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ პოლონეთის ნატო-ში გაწევრიანებისას რუსეთს შეჰპირდნენ, რომ ალიანსი აღმოსავლეთ ევროპაში მნიშვნელოვან სამხედრო ძალებს არ განათავსებდა. **"მაგრამ იმ დროს ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ნატო სამხედრო შენაერთებს საერთოდ არ გამოგზავნიდა. მიმაჩნია, რომ ამის გაკეთება აუცილებელია,"** - აცხადებს მინისტრი.

პოლონელი მინისტრის მოთხოვნას ოფიციალური მოსკოვის მხრიდან უკვე მოჰყვა გამოხმაურება: რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარის კონსტანტინ კოსაჩოვის თქმით, სიკორსკის განცხადებას, რუსეთის მხრიდან სამხედრო აგრესიის საფრთხის ვითომდა არსებობის შესახებ, რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობის ტონის შეცვლა შეუძლია. **"რომელიმე მხრიდან მსგავსი განცხადებების გაკეთება ორმხრივ ურთიერთობებს არ გააუმჯობესებს,"** - აღნიშნავს დეპუტატი. იგი მიიჩნევს, რომ პოლონეთი ამ გზით თავისი შიდა პრობლემების მოგვარებას ცდილობს: **"ეს პოლონეთისთვის საინტერესო კომერციული პროექტია. ამერიკული სამხედრო ძალების გერმანიის ტერიტორიაზე ყოფნა ქვეყნის ხაზინას ბოლო დრომდე წელიწადში 7 მილიარდი დოლარით ავსებდა და ვფიქრობ, ბატონმა სიკორსკიმ ეს ძალიან კარგად იცის."**

მომხდარს ექსპერტებიც აფასებენ, რომელთა აზრითაც, პოლონეთში ბევრი დარჩა იმედგაცრუებული აშშ-ს გადაწყვეტილებით, როდესაც ამ უკანასკნელმა ქვეყნის ტერიტორიაზე ახალი ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ობიექტების განთავსებაზე უარი თქვა. ეს გეგმები ოფიციალური მოსკოვის მკვეთრ უკმაყოფილებას იწვევდა.

ახალმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ბუშის გადაწყვეტილება შეცვალა, ჩეხურ-პოლონურ გეგმებზე უარი თქვა და განაცხადა, რომ თავდაცვის უფრო ეფექტიანი სისტემის შექმნას აპირებს, თანაც ამისთვის აუცილებელი არ იქნება აღმოსავლეთ ევროპაში რადარებისა და რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარების განთავსება. თუმცა როგორც რუსეთში, ისე ევროპაშიც, ამერიკის ახალი პრეზიდენტის ეს ნაბიჯი ორი ქვეყნის ურთიერთობების "გადატვირთვის" გამო გაკეთებულ დათმობად აღიქვეს.

რადოსლავ სიკორსკის განცხადებით, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ პოლონეთში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა, სცადა, დაერწმუნებუნა ქვეყნის ხელისუფლება, რომ ამერიკა ძველებურად რჩება პოლონეთის სტრატეგიულ მოკავშირედ. თუმცა, პოლონელი მინისტრის განცხადებით, სიტყვების საქმით დადასტურება ბევრად უფრო დამაჯერებელი იქნება. **"თუკი თქვენ ძველებურად შეგიძლიათ, თავს ამის უფლება მისცეთ, ჩვენ რაიმე სახის სტრატეგიული მტკიცებულება გვჭირდება,"** - მიმართა თავის სიტყვაში სიკროსკიმ აშშ-ს პრეზიდენტს.

ცოტა ხნის წინ ჩატარებულმა რუსულ-ბელარუსულმა სამხედრო წვრთნებმა - "დასავლეთი-2009" - პოლონეთში სერიოზული მღელვარება გამოიწვია. ადგილობრივ გაზეთ "ვპროსტის" მტკიცებით, მანევრების დროს მუშავდებოდა არა მხოლოდ გაზსადენ "ჩრდილოეთის ნაკადის" დაცვა, არამედ პოლონეთის სანაპიროზე სამხედროების გადასხმა და ბირთვული იარაღის გადასაზიდად თვითმფრინავების გამოყენებაც. პოლონური გამოცემა იმასაც წერს, რომ წვრთნების მთავარი მიზანი იყო მომზადება წინააღმდეგობის ჩასახშობად, რომელმაც შეიძლება ბელარუსის იმ რაიონებში იფეთქოს, სადაც ბევრი ეთნიკური პოლონელი ცხოვრობს. გაზეთი აგრეთვე აქვეყნებს პოლონეთის თავდაცვის სამინისტროს წერილსაც, რომელშიც ნათქვამია, რომ სამხდრო წვრთნებს არა თავდაცვითი, არამედ აშკარა შეტევითი ხასიათი ჰქონდა.

მანევრების დაწყების წინ წვრთნების ხასიათზე ბელარუსი სამხედროებიც საუბრობდნენ. მათი განცხადებით, "დასავლეთი-2009"-ის მიზანია, შეამოწმოს, თუ რამდენად შეუძლია რუსეთსა და ბელარუსს მოკავშირე სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვა.

ამასთანავე პრეზიდენტმა ლუკაშენკომ აღნიშნა, რომ ასეთი წვრთნები უკვე მრავალი წელია, ტარდება და ის მეზობელი სახელმწიფოებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. იმავეს ამტკიცებს რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევიც. "მინდა, მკაფიოდ აღვნიშნო, რომ ჩვენი წვრთნების მიზანი თავდაცვითი ხასიათისაა. ჩვენ არავის ვემუქრებით. შეიარაღებული ძალები არ უნდა იყოს გაფანტული, როგორც ადრე იყო, ისინი ქმედითუნარიანნი უნდა იყვნენ."

სამხედრო წვრთნებზე დასაკვირვებლად, რომელსაც რუსეთისა და ბელარუსის პრეზიდენტები ესწრებოდნენ, მეზობელი ქვეყნების, მათ შორის პოლონელი დამკირვებლებიც იყვნენ მიწვეულნი.

# რევიუ

## პოეტური ფერწერა

### ვახტანგ (ტატო) ახალკაციშვილის პერსონალური გამოფენა-გაყიდვა

თამარ კიკნაველიძე

საქართველოში ვახტანგ (ტატო) ახალკაციშვილის პერსონალური გამოფენა პირველად მოეწყო. გალერეა "შარდენში", რომელიც სასტუმრო "თბილისი მარიოტშია" განთვასებული, 1979 წელს დაბადებული მხატვრის მიერ ტილოზე ფერწერაში შესრულებული ნამუშევრები გამოიფინა.

იქ ერთ დარბაზში ექსპონირებულია ტატო ახალკაციშვილის სხვადასხვა წლებში შექმნილი ტილოები, ხოლო მეორეში - სულ ახალი ნამუშევრები. მათში კარგად ჩანს ავტორის პროფესიონალიზმი და ოსტატობა. მისი ტილოები პოეტურია. პეიზაჟები, სახელწოდებით: "წვიმის წინ", "პარკი", "ტაძარი", შემოდგომა", "დუმფარები", "კათედრალი", "მთვარის შუქი", "არყის ტყე", "ფრენა", "მწუხრის იდუმალება", "მარტი", "დეკემბერი", გვიქმნიან ისეთ განწყობას, რომელიც დამთვალიერებელს მათი კიდევ ერთხელ ნახის სურვილს უმძაფრებს.

ტატო ახალკაციშვილის კომპოზიციები საინტერესოა და არ არის გადატვირთული. სასიამოვნო და განსაკუთრებულია მისი ფერთა გამა, მონასმი, თუ ხელწერა. აქვეა გამოფენილი მისი სერიული, დიდი თუ საშუალო ზომის ნახატები, მაგალითად: "შეხვედრა", "გასროლა", რომლებშიც ავტორი სათქმელისა და ჟანრის ახლებურად წარმოჩენას ახერხებს.







გამოფენაზე, ერთი ნამუშევრის გარდა, სახელწოდებით "სახელოსნო", პეიზაჟებია ექსპონირებული. ამის მიუხედავად, დამთვალიერებლისთვის ისინი მოსაწყენი არ არის. პირიქით, "შარდენში" მისვლას და მათ ნახვას ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, ვურჩევ. ისინი აღმოაჩენენ მხატვრის კულტურას, რომელიც აისახება, როგორც შესრულებაში, ასევე საქმისადმი დამოკიდებულებაში და თუ დავწვრილმანდებით, ნამუშევრისთვის ჩარჩოს შერჩევაშიც კი... ავტორისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ის გამოცდილება, რომელიც მან უცხოეთში, სხვადასხვა გალერეებთან თანამშრომლობით მიიღო.

როგორია მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია?

ტატო ახალკაციშვილი 1987-1996 წლებში სწავლობდა თბილისის საბავშვო სამხატვრო ათწლედში, ხოლო 1996-2003 წლებში - თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში; 2004 წელს იყო "ფიგურატიული ხელოვნების სახელოსნოს" წევრი, 2005 წელს - საქართველოს მხატვართა კავშირის, 2006-2009 წლებში კი - საერთაშორისო მხატვართა კავშირის IKV წევრი (კიოლნი, გერმანია). მისი ნამუშევრები დაცულია: საქართველოში, თურქეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისში, შვეიცარიაში, საბერძნეთში, ჩინეთში, აშშ-სა და იაპონიაში.

იაპონია მის ცხოვრებაში განსაკუთრებული აღმოჩნდა. მანამდე კი იყო ჯგუფური გამოფენები, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, სადაც ტატო ახალკაციშვილმა დამთვალიერებელს თავი დაამახსოვრა. საქართველოში ორგანიზებულის პარალელურად, ის მონაწილეობდა ექსპოზიციებში, რომლებიც სხვადასხვა წლებში მოეწყო მანჰაიმში, ოსნაბრუკში, გელზენკირჰენში, ებერბახში, კიოლნში, ბეხენში (გერმანია), ბორგომანეროში (იტალია), პარიზში (საფრანგეთი), ერევანში (სომხეთი), ნაპლისში, ფლორიდაში (აშშ), სენდაიში, ტოკიოში, მაცეიამაში (იაპონია).

ფერმწერმა გაზეთ "24 საააათის" კითხვებსაც უპასუხა.

**- საქართველოში პერსონალური გამოფენა პირველად მოაწყვეთ... რას ნიშნავს ეს თქვენთვის, როგორც შემოქმედისთვის?**

- პირველ პერსონალურ გამოფენას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. იმის გამო, რომ ვმუშაობ საზღვარგარეთ, კონტრაქტებით, მთელი დრო მიაქვს იქ მუშაობას და ნამუშევრების უმეტესი ნაწილიც უცხოეთში იფინება და იყიდება. მე ყოველთვის მინდოდა საქართველოში, სადაც ვცხოვრობ და საიდანაც სამუდამოდ წასვლას არც ვაპირებ, ჩემი შემოქმედება გამომეფინა და უფრო ფართოდ მეჩვენებინა რას ვაკეთებ...

**- გალერეა "შარდენში" ექსპონირებულია ფერწერაში რეალისტურად შესრულებული პეიზაჟები. ეს ტექნიკა, სტილი და ჟანრი თქვენთვის განსაკუთრებულია?**

- პეიზაჟი, როგორც ჟანრი, ხოლო სტილი და მანერა, როგორც რეალისტური - ჩემი სამეტყველო ენაა და თავისთავად, მნიშვნელოვანიც...

**- ადრე ფიგურატიული მხატვრობით იყავით გატაცებული და "ფიგურატიული ხელოვნების სახელოსნოც" ჩამოაყალიბეთ...**

- მეგობარ კოლეგებთან ერთად შევქმენი ჯგუფი. ჩვენ გვაერთიანებდა იდეა, რომელიც ითვალისწინებდა იმას, რომ თანამედროვე ხელოვნება რაიმე გაუგებარს სულაც არ ნიშნავს და რახან თანამედროვეა, ბოლმისა და ნაგავის გადმონთხევა აუცილებელი არ არის. ამ დროშიც შეიძლება აკეთო ის, რასაც ვაკეთებდით და ახლაც ვაკეთებთ. ჩვენთვის ყველაზე მთავარი იყო სულის სიღრმე, განწყობილებია და დადებითი ენერგია... აი, ამის შექმნას ვცდილობდით ხელოვნებაში და ახლაც ვაგრძელებთ.

**- რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს ეტაპი?**

- ეს ეტაპი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვისაც და ჯგუფის წევრებისთვისაც... ის იყო ჩვენი შემოქმედებითი გზის ერთგვარი აუცილებელი მონაკვეთი, გადებული ხიდი და თუ გნებავთ, ლოგიკური სვლა მომავლისკენ...

**- რა ბედი ეწია ამ სახელოსნოს და მის წევრებს?**

- ჩვენმა ჯგუფმა ამოწურა დრო, დანიშნულება და მიაღწია მიზანს, რომლისკენაც ერთად უნდა გვევლო... ჯგუფის დაშლა სავსებით ლოგიკური და აუცილებელიც კი იყო იმისათვის, რომ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გაგვეგრძელებინა გზა მთავარისაკენ, უშუალოდ საკუთარი თავისა და ცხოვრების საკვლევად... ჩვენ დავრჩით კოლეგებად, მაგრამ საკუთარ გზას დავადექით, ერთმანეთთან დღემდე ახლო, მეგობრული დამოკიდებულება გვაქვს...

რაც შეეხება "ფიგურატიული ხელოვნების სახელოსნოს", ამ ჯგუფში იყვნენ: **ლევან მინდიაშვილი**, რომელიც ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს არგენტინაში, ბუენოს აირესში, იქვე სწავლობს კიდეც ასპინარტურაში, **ირაკლი ბუგიანიშვილი**, რომელიც ცხოვრობს და მოღვაწეობს დიუსელდორფში, გერმანიაში, დაამთავრა კარლსრუნეს სამხატვრო აკადემია, ახლა სწავლობს ასპირანტურაში, **მალხაზ დათაშვილი**, რომელიც მოქანდაკეა და ამჟამად ცხოვრობს თბილისში, იფინება გერმანიაში და აქტიურად თანამშრომლობს გალერეასთან "KUNSTRAUB99" კიოლნში (გერმანია)...

**- რას გვეტყვით იაპონიაზე, რა ადგილი უჭირავს ამ ქვეყანას თქვენს ცხოვრებაში?**

- იაპონიაზე დაუსრულებლად შემიძლია საუბარი... ვფიქრობ, რომ იაპონია და იაპონიაში მუშაობა - ეს ცალკე თემაა... მას ჩემს შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია, ჩემთვის იქ მუშაობა ძალიან საინტერესო და საეტაპოა...

**- თქვენი ნამუშევრები სხვადასხვა ქვეყანაში იფინება... მათ შორის რომელი იყო თქვენთვის, როგორც შემოქმედისთვის, განსაკუთრებული?**

- ვფიქრობ, რომ ნამუშევრების გამოფენა, მოგზაურობა და მუშაობა ყველგან ძალიან მნიშვნელოვანი და განსაკუთრებულია... თუმცა, ამერიკის, საფრანგეთისა და იტალიის გვერდით, გერმანიასა და იაპონიას გამოვარჩევდი...

**- ვიცი, რომ წერთ მოთხრობებს... რას გვეტყვით ამაზე?**

- მე მართლაც ვწერდი მოთხრობებს, ლექსებს, მაგრამ ამაზე

არასოდეს მილაპარაკია და მათ ახლობლების ვიწრო წრეს ვაკითხებდი მხოლოდ... ჩემი ერთი მოთხრობა ჟურნალ "ცხელ შოკოლადში" დაიბეჭდა, რადგანაც მან კონკურსში გაიმარჯვა და ხუთეულში მოხვდა, რაც ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო...

**- გვითხარით თქვენი გეგმების შესახებ, საქართველოსთან სამომავლო ურთიერთობებზე...**

- ჩემი გეგმები ასეთია: ვაგრძელებ კონტრაქტებს იაპონიასა და აშშ-ში, ვიწყებ თანამშრომლობას ორ ახალ გალერეასთან, რომლებიც აშშ-შია და ამისათვის კარგად უნდა მოვემზადო... ამის გარდა, გამომცემლობა, სახელწოდებით "SONO", ბეჭდავს ჩემი ნამუშევრების ახალი პრინტების სერიას და გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩავალ ნიუ იორკში ან ლოს ანჯელესში. პრინტებზე ხელის მოსაწერად. რაც შეეხება საქართველოს, აუცილებლად გავაგრძელებ თანამშრომლობას გალერეებთან: "შარდენი" და "ჰობი"...

**- როგორია თქვენი თვლით დანახული მხატვრული ტენდენციები, რომლებიც მსოფლიოში აქტუალურია და ინტერესს იწვევს?**

- ახლა მსოფლიოს მხატვრული ტენდენციები ქაოტურია... უბრალოდ, კარგად უნდა მოძებნო ფორმა იმისათვის, რომ ზუსტად გადმოსცე საკუთარი სათქმელი, ეს კი ძალიან რთულია და აი, ამიტომაც ვიღებთ ამდენ სიმახინჯეს თანამედროვე ხელოვნებაში...

კომენტარები მთავარზე



## დიდი გადანაწილება

ლაშა ბუღაძე

ასეთი სიზმარი ვნახე:

მოქმედება ზეციურ საქართველოში ხდებოდა ასი წლის შემდეგ. ყოფილ ქართველთა სულები ერთ-ერთი მთავარი განმანაწილებლის მისაღებში ირეოდნენ და თავიანთ განაჩენს ელოდნენ.

ვაღიარებ, ჩემი სიზმრისეული სალხინებელი საოცრად ბიუროკრატიულად გამოიყურებოდა, მაგრამ ეს ნამდვილად არ იყო ჩემი ბრალი - ზეციური საქართველო სწორედ ისეთი აღმოჩნდა, როგორი წარმოდგენაც ქართველ სასულიერო პირთა აქტიურმა ნაწილმა შემიქმნა მასზე: რაღაც მატერიალისტურ, პოლიტვნებებითა და ხიფათებით აღსავსე *ქართულ სულიერებაში* ამოვყავი თავი.

ჩემდა სამწუხაროდ, სიზმარში აქტუალური თემები *ჩამყვა* მიწიერი საქართველოდან და იმის მაგივრად, რომ პასუხები მომესმინა ფაუსტურ შეკითხვებზე - *ვინ ვარ, საიდან მოვდივარ და საით მივდივარ* - დავესწარი მკაცრ დაკითხვას, რომლის დასრულების შედეგად ერთ-ერთ მთავარ განმანაწილებელს განაჩენი უნდა გამოეტანა იქ გამოცხადებული სულებისათვის.

აი, დაკითხვის სიზმრისეული ოქმიც:

"განმანაწილებელი: (მიმართავს ერთ-ერთ გზააბნეულ სულს ყოფ. თავისუფლების ინსტიტუტიდან) რა იყო ახლა ეს? რა გააკეთე ვითომ ამით?

(ხომ მიხვდით, *რასაც* გულისხმობდა?)...

გზააბნეული სული, სახელად Theo: (ქვითინით) ჩემ პრეზიდენტზე რომ თქვა პატრიარქმა, ცუდი კაპიტანიაო, მაგაზე გავბრაზდი. თან საპატრიარქოს კაგებეშნიკებს დავცხე ამით. რუსეთთან იყვნენ მაგენი შეკრული.

განმანაწილებელი: (მიმართავს Theo-ზე აღშფოთებულთა მრევლს) თავად აღიარეთ, თუკი გინდათ, რომ ჯოჯოხეთში არ გიკრათ თავი, როგორ იცავდით პატრიარქს, მართლმადიდებლობას და *სიწმინდეს?*

აღშფოთებულთა მრევლი: (ქვითინით) ვემუქრებოდით, რომ ღორივით წავაჭრიდით თავს...

განმანაწილებელი: (მკაცრად) კიდევ!

აღ. მრევლი: (ქვითინით) ვაგინებდით დედის ტ...ს, - როგორც ასეთს, ვუწოდებდით ასოს (ბევრად უფრო მკვეთრი ტერმინებით), კახპას (ამასაც უფრო მკვეთრად), ვემუქრებოდით გაუპატიურებით, აკუწვით, მისი სისხლის დალევით და ცოცხლად შეწვით...

განმანაწილებელი: და ეს ყველაფერი ცივილიზებული facebook-ის სივრცეშიც, არა?

აღ. მრევლი: (ქვითინით) დიახ, თან გვაქვს ეს ტექსტები...

განმანაწილებელი: და ფიქრობდით, რომ კარგი ქრისტიანები იყავით ამ დროს?

აღ. მრევლი: (ქვითინით) ჩვენს უწმინდესს ვიცავდით... მასაც ხომ დაესხნენ თავს.

განმანაწილებელი: (სრულიად აღშფოთებული) ასე ხომ, *გინებით?* და მისი დაცვის მიზნით შეგეძლოთ ღორივით წაგეჭრათ ვინმესთვის თავი?

აღ. მრევლი: (ქვითინით) არა, ტყუილა ვამბობდით... თალიბები კი არ ვართ...

განმანაწილებელი: (აწყვეტინებს მრევლს) ხართ... ვერბალური თალიბები.

აღ. მრევლი: (ქვითინით) დიახ... შევირცხვინეთ თავი...

განმანაწილებელი: მაგრამ როგორც ქრისტიანებმა, თავად ხედავთ, მაინც შეიქმენით პრობლემები. სული დაინაგვიანეთ.

აღ. მრევლი: (არარსებულ ლოყაზე ირტყამენ არარსებულ ხელისგულებს) ვაიმე! ვაიმე! ვაიმე!

განმანაწილებელი: (მიმართავს მართლმადიდებელი მშობლების კავშირის წევრებს) თქვენ რა გინდათ აქ, ხომ მიგავლინეთ უკვე შესაბამის ადგილას?

მართლადიდებელ მშობელთა კავშირის წევრები: (არარსებულ ხელებში დამტვრეული კომპიუტერები უჭირავთ)

ჰელოუინზე შეგვტენეს აქაც და... ვერ გავჩერდით.

განმანაწილებელი: დიახ, ამიერიდან სამუდამო ჰელოუინზე მოგიწევთ კბილთა ღრჭენა. თან არა ფიქტიურ, როგორც ეს მიწიერ საქართველოში იყო, არამედ ჭეშმარიტ, ჯოჯოხეთურ ჰელოუინზე! გეცლიათ იმ ბავშვებისთვის გართობა და ბევრად უფრო ლიბერალურად მოგეპყრობოდით...

მ. მ. მ. კავშირის მღვდელი: მღვდელი ვარ მე... ჩემზე წესით არ უნდა ვრცელდებოდეს ეს სასჯელი.

განმანაწილებელი: თქვენ ხართ მღვდლობის ინსტიტუტის დისკრედიტატორი და არა მღვდელი. ასე რომ, თქვენ კიდევ უფრო მკაცრად მოგთხოვთ პასუხს. მარადიულ ჭიაკოკონობაზე მოგიწევთ რბენა. (მიმართავს სხვა მღვდლებს) თქვენ კი რა ჰქენით, იმის მაგივრად, რომ ესენი შეგეჩერებინათ, ან აღშფოთებულ-აგრესიულთა მრევლისთვის სიმშვიდისკენ მოგეწოდებინათ, პირიქით, კიდევ უფრო გააღიზიანეთ ეს ბრბო, რაღაც *ბრძოლებზე,* არარსებულ თავდასხმებზე და - პირდაპირ გეტყვით - სისულელეებზე იქადაგეთ და *მხეცი* გააღვიძეთ ამ ხალხში...

აღშფოთებულთა მრევლი: (ქვითინით) ახლა რა ჯანდაბა ვქნათ? როგორი განაჩენი გველის?

განმანაწილებელი: (დუმილის შემდეგ) ეჰ... მიჭირს ამის თქმა, მაგრამ მომიწევს... (ხმას აღიმაღლებს) წარმართთა განსაწმენდელში მოგვიწევს თქვენი გაშვება, რადგან *ღორივით თავის მოჭრაზე* და *სისხლის დალევაზე* მხოლოდ წარმართები ლაპარაკობენ თავისი *სიწმინდეების* დაცვისას... რა გესაქმებათ თქვენ ქრისტიანებში! ან ევროკავშირში, ან ნატოში, ან თუნდაც გუამში...

პროფ. ლადარია: (მოწიწებით) იმედია, მე არ მგულისხმობთ. მე მაინც სხვა ვარ.

განმანაწილებელი: თქვენ და მიხაილ ლეონტიევს "ოდნაკოდან", ჩემო კარგო, ცალკე მოგთხოვთ პასუხს..."

# ქამანჩის ბრწყინვალე ოსტატი

სამსონ ლეჟავა



თბილისში, ერთ მოკრძალებულ, მომცრო ბინაში ცხოვრობს ჩვენს დედაქალაქში ერთხანს ძალიან პოპულარული, ამჟამად კი დავიწყების პირას მისული, ძალზე საინტრესო მუსიკალური ინსტრუმენტის - ხემიანი ქამანჩის მართლაცდა ბრწყინვალე ოსტატი, ბატონი სერგო კამალოვი. ჩვენში ამ საკრავს ჭიანურსაც უწოდებენ, რაც დაზუსტებას ითხოვს. საქართველოს მთიანეთში აქა-იქ ჯერაც შემორჩენილი ორსიმიანი ჭიანური უფრო სვანურ ჭუნირს უახლოვდება თავისი ჟღერადობით, ადგილობრივი წარმონაქმნია, მაშინ როდესაც ქამანჩა ჩვენში და საერთოდაც კავკასიაში - შემოსული ინსტრუმენტი ჩანს ალბათ სულ მცირე - როსტომის მმართველობის დროიდან მაინც, მაგრამ იგი ხალხმა შეიყვარა, შეითვისა და შეისისხლხორცა ქალაქურ - მით უმეტეს, თბილისურ მუსიკალურ სივრცეში. ეს არცაა გასაკვირი - პოლიეთანიკური თბილისი ხომ ყოველთვის ღია იყო სხვადასხვა კულტურული შენაკადებისათვის, და ამავე დროს - შინაგანად მთლიანი . დამახასიათებელია, რომ ერთხანს პოპულარული პიროვნება - ოსიკო ბარათაშვილი თბილისის ოპერაშიც მღეროდა ევროპულ არიებს და იმავდროულად - თარზეც შესანიშნავად უკრავდა. თარი ვახსენეთ და სწორედ ამ კონტექსტშია აღსანიშნავი, რომ თარის, ქამანჩისა და დაირის "ტრიადა" სრულყოფილ, "კლასიკურ" ანსამბლურობას აყალიბებს. ჩვენში ისეთი ხანდაზმული ოსტატები, როგორც მუკუჩ კაზარიანი (თარი), სერგო კამალოვი (ქამანჩა), რამის რიზაევი (დაიარა) ამას მთელი თვალსაჩინოებით ადასტურებდნენ. ბატონი სერგო კამალოვი მოღვაწეობდა პოპულარულ, დიდი დამსახურების მქონე ანსამბლ "საიათნოვაში". იყო დრო, როდესაც ის სუხიშვილების სახელმოხვეჭილ ანსამბლში ავლენდა თავის გამორჩეულ შესაძლებლობებს. ბოლო დროს მან "არტგენის" ფესტივალზე გაიბრწყინა, უფრო ადრე დავით ევგენიძის საგულისხმო ექსპერიმენტულ პროექტშიც მიიღო მონაწილეობა, ფილმებშიც გამოჩნდა, პრესაშიც დაიწერა მის შესახებ, მაგრამ ეს აშკარად არასაკმარისია. "აღმოსავლური", ოღონდაც ადგილობრივად, თბილისურად ძლიერ შეფერილი მუსიკალური კულტურა უფრო მეტად დუდუკმა შეინარჩუნა საქართველოში, ხოლო თარს, ქამანჩასა და ძველებურ დაირას, სამწუხაროდ, სრული მივიწყება ელის. ესეც ჩვენი დაუდევრობაა. აბა ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ დავუშვათ, ჩვენთან, თუნდაც დროებით - მოღვაწეობდეს რავი შანკარი. ყველა მასზე ალაპარაკდებოდა, დაემოწაფებოდნენ, ეგების ჭარბ ყურადღებასაც არ მოაკლებდნენ... არადა აქვე, ჩვენს გვერდით ცხოვრობს ბატონი სერგო კამალოვი, რომელსაც აქვს განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭი და გამორჩეული ცოდნა ე.წ. "მუღამათის" უმდიდრესი ტრადიციისა! მეტიც - იგი ი. გრიშაშვილის მიერ აღწერილი ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემის ცოცხალი წარმომადგენელიცაა - შესანიშნავად იცნობს ქალაქურ, ერთობ კოლორიტულ, მეტად თავისებური ზნეობრივი კოდექსის მატარებელ თბილისურ ფოლკლორს, იცის 800 ძველებური სიმღერა.

არც თუ ცოტა მომისმენია ქამანჩზე დამკვრელთათვის ჩვენი მოძმე მეზობელი რესპუბლიკებიდან. ნამდვილად კარგი ოსტატები არიან, მაგრამ ბატონ სერგოსთან ახლოსაც ვერ მოვლენ! გარდა იმისა, რომ იგი არათუ მხოლოდ ქამანჩის, არამედ თარის, დოლის, დაირისა თუ სხვათა ცოცხალი ენციკლოპედიაა და 13 წლიდან მომღერალიც გახლავთ, უმთავრესია, რომ უდავოდ დიდი ინსტრუმენტალისტია, უზარმაზარ ტექნიკურ არსენალს ფლობს, არასოდეს გაუჭირდება როკის, ჯაზის თუ სხვა მიმდინარეობათა პირველხარისხოვან მუსიკოსებთან ნებისმიერი სირთულის ანსამბლური შესრულება (რაც დაადასტურა ჰოლანდიაში გასტროლებისას, რამაც დიდი აღიარება მოუტანა). ის არაჩვეულებრივი იმპროვიზატორია. უმთავრესია, რომ გაშინაგანებულად ატარებს უძველეს მრავალსაუკუნოვან მუსიკალურ ტრადიციას, რომელიც უნიკალურ საგანძურს წარმოადგენს.

მაგრამ მთავარი ეს როდია. მთავარი ის არის, რომ ბატონი სერგო არაჩვეულებრივად გულმხურვალე ადამიანია, დიდად მოსიყვარულე, მეგობრული, სიკეთის გამზიარებელი. ბატონ მუკუჩ კაზარიანთან, (მის უახლოეს მეგობართან), და ცხადია, თავად ამ ჩინებულ პიროვნებასთან ურთიერთობა მრავლისმომცემია და სულიერად გამამდიდრებელია. სამწუხაროდ, ცხოვრებამ უმძიმესი ტკივილი მოუტანა ბატონ სერგოს მისი ვაჟის, თავადაც საუკეთესო მუსიკოსის, იოსებ (სოსო) კამალოვის უდროოდ გარდაცვალების გამო, რომელიც სოსოს სამეგობროსა და საძმოში ცხადია ახლაც ახსოვთ, როგორც არაჩვეულებრივი პიროვნება, დაუზარელი, თანამდგომი ყოველნაირ გაჭირვებაში, შემწე ახლობლებისა. ცხადია, ეს თვისებები მას მემკვიდრეობით ერგო ბატონი სერგოსაგან...

იცით ალბათ, რომ აღა-მაჰმადხანის შემოსევისას დიდი ერეკლეს საზანდარი, სახელმოხვეჭილი საიათნოვა ქამანჩით ხელში დალუპულა, არ დამორჩილებია მომხდურთ, უარი უთქვამს ქრისტიანობის უარყოფაზე. ბატონი სერგო კამალოვი მის ღირსეულ მემკვიდრედ მიმაჩნია, რომლის შემოქმედება სათანადო ყურადღებას, დაფასებას, პატივს, შესწავლას და შეცნობას მოითხოვს.

# სიყვარული ვნების გარეშე, თუ ვნება სიყვარულის გარეშე




გუშინ კინოთეატრ "ამირანში" ახალი ფილმის პრემიერა გაიმართა. რეჟისორმა დავით ჯანელიძემ ახალი მხატვრული ფილმი "ჯაყოს ხიზნები" წარმოგვიდგინა.

მთავარ როლებში ვიხილეთ: ნატო მურვანიძეს (მარგო), გიორგი ნაკაშიძეს (ჯაყო), ხოლო თეიმურაზის როლში ზაზა ბურჭულაძეს.

ფილმის ოპერატორია გიორგი გერსამია, მხატვარი ჯემალ მირზაშვილი, კოსტიუმები ეკა მაღალაშვილს ეკუთვნის, სცენარის ავტორები არიან ვაჟა გიგაშვილი და დათო ჯანელიძე. ფილმის მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ დათო ევგენიძეს.

# კოსმოსი - გადასაღები მოედანი

## ჯონი დეპისა და ანჯელინა ჯოლის დუეტი ალფონსო კუარონისთვის

ამჟამად ქართულ კინოეკრანებზე ერთდროულად ოთხი ადგილობრივი წარმოების ფილმი გადის. შეიძლება ითქვას, რომ ეს უკანასკნელი წლების ვითარების ფონზე ნამდვილად რეკორდია (სასწაული თუ არა). მით უმეტეს, რომ დღეიდან მათ რიცხვს კიდევ ერთი ფილმი, დათო ჯანელიძის "ჯაყოს ხიზნებიც" შეემატება. მოკლედ, საქართველოში კინო დუღს, ჰოლივუდში კი გადმოდუღს - ახლა სწორედ იქაურ ახალ ამბებს გაგაცნობთ.

ერთ-ერთი ყველაზე არასტანდარტული ჰოლივუდელი რეჟისორი უეს ანდერსონი ახალი პროექტისთვის ემზადება. ჯერჯერობით მხოლოდ გაკვრითაა ცნობილი, რომ ეს იქნება ფანტასტიკური ჟანრის ფილმი, რაც "როიალ ტენენბაუმისა" და "რაშმორის" რეჟისორისთვის მართლაც ახალი ამპლუა იქნება. მაგრამ ამ ამბავში ყველაზე ფანტასტიკური ისაა, რომ რამდენიმე სცენას ნამდვილ კოსმოსში გადაიღებენ. "ჯერჯერობით არ ვიცი, რამდენად მოვიპოვებ "ნასას" თანხმობას ჩანაფიქრის განხორციელებასთან დაკავშირებით, თუმცა ეს იდეა იმდენად მომწონს და იმდენად მაგიჟებს, რომ მზად ვარ ნებისმიერი დაბრკოლება გადავლახო", - ასეთია ანდერსონის კომენტარი.

უეს ანდერსონის არასტანდარტულობა თუნდაც იმაშიც მდგომარეობს, რომ ბოლო ფილმი, "ფანტასტიკური მისტერ ფოქსი" არა ბოლო დროს მიღებული სამგანზომილებიანი ეფექტებით, არამედ თოჯინური ანიმაციით გადაიღო. გარდა ამისა, იგი გადასაღებ მოედანზეც იშვიათად ჩნდებოდა და ამჯობინებდა, გადამღებ ჯგუფთან ელექტრონული ფოსტით ჰქონოდა ურთიერთობა. რა გამოვიდა ამ ექსპერიმენტიდან, 25 ნოემბერს გავიგებთ - ანიმაციის პრემიერა სწორედ ამ დღესაა დაგეგმილი.




სამუშაოსთვის ემზადება ბრიტანელი "ოსკაროსანი" მსახიობი ჰელენ მირენი. იგი რამდენიმე დღის წინ შეუერთდა ახალი ტრილერის "წითლის" სამსახიობო ანსამბლს, რომელშიც უკვე ირიცხებიან ბრუს უილისი და მორგან ფრიმენი. ფილმის სიუჟეტის თანახმად, ბრუს უილისის პერსონაჟი ამერიკის ცენტრალური დაზვერვის ყოფილი აგენტია, რომელიც მის მოსაკლავად დაგეშილი აგენტებისგან გარბის. უილისის ლიკვიდაციის ბრძანება კი მორგან ფრიმენის გმირმა გასცა - ამ უკანასკნელს დაზვერვიდან ზედმეტად ბევრის მცოდნე აგენტების მოცილება სურს. ჰელენ მირენის პერსონაჟი ცენტრალური დაზვერვის ყოფილი დირექტორია. ის ერთადერთი ადამიანია, ვისაც უილისის გმირი ენდობა და ვისი დახმარებითაც თვითგადარჩენას ცდილობს.

რეჟისორი ალექსანდრე პეინა კი კომედია "შთამომავლების" გადაღებას იწყებს, მთავარ როლში კი ჯორჯ კლუნის დაკავებას ცდილობს. თუმცა რაღა ცდილობს - მსახიობს კონტრაქტზე ხელი უკვე მოწერილი აქვს. ფილმს საფუძვლად კაუი ჰარტ ჰემინგსის რომანი უდევს, რომლის სიუჟეტის თანახმადაც მთავარი გმირი ცოლის საყვარლის ვინაობის დადგენას ცდილობს, რაც მისი აზრით, ოჯახის შენარჩუნებაში დაეხმარება. აღნიშნული პროექტი ალექსანდრე პეინას პირველი ფილმია უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში. მისი ბოლო ფილმი "შმიტის შესახებ" 2004 წელს გამოვიდა. კლუნის მონაწილეობით კი უახლოეს მომავალში ორი ფილმი გამოვა: "მაღლა ზეცაში" და "ადამიანი, რომელიც თხას უყურებდა". მსახიობი ასევე მონაწილეობს ზემოთ ნახსენებ "ფანტასტიკურ მისტერ ფოქსში" - მისი ხმით ბატონი მელია საუბრობს.

ტრილერ "ტურისტში" დაწყვილდებიან ჯონი დეპი და ანჯელინა ჯოლი. ტურისტი დეპია, ჯოლი - ინტერპოლის აგენტი. ეს უკანასკნელი სერიოზულ საქმეს იძიებს, რისთვისაც სატყუარას სახით გულუბრყვილო ტურისტის გამოყენება სჭირდება. საქმეს ის ართულებს, რომ პოლიციელი ჯოლი ყოფილ შეყვარებულზე ნადირობს, რაც ნიშნავს, რომ ქალი ძალიან გაბრაზებულია - ჯონი დეპის გმირი კი სერიოზულ შარში.

ადრე ტურისტის როლისთვის ავტრალიელ მსახიობს, ბოლო დროს ვარსკვლავად ქცეული სემ უორტინგტონის ამზადებდნენ (მეოთხე "ტერმინატორი" და ჯეიმს კამერონის "ავატარი"), თუმცა პროდიუსერებმა ჩათვალეს, რომ მისი მკაცრი სახე (რომელიც ძალიან მოგაგონებთ შვარცნეგერს), მსხვერპლის როლში აღმოჩენილი ტურისტისთვის მეტისმეტად შეუფერებელი იყო. ასევე ცვლილება მოხდა პოლიციელის როლთან დაკავშირებითაც, ანჯელინა ჯოლის ნაცვლად შარლიზ ტერონს უნდა ეთამაშა, მაგრამ ეს მსახიობი მეტისმეტად დაკავებული აღმოჩნდა და ახალი პროექტისთვის დრო არ აღმოაჩნდა.

ყველაზე საინტერესო კი ამ ამბავში ისაა, რომ ფილმის რეჟისორი სავარაუდოდ ალფონსო კუარონი იქნება. ეს სწორედ ის რეჟისორია, რომელმაც ორიოდე წლის წინ შესანიშნავი "კაცობრიობის პირმშო" გადაიღო. თუ კუარონი ფილმის გადაღებაზე თანხმობას განაცხადებს, მაშინ მაყურებელი არა ჩვეულებრივ კრიმინალურ დრამას, არამედ არაჩვეულებრივ ნამუშევარს მიიღებს.

## აფიშა

**6 ნოემბერი**

**თეატრი**

**ოპერისა და ბალეტის თეატრი**
ადოლფ-შარლ ადანის ბალეტი "ჟიზელი"
დასაწყისი: 19:00

**შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი**
"შობის მეთორმეტე ღამე"
რეჟისორი რობერტ სტურუა
დასაწყისი: 19.45

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**
თეატრი სხვენში
"ცხრაკლიტული"
დასაწყისი: 20:00

**მუსიკისა და დრამის თეატრი**
"მაკბეტი"
რეჟისორი დავით დაოიაშვილი
დასაწყისი : 20.00

თუმანიშვილის თეატრი
"ბაკულას ღორები"
რეჟისორი: მიხეილ თუმანიშვილი
დასაწყისი: 19:00

თავისუფალი თეატრი
"იდიოტოკრატია - ანუ ძალიან სასაცილო კომედია"
რეჟისორი: ა. ვარსიმაშვილი
დასაწყისი: 19:00

**პანტომიმის თეატრი**
"სამყარო"
დასაწყისი: 19.00

**კინო**
**რუსთაველი**
"გემრიელი ღრუბლები და მარმელადის წვიმა"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00;
"ნაზარის უკანასკნელი ლოცვა"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00; 18.30; 21:45;
"ყველაფერი კარგად იქნება"
დასაწყისი: 12:15; 14:15; 20:15;
"თბილისური Love Story"
დასაწყისი: 16:15; 18:15; 22.00;
"კოკო შანელი"
დასაწყისი: 20:00; 22.15;
"გაღმა ნაპირი"
დასაწყისი: 12.30; 14.30; 16.30; 18.30;
"ჯაყოს ხიზნები"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00; 22.15;

## სს "თბილსრესის" გაკოტრების მმართველის განცხადება

## სს "თბილსრესის" სამეურვეო ქონების აუქციონის ფორმით რეალიზაციის შესახებ

1. სს "თბილსრესის" გაკოტრების მმართველი აცხადებს აუქციონს სს "თბილსრესის" სამეურვეო ქონების რეალიზაციის შესახებ საქართველოს "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" კანონის 37-ე და 38-ე მუხლების შესაბამისად.

მოვალე: სააქციო საზოგადოება "თბილსრესი"

იურიდიული მისამართი: ქ. გარდაბანი, ალმაშენებლის ქ. N2.

საიდენთიფიკაციო კოდი: 226 521 653.

2. სამეურვეო ქონების რეალიზაციის მიზნით აუქციონი გაიმართება 2009 წლის 7 დეკემბერს 14.00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. გარდაბანი, ალმაშენებლის ქ. N2

3. აუქციონზე ერთ ლოტად გამოტანილი იქნება სს "თბილსრესის" სამეურვეო ქონება:

- სს "თბილსრესის" ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები - უძრავ-მოძრავი ქონება (ნარჩენი საბალანსო ღირებულება: 49 813 279, 84. (ორმოცდაცხრა მილიონ რვაას ცამეტი ათას ორას სამოცდაცხრამეტი ლარი და ოთხმოცდაოთხი თეთრი) 1116 ერთეული;

- მიწის ნაკვეთები საერთო ფართობით 136,61 ჰა;

- სს "თბილსრესის" ბალანსზე რიცხული საბრუნავი საშუალებები (მასალები) (საბალანსო ღირებულებით - 16 857 224,16 (თექვსმეტი მილიონ რვაას ორმოცდაჩვიდმეტი ათას ორას ოცდაოთხი ლარი და თექვსმეტი თეთრი);

4. სამეურვეო ქონება განლაგებულია: ქ. გარდაბანში; გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კალინინოში; გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ქესალოში; ქ. თბილისი, დაბა კოჯორში, ბეთანია. ერთობლიობაში აღნიშნული ქონება ემსახურება ელექტროენერგიის წარმოების (გენერაციის) საქმიანობას. დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. გარდაბანი, ალმაშენებლის ქ. N2;

5. სამეურვეო ქონების შეძენის სურვილის შესახებ განაცხადების მიღება იწარმოებს ინფორმაციის გამოქვეყნების დღიდან. მონაწილეობაზე განცხადებების მიღება შეწყდება 2009 წლის 7 დეკემბერს 12.00 საათზე.

6. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს და უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

7. სამეურვეო ქონების საწყისი ფასი შეადგენს 321 753 828 ლარი (სამას ოცდაერთი მილიონ შვიდას ორმოცდაცამეტი ათას რვაასოცდარვა ლარი);

8. "ბე"-ს სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10%-ს ლარებში. ბიჯი - 500 000 (ხუთასი ათასი ლარი) ლარი;

9. მხარეებს შორის ანგარიშსწორება იწარმოებს ლარებში, ანგარიშსწორების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული სავალუტე კურსის შესაბამისად.

10. განცხადებები მიიღება მისამართზე: ქ. გარდაბანი, ალმაშენებლის ქ. N2; საკონტაქტო ტელეფონები: + 995 55 22 22 44; + 995 99 5889 45; (824) 17 00 87. ფაქსი - (824) 18 07 45; L ელ.ფოსტა - tbilsresi@tbilsresi.ge

11. გამარჯვებულის გამოვლენის ძირითადი კრიტერიუმები:

- მაქსიმალური გასაყიდი ფასის დასახელება;

- ვალდებულების აღება აუქციონის პირობების დაკმაყოფილებაზე.

12. Aაუქციონის პირობები:

ა) აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხის გადახდა აუქციონის ოქმის გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

ბ) მე-3 და მე-4 ენერგობლოკების დადგენილი წესით ექსპლუატაცია და მათი გამართული ფუნქციონირება.

გ) არსებული სიმძლავრის შენარჩუნება მინიმუმ 2025 წლამდე.

დ) სხვა სააუქციონო პირობები, რომლებსაც აუქციონში მონაწილეობის მსურველი უნდა გაეცნოს მისამართზე: ქ. გარდაბანი, ალმაშენებლის ქ. N2;

13. სხვა დებულებები:

- აუქციონში მონაწილეობის მისაღებად პირი გაკოტრების მმართველს წარუდგენს შესაბამის განაცხადს და "ბე"-ს გადახდის ქვითარს (გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ორიგინალი). ამასთან ფიზიკურ პირებს დამატებით მოეთხოვებათ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, ხოლო იურიდიულ პირებს - წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის, ორგანიზაციის წესდების (დამოწმებული ასლი) და სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერის წარდგენა (ბოლო მდგომარეობით); თუ განაცხადი და მოთხოვნილი დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნება არასრულყოფილად, განაცხადი არ განიხილება.

- აუქციონის შედეგები აისახება აუქციონის შედეგების ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სს "თბილსრესის" გაკოტრების მმართველი და აუქციონში გამარჯვებული.

- აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე უარი ან\და დადგენილ ვადაში დარჩენილი თანხის გადაუხდელობა აუქციონში გამარჯვებულს უკარგავს "ბე"-ზე მოთხოვნას.

13. "ბე" და ძირითადი თანხა ჩარიცხულ უნდა იქნეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

რესპუბლიკა ბანკის დელისის ფილიალი, სავალუტო ანგარიში: 10034130002.

საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, სალარე ანგარიში: 179435200.

14. აუქციონში გამარჯვებულმა ქონების ღირებულება ("ბე"-ს გამოკლებით), აუქციონის ოქმის შედგენიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა უნდა ჩარიცხოს გამოცხადებულ საბანკო ანგარიშზე.

15. სხვა მონაწილეებს გადახდილი "ბე" უკან უბრუნდებათ მოთხოვნის წარდგენიდან 7 (შვიდ) დღის ვადაში;

სავალდებულოა:

შენიშვნა 1: აუქციონის ოქმი წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, რომელიც იდება მესამე პირის - სახელმწიფოს სასარგებლოდ, რაც გულისხმობს: გაკოტრების პროცესის დასრულების შემდეგ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მონიტორინგის განხორციელებას აუქციონის პირობების და ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათი დარღვევის შემთხვევაში სანქციების გამოყენებას, მათ შორის ნაკისრი ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობისა და დაწესებულ ვადაში შესაბამისი ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლისა და ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცევის ჩათვლით.

შენიშვნა 2: აუქციონის ოქმით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის სანქციების განსაზღვრა მოხდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 11 სექტემბრის N1-1/1366 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულებით" პირობებიანი აუქციონის მიზნებისთვის განსაზღვრული სანქციების შესაბამისად (მსგავსად).

*სს "თბილსრესის" გაკოტრების მმართველი*
*დავით ჩაჩხიანი*

# სტიქიონობა



ზაზა ფაჩუაშვილი

32 წლის წინათ, როცა მე და მამაჩემი "ლაზის" მარკის ავტობუსში გავიჭედეთ და ლაგოდეხის რაიონის სოფელ კავშირისკენ წავრახრახდით, მშვენიერი დღე იყო და, თუ ჩვენი გადახრილი ავტობუსის ტექნიკურ მდგომარეობას არ გავითვალისწინებდით, სტიქიის მომასწავებელი არაფერი იგრძნობოდა. 40 მგზავრის ნაცვლად 80 სულიერი ერთეულით და უამრავი უსულო საგნით გატენილი ავტობუსი ასფალტამოტეხილ გზაზე ისეთი თამამი ამპლიტუდით მიირწეოდა, ნამდვილად გააკვირვებდა დღევანდელი "ნისანის" მონარნარე ელექტრომობილის კონსტრუქტორებს. დღეს მეც ძალიან მიკვირს, მოსახვევებში როგორ არ ვყირავდებოდით, მაგრამ მაშინ ამაზე სულაც არ ვფიქრობდი და ერთი სული მქონდა, როდის დაუძახებდა მხიარული მამაჩემი ჯმუხ მძღოლს, ე, მაქანა გამიჩერეო.

ძალიან მიყვარდა მამასთან ერთად სოფელში წასვლა. ეს სურვილი განსაკუთრებით გამიმძაფრდა 13-14 წლის ასაკში, როცა მამაჩემს უკვე მთელი დატვირთვით ვეხმარებოდი და იმის უფლებაც მქონდა, რომ სახიფათო სიმაღლეზე მის მაგივრად მე ავსულიყავი. უწონადობაში გადამყვანი სიხარული მეუფლებოდა ხოლმე, როცა ბოსლის სახურავზე ფიცრის დასაჭედებლად ან შიფერის გამოსაცვლელად ავდიოდი. მამაჩემი, ბებიაჩემი და ბაბუაჩემი კი დაბლიდან მგულშემატკივრობდნენ. ბაბუაჩემი გაღიმებული იდგა და მოჭუტული თვალები უწყლიანდებოდა; ბებიაჩემი ფორიაქობდა და კაცებს საყვედურობდა, ეს ბოვში რატო აუშვით მაღლაო. მამაჩემი თითქოს წყნარად მიყურებდა, მაგრამ ვამჩნევდი, რომ ჩემს ყოველ მოძრაობას იმეორებდა: ჩემთან ერთად მიხოხავდა, ჩემთან ერთად ამაგრებდა სიმძიმეებს, აჭედებდა, აძრობდა და ბოლოს საქმიანი ტონით დამიძახებდა, ჰე, ეყოფა ახლა, მაგას მეტი არაფერი უნდაო. მეც სანამ ჩამოვიდოდი, მთელ ძალებს ვიკრებდი, რომ სახეზე გამოხატული კმაყოფილება დამემალა, თუმცა ბებიაჩემთან რას გავხდებოდი. როგორც კი მომიგულებდა, მაშინვე მოიქცევდა ხელისგულებში ჩემს ლოყებს, სახეს ახლოს მომიტანდა და მიჩურჩულებდა:

- რა გიხარია, ბებია, გამისკდა გული, აღარ ახვიდე მაღლა. მაგას ბაბუაშენი და მამაშენი მიხედავენ.

მერე თითებს მომითათუნებდა, მუდარით სავსე თვალებით შემომხედავდა, რომ მისთვის დამეჯერებია და საქმეზე გატრიალდებოდა.

ამასობაში მამაჩემი და ბაბუაჩემი ახალ სიმაღლეებს შეჰყურებდნენ და შეკეთების ვარიანტებზე ბჭობდნენ. მერე დავალებასაც მომცემდნენ და ისევ იწყებოდა ფარდულიდან გამოსული ბებიაჩემის გულისფანცქალი, რაც სასიამოვნო სიამაყით მავსებდა.

იმ დღესაც, 32 წლის წინათ, 4 საათის განმავლობაში საბჭოთა განზომილებაში მგზავრობის შემდეგ, როგორც იქნა მივაღწიეთ გრიგოლას სანატრელ ბოგირამდე და შვებით ამოვისუნთქეთ. შებინდებული იყო, როცა ეზოში შევედით და განათებულ ფანჯარაში შევიხედეთ. მაგიდასთან ისხდნენ თავდახრილები. ბებიაჩემს ხელში ნემსი და ძაფი ეჭირა და თითქოს ცხვირთან მიტანილ ნაჭერს უმიზნებდა, ბაბუაჩემს კი თავი გაზეთში ჰქონდა ჩარგული. ფანჯარაზე კაკუნს რომ არავინ გამოეხმაურა, კარი შევაღეთ და... ჩათვლიმა, თურმე, ორივეს. იმ კარის ჭრიალზე ვინ არ გაიღვიძებდა და ატყდა "უიმე, თქვენ გენაცვალეთ და ვაიმე, თქვენი ჭირიმეს" ტრიალი. ბებიაჩემი არ შეცვლილა, ყოველთვის ასეთი იყო და პირიდან სულ თაფლი და თათარა ამოდიოდა. ბაბუაჩემი კი თავშეკავებით უმკლავდებოდა მოზღვავებულ სიხარულს. როგორ ვატყობდი? - ჩვენი დანახვისას პატარა ბავშვივით მოუგროვდებოდა ხოლმე ტუჩები, თითქოს ტირილი უნდა დაიწყოსო. ძლივს ახერხებდა გაღიმებას და გულში ჩაკვრას. მერე ცოტა შეყოვნდებოდა და ხელს რომ გაგიშვებდა, ჩვეულებრივი ვანო პაპა იყო, მაგარი კაცი, სოფლის თამადა და თავი. მიცვალებულსაც კი არ უშვებდნენ საფლავში მის მიერ წარმოთქმული გამოსათხოვარი სიტყვის გარეშე.

მოკითხვას უმალ მოჰყვა ყველი, პური, მჟავე, ჩახოხბილი და ლიტრანახევრიანი რქაწითელი, მაგრამ ბებიაჩემი რის ბებიაჩემი იქნებოდა, ხაჭაპურის, ჩიჟი-პიჟისა და შემწვარი წიწილას გარეშე რომ დავეძინებიეთ. ჩვენს სავახშმო იდილიას კი, ჩემი აზრით, ძალიანაც უხდებოდა შხაპუნა წვიმის ფონი. ერთი-ორჯერ ელვა და ჭექა-ქუხილი უსიამოდ კი შემოგვეჭრა ოთახში, მაგრამ რქაწითლით გათამამებულებს ამისთვის ყურადღებაც არ მიგვიქცევია. წვიმის გამო მეორე სართულზე ასვლა დაგვეზარა და ყველანი დაბლა, ჩვენს საყვარელ ოთახში დავწექით. ბებიაჩემმა ტახტზე მოისვენა, მამაკაცები კი "სეტკიან კრაოტებში" გამოვიჭიმეთ. უბედნიერესი ადამიანი ვიყავი, როცა საბანში გავეხვიე, ჩავთბი და უფროსების ტკბილ საუბარს მივაყურე.

ზუსტად ველარ ვიხსენებ, რამ გამაღვიძა, წყლის სისველემ თუ უფროსების ხმაურმა, მაგრამ, როცა თვალი გავახილე, სველში ვიწექი, უფროსები კი მუხლამდე წყალში იდგნენ და აქეთ-იქით აწყდებოდნენ. უფრო სწორად, კარს ბებიაჩემი აწყდებოდა და ყვიროდა, გამიშვით, საქონელი დამეხრჩობა, ბაგაზე მიბმული დავტოვეო. ბაბუაჩემი და მამაჩემი კი აკავებდნენ, ქალო, რა დროს ძროხებია, ჩამოიქცა ცა, გარეთ რა გინდაო. ეს რა არის-მეთქი, - აღმომხდა ამასობაში და მამაჩემს მაშინ გავახსენდი მძინარე ბავშვი. სანამ ჩემამდე მოაღწევდა, საწოლზე წამოვხტი, მაგრამ "სეტკა" უფრო ჩაიწია და კოჭებამდე წყალში ჩავდექი. მამაჩემმა ხელში ამიყვანა და ტახტზე გადამიყვანა. სულ სველი ვიყავი. მერე, სანამ "ვეშოლკამდე" მივიდოდა, გასამშრალებელსა და ტანსაცმელს მომიტანდა, ბებიაჩემმა დრო იხელთა, ბაბუაჩემს გაუსხლტდა და გარეთ გავარდა. კარის გაღება და ოთახში ნიაღვრის შემოვარდნა ერთი იყო. მაშინ მთელი სიცხადით გავიგონე და დავინახე ჭექა-ქუხილის გამაყრუებელი ხმაური და ცეცხლოვანი მძვინვარება. ახლა, ამ სტრიქონების შემდეგაც კი, მიგუბდება ყურები და მიჭრელდება თვალები.

მამაჩემი ბებიაჩემს გაჰყვა, ბაბუაჩემი კი მარნისკენ წასულა "ლამფის" გამოსატანად. მე კარგა ხანს დავრჩი გაშეშებული. თითქოს, იმ ცას, ზემოდან რომ ჩამოიქცა, ჩემი სახურავისტოლა ვაჟკაცობა სულ მთლად გაეცამტვერებინა და მიწაზე დაენარცხებინა.

იმდენხანს ვიყავი სახტად, რამდენი დროც დასჭირდებოდა ბაბუაჩემის მიერ მუხლამდე წყალში მოცურავე სკამების, "კალოშების", რეზინის ჩექმების, წინდებჩაწყობილი ფეხსაცმელების, ღია ვერანდაზე მდგარი ხის კუშეტკის, თავსხმამდე თხილითა და სიმინდით სავსე ალუმინის თასების, ქვაბების, სიმინდის ტაროების, ცოცხების, იატაკისა და კართან აყუდებული ხელჯოხების ატორტმანებული ბარიერის გადალახვას, სერვანდის უჯრაში ასანთის პოვნას, გაკვრას, სერვანდის თავიდან "ლამფის" ჩამოღებას, ანთებას და უკან ვერანდაზე გამოსვლას. ფანჯრიდან დანახულმა ბაბუაჩემის შუქურამ ერთიანად გამომაფხიზლა, მამაჩემი და ბებიაჩემი მომანატრა, თითქოს საუკუნე გასულიყო, რაც ჩემგან შველას ითხოვდნენ. იმ სუსტ "ლამფის" შუქს იმაზე მეტი ძალა აღმოაჩნდა, ვიდრე ჯოჯოხეთური უკუნისა და ზევსისებური ელვის დამაბრმავებელ მონაცვლეობას. სანამ ბაბუაჩემი ვერანდას გაივლიდა და ეზოში გასასვლელ კარამდე მიაღწევდა, შარვალი ავიკაპიწე და ტახტიდან ჩამოვხტი. თითქოს კოჭიდან მუხლამდე რაღაცამ გამსერა და სხეულში ყინვა შემოუშვა. გამაჟრჟოლა. წყლის ზედაპირს ხელი მოვავლე და სეტყვის კაკლებისაგან შეწეპებული ყინულის ნაჭრები ამოვიღე. ამ შეყინული ტეხილებით ყოფილა სავსე ზედაპირი. პირველი ნაბიჯი გამიჭირდა, მაგრამ ყოველი მომდევნო სულ უფრო და უფრო მიადვილდებოდა და როცა ვერანდაზე გავედი და ბაბუაჩემს დავეწიე, ფეხების ტკივილს ველარც ვგრძნობდი. ან რა უნდა მეგრძნო, როცა გამუდმებულ ელვას და კაკლისოდენა სეტყვას ღამე სულ მთლად გაეღიავებინა, გარემო კი წაეშალა. მოაჯირიდან მხოლოდ ორი ნაბიჯის გადადგმა გვჭირდებოდა, რომ მეორე სართულის დიდი აივნის ქვეშ შევსულიყავით, რომლის გავლის შემდეგ კიდევ ხუთი ნაბიჯის გადადგმა დაგვჭირდებოდა ბოსელში შესვლამდე, სადაც ჩვენები გვეგულებოდნენ. ბაბუაჩემმა ლამფა იღლიის ქვეშ მოიქცია და ვერანდის ქვეშ შევარდა. მეც მივყევი, მაგრამ თავპირში იმდენი ხოშკაკალა მომხვდა, ყურები სულ ამეწვა. ასე ჩვენმა დამსახურებულმა პედაგოგებმაც კი არ იცოდნენ ყურების ტკენა. აივნის ქვეშ დაგუბებული წყალი აღარ იყო, მაგრამ ჩქარ დინებას იმდენი ხარა-ხურა მოჰქონდა, რომ კოჭები მთლად დაგვეჟეჟა.

ხუთი ნაბიჯის გადადგმა აღარ დაგვჭირვებია, ბოსლის მხრიდან მამაჩემის ხმა გვიახლოვდებოდა. მოდი, მოდი, დედა, აქეთ, უყვიროდა ის ბებიაჩემს. ცოტაც და ორივე აივნის ქვეშ შემოვიდნენ. მამაჩემს მკლავები აეწია, თავის გარშემო მრგვალად შეეკრა და სიდედრს გადაფარებოდა. ბებიაჩემს კი ისეთი ფერმკრთალი სახე ჰქონდა, ელვის ფონზეც კი ემჩნეოდა. მარიამ! - მომესმა ბაბუაჩემის შეშინებული ხმა. გამიკვირდა, ასე არასოდეს მიმართავდა ცოლს, ჩვეულებრივ მაროს ეძახდა. მარიამ! - გაისმა მეორედ, რასაც მამაჩემის ძახილი მოჰყვა, ჩქარა, ჩქარა, მეორე სართულზე ავიდეთო. ბებიაჩემმა კიბეზე ასვლა ველარ შეძლო და მამაჩემმა აიტატა. ხელი მეც შევაშველე. ბებიამ კი მარცხენა მომხვია და მომეხუტა, თითქოს სტიქიის მიერ წართმეული პატარა ვაჟკაცობის ნაცვლად სიკვდილამდე მისატანი რაინდობა დამიბრუნა.

მეორე სართულზე შევტყაპუნდით თუ არა, ბებიაჩემს კანკალი დააწყებინა. ტახტზე დავსვით და ყურება დავუწყეთ. უფრო სწორად, მე და ბაბუაჩემი ვუყურებდით, როგორ ხტოდა ერთ ადგილზე თავიდან ფეხებამდე ათრთოლებული ქალი, თორემ მამაჩემმა სველი პერანგი გაიხადა, ჩაიმუხლა, ბებიაჩემის გაყინული ფეხები გულში ჩაიკრა და ორივე ხელით დაუწყო ზელა. დროდადრო ფეხები პირთან მიჰქონდა, აორთქლებდა და ისევ ზელდა. როგორც იქნა, მეც გამოვერკვიე, მივვარდი ბებიას და ხელების ზელა დავუწყე. ცოტა ხანში თავად ვიგრძენი, როგორ გამითბა სხეული და ბებიაჩემმაც იწყო დაშოშმინება. როგორც კი ტუჩების თრთოლვამ გაუარა, ბუტბუტი დაიწყო: ღმერთო, შენ გვიშველე! ღმერთო, შენ გვიშველე! ღმერთო, შენ გვიშველე!

მარიამ! - გაისმა მესამედ ბაბუაჩემის უკვე გამამხნევებელი ტონი და დავცხრით, დავეყარეთ დივანზე ერთმანეთთან მიხუტებულები. ნელ-ნელა გუგუნიც მიწყნარდა. უკვე თენდებოდა, მაგრამ განძრევის თავი არ გვქონდა და ჩავყუჩდით.

რამდენი დრო გავიდა, არ ვიცი, მაგრამ დილით ისეთი მზე ამოვიდა, კოშმარული ღამე სიზმარი გეგონებოდათ. წამოვვარდით, გავვარდით აივანზე, ვისაც როგორი სისწრაფით შეგვეძლო და გავშეშდით. არემარე გადათეთრებულიყო, ფოთლისა და მწვანე ფერის ნასახიც კი არსად ჩანდა. ეზოში თოვლივით იდო ნახევარ მეტრამდე სეტყვა, რომელსაც სიცოცხლის ნიშანწყალიც თან ჩაეტანა და ჩაეყინა. მეზობლებს გადავხედეთ, ზოგი ჩვენსავით აივნიდან იყურებოდა, ზოგი უკვე ეზოში ფუსფუსებდა.

- ჰეი! რავა ხართ, ბიჯო! ლუტო!.. რაჟდენ!... სარიმან!... გრიგოლ!.. ანდრო! - რიგრიგობით გასძახა კარის მეზობლებს მამაჩემმა.

- კარგად, კარგად დევიქეცით, გონია, თქვენ, რავა ხართ! - შეგვეხმიანენ აქეთ-იქიდან.

- რა ვიცი, რავა ვართ, ახლა ვნახავ და მოგახსენებთ, - ჩაილაპარაკა მამაჩემმა და ქვემოთ ჩავიდა. ჩავყევით.

სულიერიდან მხოლოდ ვენახი დაგვეღუპა. ბებიაჩემის თავგანწირვამ ძროხები დახრჩობას გადაარჩინა. საქათმე არ ჩანგრეულა და ქანდარაზე შეფენილ ქათმებს წყალი ვერ მისწვდენოდა. ღორებს ახალ წლამდე ყოველთვის უმართლებთ. ისეთ ჩაბეტონებულ სადგომებში არიან, წარღვნაც ვერაფერს დააკლებდათ. წიწილებიც ბეტონის ფარდულმა გადაარჩინა, სადაც დიდი წყალი ვერ შევარდა.

პირველ სართულზე წყალს სქელი ლამი და მასში ამოსვრილი ნივთები დაეტოვებინა. ბებიაჩემმა ერთი კი შეიცხადა, მაგრამ ბაბუაჩემის ღიმილიანმა შეძახებამ, ნეტა შენც, მოგცლია, მთავარია ცოცხლები ვართო, ვიშვიში შეაწყვეტინა. კარ-მიდამოს შემოვლა სახლის უკან ვენახში გავაგრძელეთ. ბაბუაჩემი პირველივე მწკრივთან ჩაიკეცა და ველარ ავაყენეთ. მსხმოიარე რქაწითელიდან მხოლოდ ძირები და მსხვილი ყლორტები დარჩენილიყო და ისიც დახეთქილ-დაპობილი.

საბედნიეროდ მაშინვე მოვიდა ოჯახის კიდევ ერთი წევრი, რაიონულ საავადმყოფოში მორიგედ მყოფი ნინა ბებო, ბებიაჩემის უმცროსი და, სანიტარული მანქანით და გულისხეთქებით, ცოცხლები ხართო. გააქანეს ბაბუაჩემი საავადმყოფოში. როგორც აღმოჩნდა, წნევასაც დაურტყამს და კუჭის წყლულიც გახეთქია. გადაჰყვა კაცი თავის ვენახს, რომელიც მალევე ავჩეხეთ და მერე ველარ გავაშენეთ მის გარეშე. ბაბუაჩემი მობრუნდა და რამდენიმე თვეში ფეხზეც დადგა, მაგრამ მუშაობა აღარ შეეძლო და თან რაღაც უცნაური გულჩვილობა დასჩემდა. თბილისიდან ჩასულებს დაგვინახავდა თუ არა, მკაცრი და შეუვალი ხასიათის მქონე კაცს სულ ცრემლი მოსდიოდა და ხმა უვარდებოდა. მისი გადამეტებული სიმკაცრე მთლიანად გახარჯულიყო და მის ადგილზე ცრემლისმომყვანი სიყვარული აღმოცენებულიყო.

ათი წელია ჩემს სოფელში აღარ ვყოფილვარ, მას შემდეგ, რაც ბაბუაჩემს ორივე ბებია მიჰყვა და კარიც გამოიკეტა. ამ წუთას კი ისე მომენატრა იქაურობა, უნდა წავიდე. რქაწითელიც უნდა ჩავყარო. ტყუილად ხომ არ დაადნო ერთი კვირის მცხუნვარების შემდეგ მაშინდელმა მზემ წვიმისა და ცივი ქარის ნაბიჭვარი სეტყვა.

# სპორტი

## თემურ ქეცბაია ნაკრებში ბრუნდება



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ზვიად სიჭინავას ინფორმაციით, დღეს 13:00 საათზე კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში საქართველოს ფეხბურთელთა უმთავრესი ნაკრების მთავარ მწვრთნელად საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მოთამაშე, კვიპროსული "ანორთოსისისა" და ბერძნული "ოლიმპიაკოსის" ყოფილი ხელმძღვანელი თემურ ქეცბაია დაინიშნება.

"უკვე თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოს ნაკრებს თემურ ქეცბაია უხელმძღვანელებს", - აცხადებდა გუშინ ზვიად სიჭინავა.

ქეცბაიასთან ხელშეკრულების დადების ცერემონიას თუ პროცედურას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი ზვიად სიჭინავა, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი ნიკა რურუა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური დაესწრებიან.

ერთი სიტყვით, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე თემურ ქეცბაია, ნაკრების ყოფილ მთავარ მწვრთნელს ექტორ რაულ კუპერს შეცვლის, რომელთანაც ფედერაციამ ხელშეკრულება ორი დღის წინ გაწყვიტა.

არგენტინელის ხელმძღვანელობით, საქართველოს ნაკრებმა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ათი მატჩი ჩაატარა, აქედან "ხუთჯვაროსნება" 7 შეხვედრა წააგეს, 3 კი ფრედ დაამთავრეს.

## "იაგუართა" სტუმრობამდე



*ტიმ ლეინი "იაგუარებს" უძლიერეს შემადგენლობას დაახვედრებს*

| საქართველო "ა" ნაკრები | | პოლონეთი ეროვნული ნაკრები | |
|---|---|---|---|
| კარლენ ასეიშვილი | 1 | მიხალ კროლიკოვსკი | |
| ირაკლი ჭყონია | 2 | რაფალ კვიატკოვსკი | |
| ვასილ კაკოვინი | 3 | რაფალ ვიტოჟინსკი | |
| კახა უჩავა | 4 | ტომაშ იედრალი | |
| დიმიტრი პავლოვი | 5 | დომინიკ ფორტუნა | |
| შოთა საყვარელიძე | 6 | კასპერ ლავსკი | |
| ვიტო კოლელიშვილი | 7 | სლავომირ იელინსკი | |
| ზვიად მაისურაძე | 8 | მერაბ გაბუნია | |
| ბიძინა სამხარაძე | 9 | მაციეი პაბიანჩიკი | |
| ლაშა ხმალაძე | 10 | ლუკაშ ჟორავსკი | |
| სანდრო ნიჟარაძე | 11 | დარიუშ კანიოვსკი | |
| ირაკლი ნინიძე | 12 | ლუკაშ ნოვოში | |
| გიგა კორკელია | 13 | პიოტრ პსუი | |
| ირაკლი ჩხიკვაძე | 14 | პატრიკ ნარვოიში | |
| ირაკლი ყიასაშვილი | 15 | სერგო კვერნაძე | |
| | **სათადარიგო** | | |
| გიორგი ნაცარაშვილი | 16 | გრეგორ იანიეცი | |
| ჯაბა ბრეგვაძე | 17 | ტომაშ გოლაბი | |
| ირაკლი მირცხულავა | 18 | ლუკაშ დოროშკიევიჩი | |
| ილია სურგულაძე | 19 | მიხალ მიროში | |
| გიორგი კაჭარავა | 20 | კაროლ დენისიუკი | |
| ბექა წიკლაური | 21 | ანდრეი მილჩაკი | |
| ირაკლი გეგენავა | 22 | მარეკ სკინოლელი | |
| გიორგი ჯიმშელაძე | 23 | მიხალ კისელი | 24 |
| პრჟემისლავ იეჟნოჩი | | | |
| | **მწვრთნელები:** | | |
| ნიკოლოზ ჭავჭავაძე | | კშიშტოფ ფოლკი, | |
| ლევან მაისაშვილი | | მაციეი სტაჩურა, | |
| | | მიროსლავ ჟორავსკი | |
| | **მსაჯი:** | | |
| უჩა ნარიმანიძე | | | |

ნოემბერი დახუნძლულია სარაგბო მოვლენებით. თვის ბოლოს ეროვნული თასის გათამაშების ფინალები გაიმართება, მანამდე კი ჩვენს ეროვნულ და "ა" ნაკრებ გუნდებს რამდენიმე ტესტ-მატჩი ელით თბილისში. დღეს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ჩვენი ქვეყნის "ა" ნაკრები პოლონეთის ეროვნულ გუნდს გაეჯიბრება, რომელშიც ორი ქართველი მორაგბე - შერკინების მესამეხაზელი მერაბ გაბუნია და უკანახაზელი სერგო კვერნაძე თამაშობს. ერთი კვირის თავზე, 13 ნოემბერს, ისევ "ა" ნაკრები უკრაინის ეროვნულ გუნდს შეხვდება, ხოლო 14 ნოემბერს ეროვნული ნაკრები მოსინჯავს ძალებს არგენტინელ "იაგუარებთან".

"იაგუარები" არგენტინის "ა" ნაკრებია და "ბორჯღალოსნებისთვის" კარგ სპარინგ-პარტნიორად გამოდგება. ტიმ ლეინის გუნდი აპირებს უძლიერესი შემადგენლობით დახვდეს მეტოქეს. უკრაინისა და არგენტინის ნაკრებები თბილისს 12 ნოემბერს ეწვევიან, პოლონეთმა კი უკვე დაასახელა შემადგენლობა, რომელიც დღეს ნიკოლოზ ჭავჭავაძისა და ლევან მაისაშვილის გუნდს გაეჯიბრება. თამაში მიხეილ მესხის სტადიონზე თბილისის დროით 18 საათზე დაიწყება.

## ქართული სპორტი ვებსივრცეში

### გიგა გურასაშვილი

*ინტერნეტსივრცის ფერხულში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტიც (სეოკ-ი) ჩაება. სეოკ-ს აქამდეც ჰქონდა საკუთარი ვებგვერდი, მაგრამ სასურველი არ ეთქმოდა. ამიერიდან კი განახლებული ვებდიზაინისა და ინფორმაციულად დატვირთული გვერდის ხილვა ნებისმიერ მსურველს შეეძლება. მართალია, სრულად დატვირთული ჯერაც არ არის, მაგრამ პირობა დადეს, სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტულ არქივს მოვიძიებთ და მას კუთვნილ ადგილს მივუჩენთო.*

"დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გვქონდა. გვინდოდა გაგვეკეთებინა ისეთი რამ, რაც ჩვენს გულშემატკივარს საშუალებას მისცემდა საკუთარი თვალით ეხილა ის, რითაც ამაყობს ქართული სპორტი. შეიძლება ითქვას, ჩვენი ვებგვერდის საშუალებით ისტორია გაცოცხლდა. მართალია, თავმოყრილი მასალა სრული არ არის, მაგრამ დროთა განმავლობაში მას შინაარსობრივად გავამდიდრებთ, - თქვა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა, - იმედია, ამ საქმეში ის ადამიანებიც დაგვეხმარებიან, ვისაც ქართველ სპორტსმენებზე საარქივო მასალა მოეპოვებათ. სეოკ-ის ვებგვერდი კარგი საშუალებაა ახალგზარდებისთვის, გაეცნონ საკუთარი ქვეყნის სპორტულ ისტორიას. შეუძლიათ ნახონ ისტორიული კადრები, მათ შორის, ლევან თედიაშვილის, დავით გობეჯიშვილის, ვიქტორ სანეევის, შოთა ჩოჩიშვილის ასპარეზობანი".

სეოკ-ის ხელმძღვანელობას უნდოდა ისეთი ვებგვერდი შეექმნა, რომელსაც 5-6 წელიწადს განახლება არ დასჭირდებოდა. გაითვალისწინეს სხვა ქვეყნების გამოცდილებაც. ვებგვერდზე ჩაწიკწიკებული ბმულების საშუალებით შეგიძლიათ იმოგზაუროთ ოლიმპიურ თამაშებზე, მოინახულოთ მსოფლიო ოლიმპიური ოჯახი, შეაბიჯოთ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში, გაეცნოთ სიახლეებს, რომელიც ოპერატიულად განთავსდება, იხილოთ ამა თუ იმ ასპარეზობათა კალენდარი და ბოლოს შედეგები, რომლებიც სპორტსმენებზეა დამოკიდებული. ბუნებრივია, აქვეა ფოტოგალერეაც.

სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტის ვახტანგ გეგელიას თქმით, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოფიციალური ვებგვერდის საარქივო მასალებით გასამდიდრებლად, ბევრისთვის გასაკვირად, ინტერესი გამოუჩენია და დახმარება აღუთქვამს რუსულ HTB-სპორტს.

### ახალი კონტრაქტი - აბიდალს

ესპანური მედიის ცნობით, ერიკ აბიდალი არის იმ ოთხ ფეხბურთელს შორის, რომლებთანაც უახლოეს მომავალში კონტრაქტის გაფორმებას აპირებს "ბარსელონას" ხელმძღვანელობა.

ახლა მოლაპარაკება მიმდინარეობს იმის თაობაზე, რომ ფრანგმა განაპირა მცველმა კატალონიელებთან კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივოს კონტრაქტი. ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, აბიდალი "ბარსელონაში" 2012 წლამდე დარჩება.

2007 წელს, კლუბში მოსვლის დროს, აბიდალმა "ბარსასთან" ოთხწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ხელშეკრულების თანახმად, კლუბს უფლება აქვს ახლანდელი პირობებით კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივოს.

როგორც ჩანს, ამ ნაბიჯით პეპ გვარდიოლა ცდილობს აბიდალი დაარწმუნოს, რომ, მაქსველის შეძენის მიუხედავად, მას კვლავ ენდობა. მოქმედი ხელშეკრულების თანახმად, აბიდალის გამოსასყიდი თანხა 90 მილიონი ევროა. თუ რაიმე პრობლემები არ შეიქმნა, ხელშეკრულების გახანგრძლივება ნოემბრის ბოლომდე იგეგმება.

ახლა კატალონიური კლუბი მუშაობს ანდრეს ინიესტას, რაფაელ მარკესისა და კარლეს პუიოლის კონტრაქტებზე.

### ნადირობა სუარესზე

როგორც ჩანს, ამსტერდამის "აიაქსის" ახალგაზრდა ლიდერზე ლუის სუარესზე ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ნამდვილი ნადირობა გამოცხადდება. მისი გადაბირებით არაერთი კლუბია დაინტერესებული. მათ შორის ყველაზე დიდ ყურადღებას ორი მანჩესტერული გუნდი იწვევს.

ცნობილი გახდა, რომ "სიტი" მზადაა, ურუგვაელი ფორვარდის გადასაბირებლად 40 მილიონი ევრო გადაიხადოს.

Mirror-ის ცნობით, "აიაქსი" დათმობაზე წასვლას ანუ სატრანსფერო ფასის დაკლებას არ აპირებს და "სიტიც" ამ თანხაზე ყაბულსაა.

შესაძლოა, გარიგება ზამთარშივე შედგეს, მით უმეტეს, რომ "დედაქალაქელთა" მთავარმა მწვრთნელმა მარკ ჰიუზმა ცოტა ხნის წინათ რობინიოს გასხვისებაზე ისაუბრა. ბრაზილიელი ვარსკვლავის გაყიდვა კი "სიტის" უფრო ხელგაშლილს გახდის.

სუარესის შეძენა სერ ალექს ფერგიუსონსაც სურს, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, რა თანხის გაღებაზეა ყაბულს "იუნაიტედის" ხელმძღვანელობა. თავდაპირველად "მანჩესტერი" 35 მილიონის გადახდას აპირებდა, მაგრამ ამსტერდამელებს ეს თანხა ეცოტავათ.

### არტეტა საოპერაციო მაგიდაზე დაწვება

საოცრად არ უმართლებს "ევერტონის" ესპანელ ნახევარმცველს მიკაელ არტეტას, რომელსაც ერთი ოპერაცია უკვე გაუკეთეს და, როგორც ახლა ირკვევა, აუცილებელია მეორე ოპერაციაც.

"ექიმების თქმით, არტეტას მუხლი აქვს გასასუფთავებელი, რაც კიდევ ერთხელ ქირურგიულ ჩარევას მოითხოვს. ჯერჯერობით ვერ გეტყვით, ის რა ხნით გამოგვაკლდა," - განაცხადა "ევერტონის" მთავარმა მწვრთნელმა დევიდ მოიესმა.

### კვლავ ანჩელოტი

კარლიტო დარწმუნებულია, რომ მილანის ბრაზილიელი მწვრთნელი შეძლებს იმ პრობლემებთან გამკლავებას, რაც ახლა როსონერის აქვს: "არ გვინდა ზედმეტი დრამატიზება. "მილანს" ახლა ცუდი პერიოდი აქვს. ეს, მეტწილად, კაკას წასვლამ გამოიწვია… მაგრამ მათ აქვს იმის პირობები, რომ კვლავ წარმატების გზაზე დადგნენ. მათ შეუძლიათ ამ პერიოდში გარდაიქმნან." - განაცხადა მილანის გულშემატკივრების საყვარელმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ.

"არის თუ არა სასურველი ლეონარდოს გუნდიდან გაშვება? არავითარ შემთხვევაში! მასთან დასმულია ძნელად შესასრულებელი მისია, მაგრამ "მილანს" აქვს საუცხოო სავარჯიშო ბაზა. აი, ნახავთ - ის მალე განახორციელებს თავის ჩანაფიქრს. მე ვხედავ ფინჯანს, რომელიც ნახევრად სავსეა… მე მშვენივრად ვიცი "მილანის" შესაძლებლობები."

### ჰამრინმა შვედეთის ნაკრები ჩაიბარა

2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში წარუმატებელი ასპარეზობის შემდეგ თანამდებობა დატოვა შვედეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლარს ლაგერბეკმა. გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ ვაკანტური ადგილი დაიკავა 52 წლის შვედმა ერიკ ჰამრინმა, რომელიც აქამდე "რუსენბორგს" წვრთნიდა. რაც შეეხება ნორვეგიულ კლუბს, უცხოურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "რუსენბორგში" ოლე გუნარ სოლსკიაერი იმუშავებს.

### ტონი "შტუტგარტში"?

ამ სეზონში სუსტად მოასპარეზე "შტუტგარტის" მესვეურები კლუბის შეტევითი პოტენციალის გაძლიერებას აპირებენ და ამ მიზნით "ბაიერნის" იტალიელი ფორვარდის ლუკა ტონის გადაბირება სურთ.

"შტუტგარტში" გადასვლის წინააღმდეგი, შესაძლოა, არც ტონი იყოს. საქმე ის არის, რომ "რეკორდმაისტერის" წინა ხაზში სერიოზული კონკურენციაა, ხოლო გუნდის თავკაცი ლუის ვან გაალი იტალიელს მოწყალე თვალით არ უყურებს, იშვიათად აძლევს ძირითადში თამაშის საშუალებას. ამის გამო ტონიმ "სკუადრა აძურაშიც" კი დაკარგა ადგილი. არადა, ერთ დროს მისი შეუცვლელი წევრი იყო.

### უარი - "მილანს"

ერთი კვირაც არ გასულა მას შემდეგ, რაც უცხოურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის განელი ბომბარდირი დომინიკ ადიია იტალიურ "მილანში" გადავიდოდა. თავად ფეხბურთელი გავრცელებულ ხმებს უარყოფს და "მილანში" გადასვლას არ აპირებს.

"მილანში" თამაში მართლაც ყველას ოცნებაა, მაგრამ არსებობს ფინანსური მხარე, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ალბათ, იტალიური გუნდის ხელმძღვანელები ფიქრობდნენ, რომ მათთან თამაშს სიმბოლურ ხელფასზეც დავთანხმდებოდი, მაგრამ ასე ნამდვილად არ არის. ვთვლი, რომ გაცილებით მეტს ვიმსახურებ", - ამბობს განელი ფორვარდი.

### ბულგარელებმა სტოილოვი დატოვეს

ბულგარეთის ეროვნულ ნაკრებს ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირშიც სტონიმირ სტოილოვი უთავკაცებს.

"სტოილოვის გარშემო სერიოზული დისკუსია იყო გამართული. მიმომხილველთა უმრავლესობა მის უპირობო გადადგომას მოითხოვდა. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მან ნაკრები შესარჩევი ტურნირის დაწყების შემდეგ ჩაიბარა. იმ დროისთვის ჩვენს ეროვნულ გუნდს სამივე მატჩი ფრედ ჰქონდა დამთავრებული. მართალია, შესაშური შედეგები არც მერე გვქონია, მაგრამ ვთვლით, რომ ნაკრები სწორად ვითარდება და სტოილოვმა აუცილებლად უნდა განაგრძოს მასთან მუშაობა. ახლა რადიკალური ცვლილებების დრო არ არის. სტოილოვის ამოცანა კი გუნდის ევროპის ჩემპიონატზე გაყვანა იქნება", - განაცხადა ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორისლავ მიხაილოვმა.

### ვორონინს გერმანიაში ელიან

"ჰამბურგი" ზამთრის სატრანსფერო პერიოდში "ლივერპულის" უკრაინელი ფორვარდის ანდრეი ვორონინის გადაბირებას შეეცდება.

კლუბებმა ერთმანეთში უკვე გამართეს მოლაპარაკება. საუბარია სეზონის ბოლომდე საიჯარო ხელშეკრულებაზე, რომელსაც "მერსისაიდელები", სავარაუდოდ, დათანხმდებიან.

### რონალდუს საშველი არ დაადგა

მადრიდის "რეალის" პორტუგალიელი ვარსკვლავის რონალდუს მინდორზე დაბრუნება კვლავ გადაიდო. ოთხშაბათს ფეხბურთელს სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდა და გაირკვა, რომ მის ტრავმირებულ კოჭზე არავითარი პროგრესი არ შეიმჩნევა.

რონალდუ დაახლოებით ერთი თვის წინათ, სანაკრებო მატჩების დროს დაშავდა და მას შემდეგ ექიმთა მეთვალყურეობის ქვეშაა.

მედიკოსთა მტკიცებით, პორტუგალიელს, სულ ცოტა, კიდევ ორ კვირას მოუწევს მკურნალობა, შემდეგ კი განმეორებითი შემოწმება ჩატარდება.

# ფაჩულიას ოთხი ქულა და "ქორების" მორიგი გამარჯვება

NBA-ს რეგულარულ სეზონში მორიგი, რიგით მეოთხე გამარჯვება მოიპოვა ზაზა ფაჩულიას "ატლანტა ჰოუქსმა". "ქორებს" უკვე ხუთი შეხვედრა აქვთ ჩატარებული და აქედან ოთხი მოიგეს. ის ერთადერთი მარცხი კი კალიფორნიაში, "ლეიკერსთან" განიცადეს. მნიშვნელოვანია, რომ ჯორჯიელებმა "ლეიკერსთან" მარცხის შემდეგ ზედიზედ მეორე გასვლითი მატჩი მოიგეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მაიკ ვუდსონის გუნდის დასავლური ვოიაჟი წარმატებულად მიდის. გუშინ, გამთენიისას, "ჰოუქსმა" "საკრამენტო" დაამარცხა - 113:105. მატჩი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, თუმცა გადამწყვეტ, მეოთხე მეოთხედში ატლანტელებმა "ფრთები გაშალეს" და "მეფეები" უშანსოდ დატოვეს.



ზაზა ფაჩულია მეტოქის შეტევის ჩაშლას ცდილობს

შთამბეჭდავია "ატლანტას" ძირითადი ხუთეულის კალათბურთელთა სტატისტიკა. ათქულიან ბარიერს ძირითადის ხუთივე კალათბურთელმა გადააბიჯა. ჯო ჯონსონი - 26 ქულა, 8 მოხსნა, 6 შედეგიანი გადაცემა, მაიკ ბიბი - 13 ქულა, 7 მოხსნა, 2 შედეგიანი გადაცემა, ალ ჰორფორდი - 11 ქულა, 8 მოხსნა, 4 ბლოკშოტი, მარვინ უილიამსი - 13 ქულა, 6 მოხსნა, ჯოშ სმიტი - 14 ქულა, 6 მოხსნა.

ამას დაუმატეთ სათადარიგოთა სკამიდან თამაშში ჩართული ჯამალ კროუფორდის ბრწყინვალე თამაში - 26 ქულა, 2 მოხსნა, 4 პასი - და თავად მიხვდებით, თუ რატომ იგებს "ატლანტა".

რაც შეეხება ზაზა ფაჩულიას, ქართველ ცენტრს სათამაშო დრო ბევრი არ ჰქონია. ვუდსონმა ზაზას 14 წუთი მისცა თავის გამოსაჩენად. დროის ამ მონაკვეთში საქართველოს ნაკრების კაპიტანმა 4 ქულა და 3 მოხსნა შეაწია თავის გუნდს. ზაზამ თამაშიდან ნატყორცნი სამი ბურთიდან ორი ზუსტად შეასრულა.

მომდევნო მატჩს "ატლანტა" ისევ სტუმრად გამართავს - ამჯერად "შარლოტს" დაუპირისპირდება.

საკალათბურთო ევროლიგის მიმდინარე გათამაშებაში ოთხშაბათს პირველად გამოჩნდა საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა კალათბურთელი ნიკა მეტრეველი. მან "მონტეპასკისა" და "ასველის" მატჩში 27 წამი დაჰყო მოედანზე. როგორც მოსალოდნელი იყო, თამაში "მონტეპასკიმ" მოიგო.

# გაიცანით: ოლექსეი პეჩეროვი

**ზურაბ თალაკვაძე**

NBA-ში ევროპული მეორე ეშელონის წარმომადგენლებმა მაგრად დაიწყეს სეზონი. ვარსკვლავები ჩვეულ დონეზე არიან. "დალასში" დირკ ნოვიცკი პირველია, "სან ანტონიოში" კი ყველაზე მეტს საშუალოდ ტონი პარკერი აგროვებს. არიან ისეთებიც, ვისაც იმაზე მეტი არ მოეთხოვება, ვიდრე შეუძლია და ამ კოჰორტაში ალბათ ბებერი კონტინენტის დანარჩენ ბიჭებთან ერთად ზაზა ფაჩულიაც უნდა მოვიხსენიოთ. მაგრამ არის რამდენიმე გამონათებაც. მოთამაშეები, ვინც იდეაში მყარ სათადარიგოებად და კონტრაქტის ვალის მოსახდელად უნდა ყოფილიყვნენ იქ, სადაც აირჩიეს, ათამაშდნენ და რამდენიმე დასამახსოვრებელი შეხვედრაც ჩაატარეს.



ოლექსეი პეჩეროვმა "ბოსტონთან" 24 ქულა დააგროვა.

ასეთთა რიცხვშია უკრაინელი ოლექსეი პეჩეროვი. "მინესოტაში" მძიმე ფორვარდის ადგილი სასტარტო ხუთეულში მყარად აქვს დაბევებული კევინ ლავს, რომელიც ამჯერად დაშავებულთა სიაშია, მანამდე კი პოზიცია ვაკანტურია და ვინც თავს გამოიჩენს, მთავარი მწვრთნელიც მას ენდობა. ვეჭვობთ, რომ ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტთან, "ბოსტონ სელტიქსთან" ჯახის შემდეგ, ლავის გამოჯანმრთელებამდე პეჩეროვი ხუთეულიდან ვინმემ ამოაგდოს.

"ბოსტონს" ლიგაში უძლიერესი დაცვა ჰყავს, რომელიც ნებისმიერ მეტოქეს პრობლემებს უქმნის და თუ "სელტიქსის" ოპონენტი თუნდაც 90 ქულის დაგროვებას ახერხებს, ესე იგი, დოკ რივერსის გუნდი ან ძალიან ბევრით იგებს, ან კიდევ (რაც იშვიათად ხდება) უიმედოდ აგებს.

"მინესოტასთან" მთელი მატჩი ქულა-ქულაში მიდიოდა. დასავლეთის აუტსაიდერი "ვულვზი" მაგრად ეომა ფავორიტს და პირველი ტაიმის მერე მასპინძლები წინ იყვნენ - 49:41.

პეჩეროვს ძირითადად დაცვის მონსტრის კევინ გარნეტის ან მისი არანაკლებ ძლიერი და მონდომებული შემცვლელის შიდი უოლასის წინააღმდეგ უხდებოდა თამაში. 24 წლის უკრაინელმა ფორვარდმა მაგრად აწვალა ტიტულოვანი, საჩემპიონო ბეჭდებით მორთული ვარსკვლავები.

პეჩეროვმა 34 წუთში 24 ქულა დააგროვა, რვაჯერ მოხსნა ფარიდან ასხლეტილი ბურთი (ერთხელ შეტევაში), ხუთივე საჯარიმო სროლა გამოიყენა და 14 "ცოცხალი" სროლიდან ერთადერთხელ შეცდა. მის ანგარიშზეა ასევე თითო შედეგიანი გადაცემა და ჩაჭრა.

დონეცკელი მოთამაშისთვის ეს მატჩი მის ამერიკულ კარიერაში ყველაზე შედეგიანი და დასამახსოვრებელი იყო. ოლექსეიმ უოლასი იმდენად გააწამა, რომ, როდესაც "პისტონზის" ყოფილი წევრი უკრაინელზე მიჯრით ორჯერ დაჯარიმდა, შიდიმ მსაჯს შეაგინა, რისთვისაც ტექნიკური შენიშვნა მიიღო და სათადარიგოებში გადაბრძანდა.

პეჩეროვის გუნდს კი მატჩის მოგების მშვენიერი შანსი ჰქონდა, თუმცა ბოლო 60 წამში გარნეტმა დაცვაში ზედიზედ ორჯერ ყურადღებით ითამაშა და ჯერ კორი ბრიუერს, მერე კი ელ ჯეფერსონს დააშვებინა შეცდომა. საბოლოოდ, სტუმრებმა 92:90 გაიმარჯვეს და, კარმელო ენტონის "დენვერ ნაგეტსთან" ერთად, ლიგის წაუგებელ გუნდად რჩება.

"პეჩეროვი რომ ნიჭიერი და მონდომებული მოთამაშეა, ეს "ბოსტონთან" შეხვედრამდეც მშვენივრად ვიცოდით. უბრალოდ, დღეს მან თავისი შესაძლებლობები სრულად გამოავლინა. თუ ასე გააგრძელებს, გუნდს პროგრესირებაში ძალიან დაეხმარება", - აღნიშნა მატჩის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარში ჯეფერსონმა, რომელმაც მატჩი 18 ქულით, 4 მოხსნითა და 3 შედეგიანი გადაცემით დაასრულა.

მომდევნო შეხვედრაში პეჩეროვის გუნდი "მილუოკის" ხვდება და ოლექსეის ოზი გიგანტის ენდრიუ ბოგუტისა და გამოცდილი კურტ ტომასის წინააღმდეგ მოუწევს ბრძოლა. ვნახოთ, რა გამოუვა.

# გვარდიოლამ სამწვრთნელო დუელი წააგო

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მორიგი ტურის მატჩებმა, რომლებიც ოთხშაბათს გაიმართა, პლეი-ოფის მონაწილე კიდევ სამი გუნდი გამოავლინა. "არსენალმა", "ლიონმა" და "სევილიამ" შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს, თუმცა, ალბათ გაცილებით საინტერესოა ის გუნდები, რომლებიც ჯგუფური ეტაპის ბარიერის გადალახვას ცდილობენ. ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული "ბარსელონა" ყაზანში თამაშისას უსუსურად გამოიყურებოდა. შეიძლება ეს ათგრადუსიანი ყინვის ბრალი იყო, თუმცა გვარდიოლა აღიარებს, რომ ყინვა არაფერ შუაშია, სამწვრთნელო დუელი ყურბან ბერდიევთან წააგო. გვარდიოლაზე გაცილებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა რაფა ბენიტესი. "ლივერპულმა" თითქმის დაკარგა ჯგუფიდან გასვლის შანსი და ბენიტესიც მზადაა თანამდებობა დატოვოს. ჟოზე მოურინიო კი მორიგი ტურის შემდეგ კარგ განწყობაზე უნდა იყოს - "ინტერმა" კიევის "დინამოს" გამარჯვება ხელიდან გამოჰგლიჯა. არადა, თამაშის მიხედვით მილანური კლუბი გამარჯვებას კი არა, ფრესაც არ იმსახურებდა.


ადრიან მუტუს თავგანწირვა

**პეპ გვარდიოლა ("ბარსელონას" მთავარი მწვრთნელი):** "თავიდანვე ვამბობდი, რომ რუსულ კლუბებთან თამაში ძნელი იქნებოდა. "რუბინმა" შეტევაშიც და დაცვაშიც კარგად ითამაშა. პირველ ტაიმში უპირატესობას ვფლობდით, მეორე ტაიმში კი ვითარება შეიცვალა, თანაბარი თამაში იყო და მეტოქეს გოლის გატანის შანსიც ჰქონდა. ასე რომ, შედეგი კანონზომიერია და ჩვენთვის მისაღები. ახლა დარჩენილ ორ მატჩზე ვიფიქრებთ. ორივე უნდა მოვიგოთ და შემდეგ ეტაპზე გასვლის საკითხიც მოიხსნება. რაც შეეხება სამწვრთნელო დუელს ბერდიევთან, ვფიქრობ, ამაზე კამათიც არ შეიძლება. მე ეს დუელი პირწმინდად წავაგე".

**ყურბან ბერდიევი ("რუბინის" მთავარი მწვრთნელი):** "იმედი მქონდა, რომ ჩვენი ტაქტიკა წარმატებას მოგვიტანდა. მომენტებიც გვქონდა. ჩვენს შანსს დიდხანს ველოდით. მატჩის მიწურულს ბუხაროვიც იმიტომ გავიყვანე მინდორზე, რომ შეტევა გამეძლიერებინა. მას ორი კარგი მომენტი ჰქონდა. შედეგით უკმაყოფილო არ ვარ. ან როგორ უნდა მომიბრუნდეს ენა და ვთქვა, მეტის მიღწევა მინდოდა-მეთქი. ორ თამაშში "ბარსელონასთან" ოთხი ქულა ავიღეთ. განა შეიძლება ეს ცუდ შედეგად ჩაითვალოს?"

**ჟოზე მოურინიო ("ინტერის" მთავარი მწვრთნელი):** "პირველი ტაიმის შემდეგ თამაშის შეცვლის რამდენიმე ვარიანტზე ვფიქრობდი. როცა გაზაევმა მინდვრიდან მილევსკი გაიყვანა, მივხვდი, რომ გარისკვა შეიძლებოდა. ვიცოდი, ლუსიო მარტოც გაუმკლავდებოდა შევჩენკოს. ამიტომ მუნტარი გავიყვანე სათამაშოდ და ამან გაამართლა. შევჩენკომ ძალიან გამახარა. ეს ის ფეხბურთელია, რომლის თამაში ორი-სამი წლის წინ უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებდა. "შევამ" ფორმა აღიდგინა და ისევ დიდი ფეხბურთელია. რას ვიზამდი გაზაევის ადგილას? რა გითხრათ! "დინამოს" უდიდესი მწვრთნელი ჰყავს, რომელიც აცხადებს, რომ მისი გუნდი უფრო ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობს, ვიდრე ჩემი. ასე რომ, თავად იცის, რაც უნდა გააკეთოს.

ჟურნალისტებსაც მინდა მივმართო. მე ჩემი მენტალიტეტი შევცვალე. თქვენც შეიცვალეთ. ნუ ლანძღავთ იტალიურ გუნდებს. ნახეთ, რა წარმატებით ვთამაშობთ. იტალიის ჩემპიონატში "მილანის" წაგება მახარებს, ევროპულ ტურნირებზე კი მინდა ყველა იტალიურმა გუნდმა მოიგოს".

**ვალერი გაზაევი ("დინამოს" მთავარი მწვრთნელი):** "პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ. მეორე ტაიმში ჩვენი ამოცანა კონტრშეტევებზე თამაში იყო. საერთოდ, ასეთი მატჩის წაგება გულდასაწყვეტია. ორი უაზრო შეცდომა და... მოგებული თამაში მეტოქეს ჩავაბარეთ. წინ კიდევ ორი მატჩი გველის. მთავარია ასეთი შეცდომები აღარ გამეორდეს".

**რაფა ბენიტესი ("ლივერპულის" მთავარი მწვრთნელი):** "ცხადია, იმედგაცრუებული ვარ. გოლი მატჩის მიწურულს გავუშვით. უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ მეტოქის მეკარემ საუცხოოდ ითამაშა. მეშინია თუ არა სამუშაოს დაკარგვის? რა თქმა უნდა, არა. ამაზე საერთოდ არ ვიფქრობ. ახლა ჩემი საფიქრალი მხოლოდ მომდევნო თამაშია და მეტი არაფერი."

**კლოდ პუელი ("ლიონის" მთავარი მწვრთნელი):** "ჩვენ მოვიპოვეთ შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება, მესმის, რომ "ლივერპული" ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, თუმცა ერთი რამ შემიძლია ვთქვა: მართალია, "ფიორენტინასთან" მატჩში სატურნირო მოტივაცია არ გვექნება, მაგრამ აუცილებლად მოსაგებად ვითამაშებთ და მოვიგებთ კიდეც. "ლივერპულმა" კი საკუთარი ბედი თავად გადაწყვიტოს - მოიგოს დარჩენილი ორი მატჩი და შემდეგ ეტაპზეც გავა. ჩვენ "ფიორენტინას" არაფერს დავუთმობთ."

**არსენ ვენგერი ("არსენალის" მთავარი მწვრთნელი):** "თუ ასეთი შემართება და სათამაშო ფორმა შევინარჩუნეთ, ამ სეზონში აუცილებლად მოვიგებთ მნიშვნელოვან ტიტულს".

**რონალდ კუმანი ("ალკმაარის" მთავარი მწვრთნელი):** "არსენალი" ბრწყინვალე გუნდია. სულ ტყუილად არ მოიხსენიებენ ჩემპიონთა ლიგის მოგების ფავორიტთა შორის. მართალია, ვენგერს ახალგაზრდა გუნდი ჰყავს, მაგრამ ეს ახალგაზრდები უმაღლესი დონის ფეხბურთს თამაშობენ".

**უორლტერ სმიტი ("რეინჯერსის" მთავარი მწვრთნელი):** "საწყენია, რომ მატჩი ფრედ დასრულდა. გოლი თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე გავუშვით. საჭირო იყო უფრო დიდხანს გვეკონტროლებინა ბურთი და მეტოქისთვის შეტევის საშუალება არ მიგვეცა".

**ჩეზარე პრანდელი ("ფიორენტინას" მთავარი მწვრთნელი):** "მატჩის პირველი ოცი წუთის შემდეგ ტემპი დავაგდეთ და საკუთარ თავს შევუქმენით ამით პრობლემები. აუცილებელია, რომ მატჩის ბოლომდე შევძლოთ სრული კონცენტრაციის შენარჩუნება. სხვა გუნდები ამას არ გვაპატიებენ."

**მარკუს ბაბელი ("შტუტგარტის" მთავარი მწვრთნელი):** "პირველ ტაიმში საშინლად ვითამაშეთ. ასე ცუდად ჩემს გუნდს არასდროს უთამაშია. იმდენს ვყვიროდი, პირველი ტაიმის შემდეგ ხმა დავკარგე. არც კი ვიცი, რა ვთქვა. ჩემს ფეხბურთელებს მეტოქის ეშინოდათ. ასე კი ფეხბურთს არ თამაშობენ"

**მანოლო ხიმენესი ("სევილიას" მთავარი მწვრთნელი):** "ბედნიერი ვარ, რომ შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება მოვიპოვეთ. პლეი-ოფში არც ერთი მეტოქის არ გვეშინია. მართალია, ჯგუფიდან გავედით, მაგრამ მიზანი მიღწეული არ არის. ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება ჩვენთვის მნიშვნელოვანია."

# მესის "ოქროს ბურთის" მოგება სურს

"ბარსელონას" არგენტინელი ვარსკვლავი ლეო მესი ყოველთვის გამოირჩეოდა თავმდაბლობით. თანამედროვე ფეხბურთის მეგავარსკვლავს არასდროს უსაუბრია პირადი ტიტულების მოგებაზე და ყოველთვის ამბობდა, რომ მისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია გუნდის წარმატება. თუმცა, ცხადია, ყველა ფეხბურთელი ოცნებობს "ოქროს ბურთის" მოგებაზე. არც მესია გამონაკლისი. მაგალითად, ზლატან იბრაჰიმოვიჩის "ბარსელონაში" გადასვლის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ შვედს "ინტერთან" ერთად საერთაშორისო ტიტულის მოგების იმედი გადაეწურა. ამის გარეშე კი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულის მოგება შეუძლებელია. ზლატანი არ მალავს, რომ სწორედ ამის გაკეთება სურს.



"ოქროს ბურთის" მფლობელის ვინაობა 1 დეკემბერს გაირკვევა. თითქმის ყველა დარწმუნებულია, რომ "ფრანს ფუტბოლის" არჩევანი ლეო მესიზე შეჩერდება. გასულ სეზონში არგენტინელი მართლაც შეუდარებელი იყო.

"არ დავმალავ და გეტყვით, რომ "ოქროს ბურთის" მოგება მართლაც განსაკუთრებული პატივია. არა მგონია, არსებობდეს ფეხბურთელი, რომელიც ამ ტიტულის მოგებაზე არ ფიქრობს. ჩემთვის ეს აღიარება განსაკუთრებული რამ იქნება. ამ ტიტულის მოგებაზე ადრე ვერც ვიოცნებებდი. ახლა კი იმედი მაქვს, რომ გავიმარჯვებ", - აცხადებს მესი.

ლეომ ამ თემაზე "ჩანელ პლუსის" ჟურნალისტთან ისაუბრა. ცხადია, ინტერვიუ მხოლოდ "ოქროს ბურთის" მოგებას არ შეეხო. მესიმ აღნიშნა, რომ გუნდში ზლატან იბრაჰიმოვიჩის მოსვლით "ბარსელონა" ოდნავ განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობს. მესი არგენტინის ნაკრებსაც შეეხო. თქვა, რომ მარადონა მისი ერთადერთი კერპია, თუმცა, ურჩევნია, არგენტინის ნაკრებმა იგივე ტაქტიკით ითამაშოს, როგორითაც "ბარსელონა" თამაშობს.

"მარადონა უდიდესი ფეხბურთელია. მე არ გამიმართლა და მისი თამაში ცოცხლად არ მინახავს. მარადონა იყო და რჩება ჩემს ერთადერთ საფეხბურთო კერპად. წარმოუდგენელია ვინმე იყოს შენი კერპი, როდესაც არსებობს მარადონა. რაც შეეხება არგენტინის ნაკრებს, ჩემთვის ალბათ უკეთესი იქნებოდა, "ალბისელესტეს" იმავე ტაქტიკით ეთამაშა, როგორითაც "ბარსელონა" თამაშობს", - ამბობს მესი.

## ვიალის რჩევა

გამორიცხული არ არის, რომ ჰოლანდიელმა ლუი ვან გაალმა მიუნხენის "ბაიერნი" დატოვოს. "რეკორდმაისტერი" არასტაბილურ თამაშს აჩვენებს და შესაძლოა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბარიერიც კი ვერ დაძლიოს. თუ მართლა ასე მოხდა, ცხადია, ვან გაალს თანამდებობას დაატოვებინებენ.

ცნობილი იტალიელი სპეციალისტი ჯანლუკა ვიალი "ბაიერნის" მესვეურებს ვან გაალის ადგილას რობერტო მანჩინის დანიშვნას ურჩევს.

"მოვლენები ისე ვითარდება, რომ "ბაიერნს" მწვრთნელის შეცვლა მოუწევს. ასეთ შემთხვევაში მანჩინი მიუნხენელთათვის იდეალური ვარიანტი იქნება. იტალიელი სპეციალისტები კვლავაც საუკეთესონი არიან მსოფლიოში, "მანჩიო" კი მათგან ყველაზე პერსპექტიულია. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ რობერტო ჩემი მეგობარია. უბრალოდ, ეჭვი არ მეპარება, მანჩინი "ბაიერნში" წესრიგს დაამყარებს," - განაცხადა 46 წლის ვიალიმ.

## დოსენა სამშობლოში ბრუნდება

ინგლისური "ლივერპულის" მცველი ანდრეა დოსენა, რომელიც გუნდის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში კარიერას, სავარაუდოდ, "ნაპოლიში" გააგრძელებს.

ნეაპოლელთა მთავარმა მწვრთნელმა ვალტერ მაცარიმ გუნდის ახალი ფეხბურთელებით გასაძლიერებლად საჭირო თანხის გამოყოფაზე კლუბის პრეზიდენტის აურელიო დე ლაურენტისის თანხმობა უკვე მიიღო. "ნაპოლისთვის" სასურველ მოთამაშეთა სიაში ერთ-ერთია იტალიელი მცველი ანდრეა დოსენა, რომელთანაც ნეაპოლური კლუბი საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებას აპირებს.

28 წლის უკანახაზელი "ლივერპულში" 2008 წელს "უდინეზედან" გადავიდა და პრემიერლიგაში ჩატარებულ 17 მატჩში 1 გოლი გაიტანა.

## ხიზანიშვილი "სენტ ჯეიმს პარკზე" ველარ ითამაშებს

არ იფიქროთ, რომ საქართველოს ნაკრების მცველი ზურაბ ხიზანიშვილი "ნიუკასლს" ტოვებს. უბრალოდ, კაჭკაჭების სტადიონის სახელი იცვლება (თანამედროვე ფეხბურთში ეს მიღებულია). ინვესტიციის მოზიდვის მიზნით კლუბები სტადიონებს სპონსორების სახელებს არქმევენ. ასე მოხდა ინგლისურ ჩემპიონლიგაში მოასპარეზე "ნიუკასლის" შემთხვევაშიც. ჯორდებმა სპონსორი იშოვეს და ამიერიდან გუნდის სტადიონს ერქმევა The sportsdirect.com @ St James Park Stadium.

ოქტომბრის მიწურულს "ნიუკასლს" მძიმე ფინანსური მდგომარეობა ჰქონდა. გუნდი უნდა გაყიდულიყო, მაგრამ "კაჭკაჭების" პრეზიდენტმა მაიკ ეშლიმ კლუბის გაყიდვა გადაიფიქრა და განაცხადა, რომ თვითონვე გააგრძელებდა მის დაფინანსებას. ამასთან, "კაჭკაჭების" პრეზიდენტი გულშემატკივარს დაჰპირდა, რომ აუცილებლად გააგრძელებდა ინვესტორის ძიებას. ეშლი თავიდანვე ფიქრობდა, რომ შემოსავლის გაზრდის ერთ-ერთი საშუალება სტადიონის სახელის უფლების გასხვისება იყო. იმის მიუხედავად, რომ "ნიუკასლის" ფანები ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ, ეშლიმ მაინც თავისი გაიტანა და კომპანია Sports Direct-თან ხელშეკრულება გააფორმა.

## ესტონელებმა შემადგენლობა დაასახელეს

ევროპის 2011 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მეტოქის - ესტონეთის 21 წლამდელთა გუნდის თავკაცმა ფრანკ ბერნჰარტმა სომხეთთან მატჩისთვის შეკრებაზე გამოძახებულ მოთამაშეთა სია გამოაქვეყნა.

ესტონეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ახალგაზრდა ესტონელთა გერმანელმა მწვრთნელმა არჩევანი შემდეგ ფეხბურთელებზე შეაჩერა:

**მეკარეები:** სტანისლავ პედოკი ("ფლორა"), დანიელ სავიცკი ("ნომე კალიუ"), ალან ვენცელი ("პიარდე ლინამესკონდი").

**მცველები:** არტიომ არტიუნინი ("ტამეკა"), ანდრეი ფროლოვი, მელის პიეტრე (ორივე "ფლორა"), იგორ მოროზოვი ("ლევადია"), მარტინ ჩეგოდაევი ("ნომე კალიუ"), ანდრე ვაისი, ტანელ ვოტი (ორივე "ტულევიკი").

**ნახევარმცველები:** იური ევდოკიმოვი ("ტულევიკი"), კენ კალასტე, სერგეი მოშნიკოვი (ორივე "ფლორა"), ეინო პური, სანდერ პური, ტაიო ტენისტე (ყველა "ლევადია").

თავდამსხმელები: რაუნო ალიკუ ("ტულევიკი"), ანრი ანიერი ("სამპდორია", იტალია), სიმ ლუტსი, არმანდ ნარისი (ორივე "ტულევიკი"), სერგეი ზენევი ("კარპატი", უკრაინა).

სომხეთი-ესტონეთის მატჩი 14 ნოემბერს ერევანში, "რესპუბლიკურ" სტადიონზე გაიმართება.

# ფერგიუსონის დილემა "ჩელსია"

ზურაბ თალაკვაძე


ალექს ფერგიუსონს კვირას კარლო ანჩელოტის "ჩელსი" ელის

"დიდი ოთხეული" თუ რაღაც მაგდაგვარი, არა? ესე იგი, პრემიერლიგის ოთხი ვეშაპი "მანჩესტერ იუნაიტედის", "ლივერპულის", "ჩელსისა" და "არსენალის" სახით. პლუს, ფულით გაძეძგილი და მადაზე მოსული "მანჩესტერ სიტი", რომელშიც უფრო მეტი ფორვარდია, ვიდრე მცველი და რომელშიც ყიდულობენ ყველას, ვინც იყიდება და პირიქით.

"იუნაიტედის" ბოსი სერ ალექს ფერგიუსონი კი სატიტულო დოღში ერთადერთ კონკურენტად მხოლოდ "ჩელსის" მიიჩნევს, სხვებს "მკვლელის ინსტინქტი" აკლიათო, - მიაჩნია რაინდ ლოთს.

მოკლედ, კვირას "სტემფორდ ბრიჯზე" ძალიან მაგარი, სეზონის გამორჩეული ჯახია. კარლო ანჩელოტის ბიჭები ტრავმებით ლამის განახევრებულ "იუნაიტედს" დაუხვდებიან. აი, ამბები იქ უნდა დატრიალდეს.

"იუნაიტედი" ლონდონელებს მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება და, წაგების შემთხვევაში, ჰანდიკაპი უკვე დასაფიქრებელი იქნება.

ფერგიუსონის გუნდი ოქტომბერში "ენფილდზე" შერცხვა, როდესაც დასუსტებულ, მაგრამ მაინც "ლივერპულთან" 0:2 წააგო და მეორე პრინციპული დაპირისპირების დათმობის არავითარი სურვილი არა აქვს.

სეზონის დაწყებამდე "იუნაიტედმა" კარლოს ტევესი "სიტიში" გაუშვა, მაგრამ ფეხბურთის ტონი მონტანას დაკარგვაზე ბევრად მეტი ზიანი "წითლებმა" მადრიდში ფინტების მეფის, კრიშტიანუ რონალდუს მივლინებით ნახეს. ფერგი თავისაზე იდგა - მაინც მაგრები ვიქნებით, სხვები ხომ შევინარჩუნეთო, მაგრამ წლევანდელსა და შარშანდელ "იუნაიტედს" შორის დიდი სხვაობაა.

გუნდმა დაკარგა ფანტაზია, ეშხი, ის პეწი, რაც მხოლოდ ამ გუნდს ჰქონდა. ცოტაც და, ფანები "მანჩესტერში" დევიდ ბექჰემის დაბრუნებას მოითხოვენ.

დაცვა, რომელიც შარშან ევროპაში საუკეთესო იყო, წელს ტრავმებით დაიტანჯა. რიო ფერდინანდს ზურგი ჯერაც აწუხებს, ნემანია ვიდიჩი კი რამდენიმე მიკროტრავმის გამო ასევე ამოვარდნილია ფორმიდან და უდროო დროს წითელი ბარათების კოლექციონირებაზე გადავიდა. არადა, შარშან ჯერ "იუნაიტედის" ფანებმა, მერე კი მთლიანად ინგლისურმა მასმედიამ "სპარტაკის" ყოფილი მცველი სეზონის საუკეთესო, უძვირფასეს მოთამაშედ დაასახელეს.

არა, "სტემფორდ ბრიჯზე" წაგება კატასტროფა არ იქნება, მაგრამ "ჩელსის" თავდაჯერებულობისთვის დარტყმის მიყენება ბევრად რთული გახდება. "ჩელსი" თუ დაფრინავს, მერე თავად თუ ეშვებიან მიწაზე, თორემ ოპონენტისთვის ამის გაკეთება თითქმის წარმოუდგენელია. იმიტომ რომ "ჩელსია". და იმიტომაც, რომ ფრენკ ლამპარდი და დიდიე დროგბა ჰყავს.

"ჩელსი" სუპერგუნდია და, სხვებისადმი პატივისცემის მიუხედავად, თუ ვინმე შეძლებს პრემიერლიგაში ჩვენზე მეტი ქულის დაგროვებას, ეს მხოლოდ და მხოლოდ "ჩელსი" იქნება. "არსენალი"? ძალიან ლამაზ, მაგრამ არაპრაქტიკულ ფეხბურთს თამაშობს. "ლივერპული" ბევრ ქულას კარგავს, "სიტი" კი ახლაღა უშიანურდება პრემიერლიგის სიდიადეს - არ იცის, როგორ მოიქცეს, როდესაც მისგან მხოლოდ გამარჯვებას ელიან", - მიაჩნია სერ ალექსს.

"ოლდ ტრაფორდზე" ფერგიუსონმა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში კინაღამ პირველად დათმო მატჩი ჩემპიონთა ლიგაში, მაგრამ ბებერმა, ასთმიანმა და, უბრალოდ, ძალიან მაგარმა ტიპმა პოლ სქოულზმა იმდენი მოახერხა, რომ გუნდი, დიდი დანაკარგის მიუხედავად, არ შერცხვა. "ჩელსისთვის" ასეთი ფორის მიცემა გამორიცხულია.

"ცსკა ძალიან კარგი, მებრძოლი გუნდია, კრასიჩი იქნებ ოდესმე "მანჩესტერში" გადმოვიყვანო (!), მაგრამ "ჩელსისთან", იგივე შეცდომების დაშვების შემთხვევაში, დავისჯებით. თანაც ისე, რომ დაკარგულს ველარ ავინაზღაურებთ. კარლო ანჩელოტის გუნდი საუკეთესო ფორმაშია და ძალისმიერ, მაგრამ, ამავე დროს, ლამაზ ფეხბურთს თამაშობს. მოუთმენლად ველით ამ მატჩს და ვაცნობიერებთ მის უდიდეს მნიშვნელობას. გაითვალისწინეთ ისიც, რომ რუსებთან არ გვყოლია რიო და ნემანია, რაც დიდი მინუსი იყო, თუმცა ორივე თავს შეუძლოდ გრძნობდა და მათი მინდორზე გაყვანა ვერ გავრისკე", - მიაჩნია ფრეგიუსონს, რომელსაც "ჩელსისთან", სავარაუდოდ, სასტარტოში ეყოლება უეინ რუნი, რომელიც ბოლო დროს მთლად ჯანზე ვერ არის. ამ უკანასკნელმა, ცსკა-სთან შეცვლაზე რომ შევიდა მინდორზე, მაგრად იბურთავა, ნირწამხდარ თანაგუნდელებს ერთი-ორი შეუფუცხუნა და მასპინძელმა გაჭირვებით, მაგრამ მაინც აიღო ქულა.

ფერგიუსონის აზრით, ანჩელოტის "ჩელსი" კლაუდიო რანიერისა და ლუიშ სკოლარის ფორმაციის გუნდებზე გაცილებით ეფექტურად იყენებს პრესინგს, უფრო ლაღად თამაშობს შეტევაში და მოედნის შუაგულში ნაკლებ სივრცეს უტოვებს ნებისმიერ მოწინააღმდეგეს.

"წარმოუდგენლად ძნელია "ჩელსის" ნახევარდაცვის გავლა. ურთიერთდაზღვევაზე გუნდი იდეალურად თამაშობს და კარლომ "ჩელსიში" ის სისტემა დანერგა, რომელმაც "მილანში" დიდი წარმატება მოუტანა. მას არ ეშინია სასტარტოში ორი გამოკვეთილი ფორვარდის დაყენების და დღევანდელი "ჩელსი" რაღაცით იმ "იუნაიტედს" მაგონებს, რომლის შეტევაშიც დუაიტ იორკი და ენდი კოული ბრწყინავდნენ. დროგბა და ანელკა ამ ეტაპზე პრემიერლიგაში უძლიერეს შემტევ ტანდემს ქმნიან", - მიაჩნია სერ ალექსს.

ლონდონში ფერგიუსონს ვერ დაეხმარება დისკვალიფიცირებული გარი ნევილი, თუმცა, დიდია ალბათობა, რომ სასტარტოში ლეგენდარული სქოთი ვიდიჩსა და კიდევ ერთ ბებერ ჯადოქარს, რაიან გიგზს დააბრუნებს. ერთმაც და მეორემაც რუსებთან შეხვედრა გამოტოვა.

მოკლედ, კვირას "სტემფორდ ბრიჯზე" ძალიან მაგარი თამაშია. "იუნაიტედის" წაგების შემთხვევაში ფერგიუსონის გუნდი იქნებ კიდევ ერთი საფეხურით ჩამოქვეითდეს, რადგან ნაკლებად სავარაუდოა, რომ ვენგერის "არსენალმა" "ვულვზი" (თუნდაც სტუმრად) ვერ დაამარცხოს.

# მილიონები და ტიტულები

ზურაბ თალაკვაძე


"იანკისი" ჩემპიონი გახდა

ბეისბოლის პროფესიული ლიგა, ანუ MLB ამერიკაში ერთადერთია, რომელშიც არ არსებობს სახელფასო ლიმიტი. ანუ, თუ მაგარი სპონსორი გყავს, დახარჯავ იმდენს, რამდენსაც გინდა და თავისთავად, იყიდი ყველა იმ მოთამაშეს, რომელსაც სატრანსფერო თანხაზე მოელაპარაკები.

ყველაზე მდიდარი ფრენჩაიზი, ანუ გუნდი ყველა სახეობაში "ნიუ იორკ იანკისია", რომელსაც 2007 წლიდან მოყოლებული, მარტო ხელფასების სახით 4 678 800 000 დოლარი აქვს დახარჯული.

ამერიკაში ამ გუნდს მეტსახელად Evil Empire, ანუ სიბოროტის იმპერია შეარქვეს. ძალიან მარტივი მიზეზის გამო - სხვები მაქსიმუ 200 მილიონს თუ ხარჯავენ წლიური სახელფასო ფონდისთვის, "იანკისი" კი მინიმუმ ერთ მილიარდს "ისვრის" აქეთ იქით.

ჩვენთან ერთი თავდადებული მწვრთნელი, ბატონი ნუგზარ კაპანაძეა, რომელიც წლების განმავლობაში ყველაფერს აკეთებდა საქართველოში ბეისბოლის პოპულარიზაციისთვის.

ძალიან მაგარი ნაკრებიც შეკრიბა, რომელიც იპოდრომზე მაშინ გადიოდა "ბალახზე", როდესაც ცხენები სეირნობას რჩებოდნენ.

ჰოდა, ერთი ვაფრინოთ წერილი მისტერ ჯორჯ სტეინბრენერ-უმცროსთან, ანუ "იანკისის" მფლობელთან. მაგდენი ნაღდად არ დაგვჭირდება. გაცილებით ცოტათი ბევრად მეტს მივაღწევთ და შედეგიც გვექნება.

"იანკისმა" კი სუპერფინალის მეექვსე შეხვედრაში მაშინ ჯერ კიდევ მოქმედი ჩემპიონი "ფილადელფია ფილიზი" დაამარცხა, სერია 4:2 მოიგო და 2000 წლის მერე პირველად გახდა ჩემპიონი. სუპერფინალის უძვირფასესად (MVP) "იანკისის" იაპონელი აუტფილდერი ჰიდეკი მაცუი დაასახელეს, რომელმაც ბოლო მატჩში თავისიანებს 6 (!) ქულა მოატანინა. რა თქმა უნდა, ჩემპიონის თასი თავს ზემოთ "იანკისის" უცვლელმა კაპიტანმა, მერაია ქერის ყოფილმა საქმრომ, დერეკ ჯიტერმა აღმართა.

ფული, ბევრი ფული, უფრო მეტი ფული - "იანკისის" დევიზი სულ ეს იყო და დარჩება. პრემიის სახით სტეინბრენერმა გუნდს (27 მოთამაშე, 7 მწვრთნელი) 170 მილიონი დოლარი გადასცა. ცნობისათვის, ერთერთი ფავორიტის, "ბოსტონ რედ სოქსის" წლიური ბიუჯეტი "სულ რაღაც" 235 მილიონი დოლარია.

ფულს ტიტულები მოაქვს, "იანკისისთვის" კი ეს 27-ე ტიტული იყო.



## სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე, 414-ე მუხლებით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ეცნობოთ მოპასუხეებს გიორგი ჟორჟოლიანს და მარინა დგებუაძეს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2009 წლის 15 ივლისს მიღებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ;

2. დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოპასუხეებს გიორგი ჟორჟოლიანს და მარინა დგებუაძეს სოლიდარულად დაეკისრათ ს/ს "თიბისი ბანკი"-ს სასარგებლოდ 121552.07 (ას ოცდაერთი ათას ხუთას ორმოცდათორმეტი დოლარი და შვიდი ცენტი) აშშ დოლარის გადახდა.

3. დავალიანების დაფარვის მიზნით აუქციონზე სარეალიზაციოდ მიექცა სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული გიორგი ჟორჟოლიანის კუთვნილი უძრავი ქონება, მდებარე:

ქ. თბილისი, ჯიქიას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია; უძრავი ქონების მახასიათებლებია: სარეგისტრაციო ზონა - თბილისი 01, სექტორი - ვაკე 14, კვარტალი №05, ნაკვეთი №08/059, დაზუსტებული ფართობი 473.00 კვ.მ. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01140508059.

4. დავალიანების დაფარვის მიზნით აუქციონზე სარეალიზაციოდ მიექცა გიორგი ჟორჟოლიანის კუთვნილი შემდეგი ავტომანქანები:

ა) ავტომანქანის სახელმწიფო ნომერი **MHM-548**; მარკა, მოდელი: **opel omega 2.0**; სარეგისტრაციო მოწმობა **AX0006346**;

ბ) ავტომანქანა სახელმწიფო ნომრით **PPP-961**; მარკა, მოდელი: **BMW 520**, სარეგისტრაციო მოწმობა **AB0007853**.

5. მოპასუხეებს გიორგი ჟორჟოლიანს და მარინა დგებუაძეს მოსარჩელე ს/ს "თიბისი ბანკი"-ს სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი ბაჟის სანაცვლოდ - 5000 (ხუთი ათასი) ლარის გადახდა;

6. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ "24 საათში";

7. განჩინების გამოქვეყნება გაზეთ "24 საათში" საკუთარი ხარჯებით დაევალოს მოსარჩელეს - ს/ს "თიბისი ბანკს";

8. ***საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინების პუბლიკაცია გაზეთ "24 საათში" უნდა განხორციელდეს 2009 წლის 20 ნოემბრამდე,*** რის შესახებაც ეცნობოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას "გაზეთ 24 საათის" შესაბამისი საგაზეთო ნომრის წარმოდგენით;

9. მოპასუხეებს გიორგი ჟორჟოლიანს და მარინა დგებუაძეს შეუძლიათ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში შემოიტანონ საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში;

10. დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხეებისთვის ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე განჩინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;

11. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

*მოსამართლე: ვლადიმერ კაკაბაძე*

## განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 10 სექტემბრის №158 დადგენილების შესაბამისად, 2009 წლის 7 დეკემბერს დღის 12:00 საათზე, ქ. თბილისში გორგასლის ქუჩა №16-ში (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შენობა) ატარებს აუქციონს, რომელზეც გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

| | მესაკუთრის დასახელება | ქონების დასახელება და აღწერა | ზომის ერთეული | ერთეულის საწყისი ფასი (ლარი) | საერთო საწყისი ფასი (ლარი) | ბიჯის ოდენობა (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ს/ს „ავტომომარაგება" ს/ნ 208141777 იურიდიული მისამართი ქ.თბილისი, ჭიჭინაძის 1, ჩიხი 3. | მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: მდებარე ქ.თბილისი, ჭიჭინაძის შესახვევი 1, №3 | 11106 კვ.მ | | 653000 | 5000 |
| 2 | შპს „ტიბეტი" ს/ნ 204488642 იურიდიული მისამართი ქ.თბილისი ,ახვლედიანის ქ.№17 | სათამაშო აპარატი | 7ცალი | 350 | 2450 | 100 |
| | | სათამაშო აპარატი | 1ცალი | 245 | 245 | 20 |
| | | მაგიდა | 5ცალი | 14 | 70 | 5 |
| | | სკამი | 5ცალი | 5 | 25 | 2 |
| 3 | შპს „გუუდ თაიერი" ს/ნ 202252837 იურიდიული მისამართი ქ.თბილისი, სანაპიროს ქ.№8 70% | ავტომანქანა ფორდ ტრანზიტი სახელმწიფო № GTG-756. გამოშვების წელი 1995. | 1ცალი | 4200 | 4200 | 210 |
| | | საბურავის ბალანსირების აპარატი. | 1ცალი | 2450 | 2450 | 100 |
| | | საბურავის დაშლა-აწყობის აპარატი. | 1ცალი | 1960 | 1960 | 100 |
| | | ამწე (ავტომანქანის „პადიომნიკი") | 1ცალი | 1400 | 1400 | 70 |
| | | კონდიციონერი | 1ცალი | 140 | 140 | 5 |
| | | გაზქურა | 1ცალი | 30 | 30 | 2 |
| | | ტელეფონის აპარატი | 1ცალი | 10 | 10 | 1 |
| 4 | შ.პ.ს. ,,პროექტხელს აწყო" (ს/ნ 212681917). ქ. ქ.ქუთაისი, ნიკეას ქ.№10 | ვერტ. საღარავი ჩარხი 6P12 | 1 ცალი | 1400 | 1400 | 70 |
| | | მრგვალი სახერხი ჩარხი 3H131 | 1 ცალი | 3150 | 3150 | 150 |
| | | საკოპირე საღარავი ჩარხი 6441 PR | 1 ცალი | 3500 | 3500 | 200 |
| | | თერმობარაკამერა KTBV-8000 | 1 ცალი | 1750 | 1750 | 100 |
| | | წნეხი KD 2330 | 1 ცალი | 5600 | 5600 | 250 |
| | | ვერტ. საღარავი ჩარხი 6M12P | 1 ცალი | 1120 | 1120 | 50 |
| | | ფურცელმჭრელი გილიოტინა 1355 | 1 ცალი | 2100 | 2100 | 100 |
| | | ზიგმანქანა H2714 | 1 ცალი | 1750 | 1750 | 100 |
| | | კომბინირებული გადამჭრელი წნეხი HB5222 | 1 ცალი | 2100 | 2100 | 100 |
| | | სახარატო ჩარხი 1A-620 | 1 ცალი | 2450 | 2450 | 100 |
| | | სახარატო ჩარხი 1A-616 | 1 ცალი | 2240 | 2240 | 100 |
| | | ჰორიზონტალური საღარავი ჩარხი 6M81T | 1 ცალი | 2100 | 2100 | 100 |
| | | მიკროავტობუსი ნისა-521 ,,ს" სახელმწიფო № დსს-315 | 1 ცალი | 300 | 300 | 10 |
| 5 | | ავტობუსი კავზ-685 ძრავი N188350, სარ. №DBF 769 | 1 ცალი | 500 | 500 | 20 |
| | | ავტომობილი ზილ-130, სარ. №58-17 ГАЯ | 1 ცალი | 350 | 350 | 20 |
| | | მუხლუხა ტრაქტორი ტ54ბ, გამოშვების წელი 1987 | 1 ცალი | 1400 | 1400 | 70 |
| | | ტრაქტორი მტზ80 | 1 ცალი | 130 | 130 | 5 |
| | შ.პ.ს. ,,I სვირის სანერგი მეურნეობა" (ს/ნ 230028467). ზესტაფონის რაიონი, სოფ. I სვირი | ორგანული სასუქის შემტანი მისაბმელი როუ-6 საქარხნო N254893, გამოშვების წელი 1988 | 1 ცალი | 350 | 350 | 20 |
| | | ავტომობილი გაზ-53 | 1 ცალი | 700 | 700 | 30 |
| | | მუხლუხა ტრაქტორი C-100 | 1 ცალი | 2590 | 2590 | 150 |
| | | ტრაქტორ-საწევარი T150K | 1 ცალი | 3920 | 3920 | 200 |
| | | ტრაქტორი T25A საქარხნო N290802 | 1 ცალი | 1400 | 1400 | 70 |
| | | მუხლუხა ტრაქტორი T 70 საქარხნო N1044 | 1 ცალი | 3150 | 3150 | 150 |
| | | ტრაქტორი DT75 ძრავი N177013 | 1 ცალი | 378 | 378 | 20 |
| | | მუხლუხა ტრაქტორი DT75 ტუმბო N53083, გამოშვების წელი 1991 | 1 ცალი | 1120 | 1120 | 50 |
| | | მუხლუხა ტრაქტორი T54B ძრავი N003598, გამოშვების წელი 1982 | 1 ცალი | 1260 | 1260 | 50 |
| | | სპეცავტომობილი A3901 გაზ52 ბაზაზე, სარ.№ГАЮ 58-43 | 1 ცალი | 200 | 200 | 10 |
| | | ავტომობილი საზ-3507 სარეგ.N11-13 გრვ, გამოშვების წელი 1988 | 1 ცალი | 1400 | 1400 | 70 |
| | | ავტომობილი საზ3507 კ სარეგ.N19-96 გრვ, გამოშვების წელი 1989 | 1 ცალი | 1400 | 1400 | 70 |
| | | ავტომობილი გაზ53 | 1 ცალი | 160 | 160 | 10 |
| | | სასუქის გამმფანტველი მრჟ05 | 1 ცალი | 70 | 70 | 5 |
| | | სასუქის გამმფანტველი მრჟ05 | 1 ცალი | 70 | 70 | 5 |
| | | ცისტერნა 3ტ (შესაძლებელია გაიყიდოს ცალ-ცალკე) | 2 ცალი | 105 | 210 | 5(ყოველი ერთეულის შემთხვევაში) |
| | | ცისტერნა 10ტ. | 1 ცალი | 315 | 315 | 20 |
| | | ქვაბის გასათბობი KV300 | 1 ცალი | 140 | 140 | 5 |
| | | ავტომანქანის სასწორი 15 ტონიანი | 1ცალი | 840 | 840 | 50 |
| | | საკაჟე | | 455 | 455 | 20 |

მესამე პირებს რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარუდგინონ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე (302006000) წინასწარ შეიტანოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2 %, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

აუქციონზე გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც ვაჭრობის მსვლელობისას დადგენილი ბიჯის დამატებით დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი ან 5000 ლარი, უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააცნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს, უფლება აქვს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს მისამართზე ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16 ტელ: 26-12-68 : 26-12-69.

ან ეწვიეთ ვებ გვერდს მისამართზე: www.auction.gov.ge

# განცხადება

**„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში შემდეგ თანამდებობებზე:**

**საერთაშორისო პროექტების სამმართველო**
**(სულ 2 საშტატო ერთეული)**

1. საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1600 ლარი)
2. საერთაშორისო პროექტების სამმართველოს საერთაშორისო პროექტების მენეჯმენტის, მონიტორინგისა და ანგარიშგების განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1200 ლარი)

**კონკურსის პირობები**

კონკურსი უზრუნველყოფს საქართველოს საჯარო სამსახურში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვას.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას სამდივნოში კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ 21-დან 65 წლამდე ასაკის საქართველოს ქმედუნარიანმა მოქალაქეებმა, როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული თანამდებობების მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, ფლობენ სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებენ ვაკანტური თანამდებობის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ნორმატიული აქტით.

კონკურს ატარებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კომისია სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსის მონაწილეთა შეფასებას ახდენს კონკურსის დროს გამოვლენილი პროფესიული ცოდნის, განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების, სახელმწიფო სამსახურის გავლის, შრომითი საქმიანობის საფუძველზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა კომისიის სამდივნოში ელექტრონული და/ან წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან/და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ორიგინალთან ერთად);
3. მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი (ორიგინალთან ერთად);
4. ორი ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3/4);
5. შრომის წიგნაკი (არსებობის შემთხვევაში დედანი);
6. კომისიის სამდივნოს მიერ გაცემული და კანდიდატის მიერ შევსებული ანკეტა.

**საბუთები მიიღება განცხადების გამოქვეყნებიდან ორი კვირის განმავლობაში 11:00სთ-დან 17:00სთ-მდე მისამართზე: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N12 ან ელ- ფოსტაზე: info@georoad.ge**

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირისა.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარატემენტის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსი ჩატარდება გასაუბრების სახით.

გასაუბრების განრიგი განცხადებების შეტანის დასრულებიდან ერთი კვირის განმავლობაში იხილეთ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საინფორმაციო დაფაზე (თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N12) და ვებ გვერდზე **WWW.georoad.ge**

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად)

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს შემდეგ მისამართზე:

თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N12 საკონტაქტო ტელ: 37-05-08 (3 01)

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში ვაკანტური თანამდებობის დაკავების მიზნით გამართულ კონკურსში მონაწილეობის მსურველი კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2009 წლის 3 ნოემბრის „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" N13/6 ბრძანებით შესაბამისი ვაკანტური თანამდებობისათვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, კერძოდ

**1. საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი:**

ა) უმაღლესი განათლება (სასურველია შესაბამისი პროფილის ტექნიკურ დარგში, იურიდიული ან ეკონომიკური);
ბ) მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი;
გ) ინგლისური ენის ცოდნა;
დ) სასურველია საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაოების გამოცდილება;
ე) შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა:
ე.ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ე.ბ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ";
ე.გ) საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ";
ე.დ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ";
ე.ე) საქართველოს კანონი „საავტომობილო გზების შესახებ";
ე.ვ) საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ";
ე.ზ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2009 წლის 14 აგვისტოს N8/6 ბრძანება „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ";
ვ) მსოფლიო ბანკისა და/ან სხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება;
ზ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Internet Explorer) ცოდნა.

**2. საერთაშორისო პროექტების სამმართველოს საერთაშორისო პროექტების მენეჯმენტის, მონიტორინგისა და ანგარიშგების განყოფილების უფროსი:**

ა) უმაღლესი განათლება (სასურველია შესაბამისი პროფილის ტექნიკურ დარგში, იურიდიული ან ეკონომიკური);
ბ) მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი;
გ) ინგლისური ენის ცოდნა;
დ) სასურველია საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაოების გამოცდილება;
ე) შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა:
ე.ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ე.ბ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ";
ე.გ) საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ";
ე.დ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ";
ე.ე) საქართველოს კანონი „საავტომობილო გზების შესახებ";
ე.ვ) საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ";
ე.ზ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2009 წლის 14 აგვისტოს N8/6 ბრძანება „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ";
ვ) მსოფლიო ბანკსა და/ან სხვა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება;
ზ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Internet Explorer) ცოდნა.

აღნიშნული განცხადება შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-გვერდებზე: **www.georoad.ge** (იუსტიციის სამინისტრო), **www.csb.gov.ge** (საჯარო სამსახურის ბიურო) და **www.jobs.gov.ge** (დასაქმება საჯარო სამსახურში).

## იყიდება!

**მოქმედი მრავალფრაქციული „დრაბილკა",**
**ლიცენზირებული კარიერით**
**80 000 კბ. მ-ზე**
**ტექნიკასთან ერთად:**

- ექსკავატორი "3322 (ობობა),
- მტვირთავი "T0-30",
- თვითმცლელი ა/მ "მაზი",
- ბულდოზერი "C/130"

**ფასი შეთანხმებით**

**საკონტაქტო ტელეფონი:**
897 56 20 60

## შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (ყოფილი „თბილისის წყალი") აცხადებს ღია ფასთა კონკურსს ზამთრის სპეც ტანსაცმლის შესყიდვაზე

ზამთრის სპეც ტანსაცმელი მოიცავს:
დაბამბულ ქურთუკებს და შარვლებს მუშათათვის;
დაბამბულ ქურთუკებს და შარვლებს ინჟინერ ტექნიკური პერსონალისათვის;
ზამთრის თბილ ქუდებს მუშებისათვის;
ქუდებს ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისათვის;
წყალგაუმტარ სპეც. კომბინიზონებს კანალიზაციისა და წყალსადენის ჭებსა და რეზერვუარებში მომუშავე პერსონალისათვის.

ზემოთ ხსენებული სპეც ტანსაცმელი უნდა იყოს ქარგამძლე და პასუხობდეს შესაბამის ნორმებს.

**კონკურსში მონაწილების მიღების მსურველებმა 15 ნოემბრამდე უნდა წარმოადგინონ ზემოთ ხსენებული სპეც ტანსაცმლის ნიმუში.**

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ იურიდიულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" შესყიდვების განყოფილებაში, ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა), 09:00 - 18:00 სთ-მდე.

**წინადადების წარმოდგენის საბოლოო ვადაა მ/წ 20 ნოემბერი.**

საკონტაქტო ტელეფონი 8(32) 487141, 8(32) 487143

**ელ-ფოსტა:** ekvintradze@georgianwater.com; isakvarelidze@georgianwater.com

სსიპ - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი

## მოწვევა წინადადებების წარმოდგენის შესახებ

**სოფლის განვითარების პროექტი (RDP)**

პროექტი N P078544

"უწყვეტ რეჟიმში მომუშავე კოორდინატების სისტემის (CORS)" შესყიდვა

მოწვევის N ICB/RURAL/2009/C3.1

1. აღნიშნული მოწვევა წინადადებების წარმოდგენის შესახებ თან სდევს პროექტის ძირითად შეტყობინებას შესყიდვების შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა 2006 წლის 8 ნოემბრის "Development Business"-ში.

2. საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკისა (WB) და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) დახმარებით მოამზადა სოფლის განვითარების პროექტი (RDP) და მიზნად ისახავს აღნიშნული სესხის სახსრების ნაწილის გამოყენებას "უწყვეტ რეჟიმში მომუშავე კოორდინატების სისტემის (CORS)," შესასყიდად - ICB/RURAL/2009/C3.1.

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი (PCC) აცხადებს მოწვევას კონკურსის სათანადო და კვალიფიციური მონაწილეების მიერ დალუქულ კონვერტში დაბეჭდილი წინადადებების წარმოდგენაზე "უწყვეტ რეჟიმში მომუშავე კოორდინატების სისტემის (CORS)" შესყიდვაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის.

4. კონკურსი გაიმართება საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად (რაც მოცემულია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში "შესყიდვები რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებისა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტების ფარგლებში" და ის ღიაა ყველა მონაწილესათვის ნებადართული მომწოდებელი ქვეყნებიდან, როგორც ეს ზემოაღნიშნულ სახელმძღვანელოშია მითითებული.

5. დაინტერესებულ ნებადართულ მონაწილეებს დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მოიპოვონ სსიპ - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრში (ბ-ნ. ვახტანგ ჯალიაშვილი, შესყიდვების სპეციალისტი, vajhtang.jaliashvili@adpcc.org.ge) და მიიღონ სატენდერო დოკუმენტაცია ქვემოთ მოცემულ მისამართზე, სამუშაო დღეებში 10:00-დან 17:00 საათამდე.

6. საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს:

კონკურსში მონაწილემ უნდა მოახდინოს მის მიერ წინადადებაში წარმოდგენილი საქონლის მოწოდების ერთი ან მეტი კონტრაქტის განხორციელების დემონსტრირება ბოლო 5 წლის განმავლობაში და აღნიშნული საქონლის წარმატებით გამოყენება მინიმუმ 1 წლის განმავლობაში.

ადგილობრივი მომწოდებლებისთვის შეღავათების მინიჭების პროცედურა არ იქნება გამოყენებული. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

7. დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მოიპოვონ სატენდერო დოკუმენტაციის სრული პაკეტი ინგლისურ ენაზე ქვემოთ მოცემულ მისამართზე, წერილობითი განაცხადის წარმოდგენის და აუნაზღაურებელი 200 აშშ დოლარის გადახდისთანავე. გადახდის მეთოდი არის თანხის გადარიცხვა შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

"თი-ბი-სი ბანკი", მარჯანიშვილის ფილიალი, მარჯანიშვილის 7, თბილისი, 0102, საქართველო; ანგარიშის N115086086 (აშშ დოლარი/ევრო), SWIFT CODE კოდი: TBCBGE22.

საკორესპონდენციო ბანკის რეკვიზიტები:

სახელი: CITIBANK N.A
მისამართი: 111 WALL St. NEW YORK, N.Y. 10043
საბანკო ანგარიშის დასახელება: თი-ბი-სი ბანკის საკორესპონდენციო ანგარიში
საბანკო ანგარიშის ნომერი: 36127097 აშშ დოლარი, ABA: 021000089, SWIFT: CITIUS33

სატენდერო დოკუმენტაცია გაგზავნილ იქნება კურიერის მეშვეობით. სატენდერო დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია და შეიძლება გაგზავნილ იქნეს მყარი ასლის საფასურის გადახდის შემდეგ.

8. წინადადებები უნდა წარმოდგენილ იქნეს ქვემოთ მოცემულ მისამართზე 2009 წლის 21 დეკემბრის 15:00 საათამდე. წინადადებების ელ. ვერსიები არ მიიღება. დაგვიანებული წინადადებები არ განიხილება. წინადადებების გახსნა გაიმართება კონკურსანტების წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ დასწრების სურვილს ქვემოთ მოცემულ მისამართზე (იგივე რაც წინადადების წარმოდგენისთვის). ყველა წინადადებას თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია 13,000.00 აშშ დოლარზე ან მის ეკვივალენტურ თანხაზე სხვა თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში.

9. საკოორდინაციო ცენტრის მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის ქ. 6, მე-3 სართული, ოთახი 307
ტელ: +995-32 37-66-71
ფაქსი: +995-32 37-66-89
ბ-ნ. ვახტანგ ჯალიაშვილს, შესყიდვების სპეციალისტი
ელ-ფოსტა: vakhtang.jaliashvili@adpcc.org.ge
ბ-ნ. დავით აროშიძე, შესყიდვების ოფიცერი
ელ-ფოსტა: david.aroshidze@adpcc.org.ge

---

**საქმე N2/667-09**

**დ ა უ ს წ რ ე ბ ე ლ ი გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

საქართველოს სახელით

08 ოქტომბერი 2009 წ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**

**მოსამართლე ეკატერინე ცისკარიძე**

**სხდომის მდივანი: თ. გაგუა**

**მოსარჩელე:** სულიკო დარსაველიძე

**მოპასუხე:** ინეზა გორდულაძე

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 7 მარტს სარჩელით მიმართეს სულიკო დარსაველიძემ და სხვებმა (სულ 13 ფიზიკური პირი) მოპასუხეების უკანონო მფლობელობიდან მათი კუთვნილი უძრავი ნივთების გამოთხოვის მოთხოვნით.

მოსარჩელე სულიკო დარსაველიძე სარჩელში უთითებს, რომ არის ქ. თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ, №34 კორპუსში №13-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის კანონიერი (ორდერის) მფლობელი. მოსარჩელის განმარტებით, საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობას აწარმოებდა მინისტრთა კაბინეტის სამეურნეო სამმართველო, მაგრამ გასული საუკუნის 90-იან წლებში მისი მშენებლობა შეწყდა ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო. შენობის ნაწილი მოქცეულია სახურავის ქვეშ, ნაწილი კი შეჩერებულია მე-7 სართულის დონეზე. ამჟამად მოსარჩელის კუთვნილი ბინა უკანონოდ, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაკავებული აქვს მოპასუხე ინეზა გორდულაძეს. მოსარჩელე მოითხოვს მისი კუთვნილი ბინის გამოთხოვას მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან.

მოპასუხის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე 2009 წლის 27 აგვისტოს განჩინებით მოპასუხე ინეზა გორდულაძეს საჯარო შეტყობინების გზით ეცნობა სარჩელის არსებობის, სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშვნის თაობაზე და გამოუცხადებლობის შედეგებზე გაფრთხილებული იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

2009 წლის 08 ოქტომბერს დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე ინეზა გორდულაძე, რომელსაც შეტყობინება სხდომის დღის, დროისა და ადგილის შესახებ ეცნობა საქართველოს სსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოცხადებულმა მოსარჩელე სულიკო დარსაველიძის წარმომადგენელმა ბათარ ჩანქსელიანმა იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის და სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო.

სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ჩათვალა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით შეაფასა რა სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები, მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად ეს გარემოებები იურიდიულად ამართლებენ მოსარჩელის მოთხოვნას.

**ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე, 236-237-ე მუხლებით და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. სულიკო დარსაველიძის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
2. გამოთხოვილ იქნას ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მ/რ, კორპ, №34-ში მდებარე სულიკო დარსაველიძის საკუთრებაში არსებული ბინა №13 ინეზა გორდულაძის უკანონო მფლობელობიდან და გადაეცეს სულიკო დარსაველიძეს;
3. გადახდეს ინეზა გორდულაძეს 120 ლარი სულიკო დარსაველიძის სასარგებლოდ მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ;
4. განემარტოს მოპასუხეს, რომ გადაწყვეტილებაზე შესაძლებელია საჩივრის შეტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 10 (ათი) დღის ვადაში მისთვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში;
5. მოპასუხეს - ინეზა გორდულაძეს განემარტოს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება მისთვის ჩაბარებულად ითვლება დაუსწრებელი გადაწყვეტილების საჯარო შეტყობინებით გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს;
6. დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს გაზეთში "24 საათი";
7. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაზეთში გამოქვეყნების ხარჯები დაეკისროს მოსარჩელეს.

**მოსამართლე: ე. ცისკარიძე**

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 10 სექტემბრის №158 დადგენილების შესაბამისად, 2009 წლის 20 ნოემბერს დღის 12:00 საათზე, ქ. თბილისში გორგასლის ქუჩა №16-ში (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შენობა) ატარებს აუქციონს, რომელზეც გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

| | მესაკუთრის დასახელება | ქონების დასახელება და აღწერა | ზომის ერთეული | ერთეულის საწყისი ფასი (ლარი) | საერთო საწყისი ფასი (ლარი) | ბიჯის ოდენობა (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შპს „ფინარდ კონსალტინგი“ (ს/ნ 205032917) იურიდიული მისამართი ქ.თბილისი, აბაშიძის ქ.№10, ბინა №22 | კომპიუტერი (mon.crt 15) | 1ცალი | 100 | 100 | 5 |
| | | კომპიუტერი (mon. lg 17) | 1ცალი | 100 | 100 | 5 |
| | | კომპიუტერი (mon. samsung 17) | 1ცალი | 110 | 110 | 6 |
| | | კომპიუტერი (fujitsu siemens) | 1ცალი | 150 | 150 | 8 |
| | | ტელეფონი- ფაქსი (panasonic)1 | 1ცალი | 40 | 40 | 2 |
| | | ტელეფონი „ატს“ (2 panasonic) | 1ცალი | 30 | 30 | 2 |
| | | კარადა | 3ცალი | 60 | 180 | 10 |
| | | სკამი | 14ცალი | 20 | 280 | 15 |
| | | მაგიდა (პატარა) | 1ცალი | 20 | 20 | 2 |
| | | მაგიდა | 6ცალი | 40 | 240 | 15 |
| | | კაბინეტის მაგიდა | 1ცალი | 80 | 80 | 5 |
| 2 | შპს „მოლი“ (ს/ნ 206071800) იურიდიული მისამართი ქ.თბილისი, სამგორი ქ. №1, ჩიხი №3. | წისქვილის ქარხანა Tanus COMPACT FLOUR MILL (წარმადობა 50 ტონა) | 1ცალი | 120000 | 120000 | 6000 |
| | | ხორბლის სარეცხი მანქანა | 1ცალი | 30000 | 30000 | 1500 |
| | | კარადა ტანსაცმლის | 1ცალი | 25 | 25 | 2 |
| | | კონდიციონერი BK 1500 | 1ცალი | 20 | 20 | 1 |
| | | საკერავი მანქანა | 1ცალი | 70 | 70 | 4 |
| | | საბურღი დაზგა | 1ცალი | 60 | 60 | 3 |
| | | კარადა თაროებით | 1ცალი | 25 | 25 | 2 |
| 3 | შპს „ბაღდათელი“ ს/ნ 202407127 იურიდიული მისამართი ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №124. | ავტომანქანა TATA TELCOLINE სახელმწიფო №GDG-270 გამოშვების წელი 2008 | 1ცალი | 8250 | 8250 | 420 |
| | | გენერატორი | 1ცალი | 1250 | 1250 | 70 |
| | | HP Lazerjet Jet 1018 | 1ცალი | 50 | 50 | 3 |
| | | Casper Monitor 8ms | 1ცალი | 30 | 30 | 2 |
| | | HP OFFICE JET all in one | 1ცალი | 45 | 45 | 3 |
| | | Casper Workstation | 1ცალი | 150 | 150 | 10 |
| 4 | შპს „ზოოვეტმომარაგება“ ს/ნ 206107595 იურიდიული მისამართი ქ.თბილისი, აბუსერიძის-ტბელი 15. | ავტომანქანა LADA NIVA VAZ 21213 სახელმწიფო №SNS-404 გამოშვების წელი 2000. | 1ცალი | 3300 | 3300 | 150 |
| 5 | შპს „მუხტი“ ს/ნ 200123758 იურიდიული მისამართი ქ.თბილისი ირ.აბაშიძის ქ.№89 | LADA NIVA VAZ 21213 სახელმწიფო №LOO-154 გამოშვების წელი 2001 | 1 ცალი | 3000 | 3000 | 150 |
| 6 | ი/ს „ლელა კალანდია“ ს/ნ 102198284 იურიდიული მისამართი ქ.თბილისი, კრწანისის №8. | ბავშვის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საბავშვო ლიტერატურა და საოფისე ინვენტარი | | | 47000 | 2400 |
| | | ავტომანქანა PEUGEOT სახელმწიფო №SPD-607 გამოშვების წელი 2002 | 1ცალი | 6800 | 6800 | 300 |
| 7 | შპს „ნოლა“ ს/ნ 211372860 იურიდიული მისამართი ქ.თბილისი, ფეიქრების ქ.№14 | ავტომანქანა KRAZ-6510 სახელმწიფო №AXA-738 გამოშვების წელი 1998, დაშლილ მდგომარეობაში | 1ცალი | 2500 | 2500 | 100 |
| | | ბეტონის ტუმბო SCHWING- BRA 500 | 1ცალი | 5000 | 5000 | 250 |
| 8 | შპს „ექსპო სერვისი“ ს/ნ 205044101 იურიდიული მისამართი ქ.თბილისი, ბარათაშვილის9. | ინერტული მასალების ტრანსპორტიორი (ლენტ) | 1ცალი | 450 | 450 | 25 |
| | | ელექტრო ძრავი 35კვტ | 1ცალი | 425 | 425 | 25 |
| | | ელექტრო ძრავი 1,5კვტ | 3ცალი | 40 | 120 | 10 |
| | | ელექტრო ძრავი 5კვტ | 3ცალი | 80 | 240 | 15 |
| | | რედუქტორი | 5ცალი | 20 | 100 | 5 |
| | | წყლის ტუმბო | 2ცალი | 150 | 300 | 15 |
| | | ჰაერის კლაპანი | 8ცალი | 15 | 120 | 10 |
| | | შნეკი | 2ცალი | 225 | 450 | 25 |
| | | ელექტრო ფარი | 2ცალი | 60 | 120 | 10 |
| | | გამშვები ფარი | 1ცალი | 60 | 60 | 5 |
| | | ბეტონის ამრევი | 2ცალი | 2250 | 4500 | 225 |
| | | ვიბრატორი | 11ცალი | 40 | 440 | 25 |
| | | ბლოკის დანადგარი | 6 ცალი | 550 | 3300 | 165 |
| | | დასატვირთი ტრანსპორტიორი | 1ცალი | 450 | 450 | 25 |
| | | ტრანსფორმატორი | 4ცალი | 125 | 500 | 25 |
| | | კომპრესორი | 3ცალი | 150 | 450 | 25 |
| | | ვიბრატორის ძრავი | 1ცალი | 20 | 20 | 2 |
| | | ძნეკი ძრავით | 2ცალი | 250 | 500 | 25 |
| | | საბურღი ჩარხი | 2ცალი | 600 | 1200 | 60 |
| | | ელ. მრიცხველი | 1ცალი | 30 | 30 | 2 |
| | | სახერხი ჩარხი | 1ცალი | 700 | 700 | 35 |
| | | შალაშინი | 1ცალი | 550 | 550 | 30 |
| | | რეისმუსი | 1ცალი | 750 | 750 | 40 |
| | | კოტა-საჭრელი | 1ცალი | 700 | 700 | 35 |
| | | საღარავი ჩარხი | 1ცალი | 800 | 800 | 40 |
| | | სატეხი დანადგარი | 1ცალი | 400 | 400 | 20 |
| | | სახარატო ჩარხი | 1ცალი | 900 | 900 | 45 |
| | | სახეხი ჩარხი | 1ცალი | 550 | 550 | 30 |
| | | კომპიუტერი | 1ცალი | 425 | 425 | 25 |
| | | სალარო აპარატი | 1ცალი | 125 | 125 | 10 |
| | | შედუღების აპარატი | 1ცალი | 175 | 175 | 10 |
| | | ინერტული მასალების საწორი | 1ცალი | 150 | 150 | 10 |
| | | ცემენტის საწორი 500კგ | 1ცალი | 150 | 150 | 10 |
| | | წყლის სასწორი 200კგ | 1ცალი | 100 | 100 | 5 |
| | | სასწორი დოზატორი | 3ცალი | 150 | 450 | 25 |
| | | ურიკა | 1ცალი | 30 | 30 | 2 |
| | | სასწორი 1200კგ | 1ცალი | 200 | 200 | 10 |
| | | სასწორი 200კგ | 1ცალი | 100 | 100 | 5 |
| | | სასწორი 400კგ | 1ცალი | 125 | 125 | 10 |
| | | ინერტული მასალის დოზატორი | 1ცალი | 200 | 200 | 10 |
| | | ცემენტის დოზატორი | 1ცალი | 150 | 150 | 10 |
| | | სილოსი | 2ცალი | 1000 | 2000 | 100 |
| | | გადასაზიდი კონტეინერი | 16ცალი | 60 | 960 | 50 |
| | | ბარაბანი | 2ცალი | 30 | 60 | 5 |
| | | შედუღების აპარატი | 2ცალი | 75 | 150 | 10 |
| | | რუსული ბარგალკა | 1ცალი | 25 | 25 | 2 |
| | | თუნუქის მაკრატელი | 1ცალი | 2 | 2 | 1 |
| | | დრელი | 2ცალი | 12,5 | 25 | 2 |
| | | რკინის კარადა | 2ცალი | 40 | 80 | 5 |
| | | მაგიდა კარადა | 2ცალი | 5 | 10 | 1 |
| | | რადიალი | 1ცალი | 225 | 225 | 15 |
| | | სამონტაჟო მაგიდა | 1ცალი | 75 | 75 | 5 |
| | | ვესტაგი (14*6) | 3ცალი | 40 | 120 | 10 |
| | | ავტომანქანა მაზ 54331 (ტრაილერი) სახელმწიფო №KKK-205 | 1ცალი | 2750 | 2750 | 140 |
| | | მაზ54331 (ტრაილერის მისაბმელი ოდაზ 9386) სახელმწიფო №AB-981 | 1ცალი | 2250 | 2250 | 115 |
| | | ტრაქტორი | 1ცალი | 800 | 800 | 40 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | ავტომანქანა კამაზ 53212 სახელმწიფო №EEK-2007 | 1ცალი | 7500 | 7500 | 375 |
| 9 | შპს „საქართველოს საავტომობილო ფედერაცია“ ს/ნ 204387163 იურიდიული მისამართი ქ.თბილისი, სანაპიროს ქ.№4 | ავტომანქანა DAF სახელმწიფო №ADS-657 | 1ცალი | 250 | 250 | 15 |
| | | ავტომანქანა VOLKSWAGEN PASSAT სახელმწიფო №ADS-409 გამოშვების წელი 1990 | 1ცალი | 750 | 750 | 40 |
| | | ავტომანქანა VOLKSWAGEN PASSAT სახელმწიფო №ADS-410 გამოშვების წელი 1990 | 1ცალი | 400 | 400 | 20 |
| | | ავტომანქანა FIAT IVECO სახელმწიფო №ADS-451 გამოშვების წელი 1991 | 1ცალი | 250 | 250 | 15 |
| | | ავტომანქანა MERCEDES BENC LP 608 სახელმწიფო №III-654 გამოშვების წელი 1985 | 1ცალი | 2250 | 2250 | 115 |
| | | ავტომანქანა FIAT IVECO სახელმწიფო №VIV-972 | 1ცალი | 3750 | 3750 | 200 |
| | | ავტომანქანა OPEL OMEGA სახელმწიფო №WVW-746 | 1ცალი | 200 | 200 | 10 |
| | | ავტომანქანა TOYOTA COROLLA სახელმწიფო №CTS-196 გამოშვების წელი 1993 | 1ცალი | 350 | 350 | 20 |
| | | ავტომანქანა SUBARU IMPEREZA სახელმწიფო №AKA-614 | 1ცალი | 100 | 100 | 5 |
| | | მისაბმელი სახელმწიფო №YV-198 | 1ცალი | 750 | 750 | 40 |
| | | კარადა | 1ცალი | 55 | 55 | 3 |
| | | მაგიდა | 1ცალი | 30 | 30 | 2 |
| | | სკამი | 8ცალი | 2,5 | 20 | 1 |
| 10 | ი/მ „სუჯუ ვანგი“ ს/ნ 104502487 იურიდიული მისამართი ქ.თბილისი, ლეონიძის №7 | ჩინური წარმოების: ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სუვენირები, აქსესუარები და სხვადასხვა დასახელების საყოფაცხოვრებო საქონელი | | | 4100 | 200 |
| 11 | შპს “გაბლუი“ ს/ნ 202374714 იურიდიული მისამართი ქ.თბილსი, ხოსარაულის ქ.№29. | ლაკ-საღებავი 3კგ. დაფასოებით | 400ცალი | 10 | 4000 | 200 |
| | | ლაკ-საღებავი 15 კგ. დაფასოებით | 60ცალი | 43,5 | 2610 | 135 |
| | | საგორავებელი (კატოკი) | 1000ცალი | 5 | 5000 | 250 |
| | | პენოპლასტის კარნიზი | 752მეტრი | 0,75 | 564 | 30 |
| | | კაბლოკანალი | 9000მეტრი | 1,5 | 13500 | 680 |
| | | წებო -პვა (დიდი 15ლ) | 35ცალი | 29 | 1015 | 55 |
| | | წებო -პვა (პატარა 10ლ) | 24ცალი | 17,5 | 420 | 25 |
| | | პლასტმასის კანტი | 66000მეტრი | 0,5 | 33000 | 1650 |
| | | შპაკლი რკინის | 90ცალი | 3,5 | 315 | 20 |
| | | ჭერი | 442,5კვ.მ | 7 | 3100 | 160 |
| | | რგოლი | 2000ცალი | 4 | 8000 | 400 |
| | | ფაქტურიანი საღებავი | 240ცალი | 15 | 3600 | 180 |
| 12 | შპს „თბილმშენი-2“ ს/ნ 201991194 იურიდიული მისამართი ქ.თბილისი, ლუბლიანას ქ.№1 | მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები მდებარე ქ.თბილისი ლუბლიანას ქ.№1 | 1500კვ.მ | | 224000 | 11000 |
| 13 | ,,ხეოთის კოლმეურნეობა“ (ს/ნ 224065954) მის: ახალციხის რ–ნი სოფ. ხეოთი | კომბაინი | 1 ცალი | 600 | 600 | |
| | | სასენაჟე ორმო | 1 ცალი | 200 | 200 | 10 |
| 14 | სოფ. პტენის კოლმეურნეობა (ს/ნ 223351138) მის: ახალქალაქის რ–ნი, სოფ. პტენა | ფერმის საკვების საამქრო შენობა | 1 ცალი | 500 | 500 | 25 |
| 15 | ,,ნიალის საზოგადოებრივი მეურნეობა“ (ს/ნ 223098207) მის: ასპინძის რ–ნი | ტრაქტორი ტ–150 | 1 ცალი | 600 | 600 | 30 |
| | | ავტომანქანა გაზ–53 | 1 ცალი | 700 | 700 | 35 |
| | | ავტომანქანა ზილ–130 | 1 ცალი | 500 | 500 | 25 |
| | | დუპლექსის ტიპის საცხოვრებელი სახლი | 1 ცალი | 2 000 | 2 000 | 100 |
| | სოფელ აბულის ს.ს კოლექტიური | ავტომანქანა გაზ–53 | 1 ცალი | 650 | 650 | 40 |
| | | წყლის ავზი 4 ტონიანი | 1 ცალი | 150 | 150 | 10 |
| 16 | საწარმო (ს/ნ 223351165) მის: ახალქალაქის რ–ნი სოფ. აბული | ხის დამამუშავებელი დანადგარი | 1 ცალი | 200 | 200 | 10 |
| | | მინერალური სასუქის დამფანტველი | 1 ცალი | 200 | 200 | 10 |
| | | მისაბმელი ავზი 4 ტონიანი | 1 ცალი | 200 | 200 | 10 |
| | | მიკროტრაქტორი | 1 ცალი | 300 | 300 | 15 |
| | | სენაჟის ორმო | 1 ცალი | 3 000 | 3 000 | 150 |
| | | მარცვლის საწყობი 190 მ2 | 1 ცალი | 4000 | 4000 | 200 |
| 17 | მუსხის კოლმეურნეობა (ს/ნ 224066294) მის: ახალციხის რ–ნი, სოფ. მესხი | ხარების ბოსელი | 1 ცალი | 800 | 800 | 40 |
| | | ბოსელი, საკარტოფილე საწყობი | 1 ცალი | 2000 | 2000 | 100 |
| | | საცხოვრებელი ბინა ზანზობის მთაში | 1 ცალი | 600 | 600 | 30 |
| | | საცხოვრებელი სახლი | 1 ცალი | 150 | 150 | 10 |
| | | საცხვარე ფარეხი | 1 ცალი | 300 | 300 | 15 |
| | | წისქვილი | 1 ცალი | 1500 | 1500 | 75 |
| | | საყარაულო ოთახი | 1 ცალი | 40 | 40 | 2 |
| | | ქვის სახეხრი | 1 ცალი | 200 | 200 | 10 |
| | | ტრანსპორტიორი | 1 ცალი | 100 | 100 | 5 |
| | | დაუმთავრებელი შენობა | 1 ცალი | 1600 | 1600 | 80 |
| | | მაცივარი კარადა | 1 ცალი | 450 | 450 | 25 |
| | | ხის სახერხი დაზგა | 1 ცალი | 200 | 200 | 10 |
| | | ბელარუსი ესკავატორი | 1 ცალი | 400 | 400 | 20 |
| | | ვიმი მარცვლის სარჩევი | 1 ცალი | 80 | 80 | 4 |
| | | ბაღის შესაწამლი აპარატი | 1 ცალი | 100 | 100 | 10 |
| | | პრესი სატუკი | 1 ცალი | 100 | 100 | 10 |
| | | სამჭედლოს ფარდული | 1 ცალი | 110 | 110 | 10 |
| | | სახარატო დაზგა | 1 ცალი | 150 | 150 | 10 |
| 18 | ი/მ ,გვანცელაძე თეიმურაზი“ (ს/ნ 112814376). მის: ქ. ქუთაისი, ევდოშვილის ქ.№10 | გაზის ქურა ,,კრონი“ (შესაძლებელია გაიყიდოს ცალ-ცალკე) | 13 ცალი | 210 | 2730 | 10 (ყოველი ერთეულის შემთხვევაში) |
| | | გაზის ქურა ,,გრეტა“ (შესაძლებელია გაიყიდოს ცალ-ცალკე) | 27 ცალი | 160 | 4320 | 10(ყოველი ერთეულის შემთხვევაში) |
| | | გაზის ქურა ,,ინდეზიტი“ (შესაძლებელია გაიყიდოს ცალ-ცალკე) | 2 ცალი | 250 | 500 | 10(ყოველი ერთეულის შემთხვევაში) |
| | | თმის საშრობი-21100 (შესაძლებელია გაიყიდოს ცალ-ცალკე) | 5 ცალი | 13 | 65 | 1 (ყოველი ერთეულის შემთხვევაში) |
| | | თმის საშრობი-1800 (შესაძლებელია გაიყიდოს ცალ-ცალკე) | 3 ცალი | 13 | 39 | 1 (ყოველი ერთეულის შემთხვევაში) |
| | | თმის საშრობი-3000 | 1 ცალი | 13 | 13 | 1 |
| | | თმის საშრობი-6000 | 1 ცალი | 13 | 13 | 1 |
| | | თმის საშრობი-943 | 1 ცალი | 10 | 10 | 1 |
| | | თმის უთო ,,ნოვა“ | 1 ცალი | 10 | 10 | 1 |
| | | თმის უთო ,,ჯეპისი“ | 1 ცალი | 10 | 10 | 1 |
| | | ორთლგამწოვი ,,სუსლერი“ (შესაძლებელია გაიყიდოს ცალ-ცალკე) | 5 ცალი | 80 | 400 | 45(ყოველი ერთეულის შემთხვევაში) |
| | | ორთლგამწოვი ,,ინდეზიტი“ | 1 ცალი | 85 | 85 | 5 |
| | | ვენტილიატორი ,,კროუნი“ (შესაძლებელია გაიყიდოს ცალ-ცალკე) | 7 ცალი | 13 | 91 | 1 (ყოველი ერთეულის შემთხვევაში) |
| | | აირგამათმობელი ,,ადონისი“ | 1 ცალი | 115 | 115 | 5 |
| | | სარეცხი მანქანა ,,ინდეზიტი“ 5 კგ-იანი (შესაძლებელია გაიყიდოს ცალ-ცალკე) | 2 ცალი | 310 | 620 | 15(ყოველი ერთეულის შემთხვევაში) |
| | | მაცივარი ,,ნორდი-218“ | 1 ცალი | 350 | 350 | 20 |
| | | მაცივარი ,,ნორდი ოპტიმა-241“ (ორკამერიანი ზედა საყინულით) | 1 ცალი | 125 | 125 | 5 |
| | | მაცივარი ,,ნორდი ოპტიმა-241“ (ორკამერიანი ზედა საყინულით) | 1 ცალი | 200 | 200 | 10 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | მაცივარი „ნორდი ოპტიმა-241“ (ორკამერიანი ზედა საყინულით) | 1 ცალი | 175 | 175 | 10 |
| | | მაცივარი „ნორდი ოპტიმა-241“ (ორკამერიანი ზედა საყინულით) (შესაძლებელია გაიყიდოს ცალ-ცალკე) | 9 ცალი | 200 | 1800 | 10(ყოველი ერთეულის შემთხვევაში) |
| | | მაცივარი „ნორდი -241“ (ვერცხლისფერი) | 1 ცალი | 200 | 200 | 10 |
| | | მაცივარი „ნორდი -241“ (ვერცხლისფერი) | 1 ცალი | 275 | 275 | 15 |
| | | მაცივარი „ნორდი -245“ (ორკამერიანი) | 1 ცალი | 225 | 225 | 15 |
| | | მაცივარი „ნორდი -245“ (ორკამერიანი) (შესაძლებელია გაიყიდოს ცალ-ცალკე) | 5 ცალი | 300 | 1500 | 15 (ყოველი ერთეულის შემთხვევაში) |
| | | მაცივარი „ნორდი -431“ (ერთკამერიანი) (შესაძლებელია გაიყიდოს ცალ-ცალკე) | 2 ცალი | 225 | 450 | 15(ყოველი ერთეულის შემთხვევაში) |
| | | მაცივარი „ინდეზიტი“ (ორკამერიანი) | 1 ცალი | 400 | 400 | 20 |
| | | მაცივარი „ნორდი-244“ | 1 ცალი | 250 | 250 | 15 |
| | | მაცივარი „ნორდი-244“ | 1 ცალი | 325 | 325 | 15 |
| | | მაცივარი „ნორდი-245“ | 1 ცალი | 250 | 250 | 15 |
| | | მაცივარი „ნორდი-245“ (შესაძლებელია გაიყიდოს ცალ-ცალკე) | 2 ცალი | 300 | 600 | 15 (ყოველი ერთეულის შემთხვევაში) |
| | | მაცივარი „ნორდი ოპტიმა-241“ (შესაძლებელია გაიყიდოს ცალ-ცალკე) | 8 ცალი | 275 | 2200 | 15 (ყოველი ერთეულის შემთხვევაში) |
| 19 | შ.პ.ს. „პოლიმერი-93“ (ს/ნ 212672829). ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის პრ. №98 | დიზელ გენერატორი 37 კვტ. | 1 ცალი | 2000 | 2000 | 100 |
| | | ცელოფანის დამამზადებელი დანადგარების კომპლექსი | 1 კომპ. | 2500 | 2500 | 125 |
| | | ცომსაზელი დეჟი | 1 ცალი | 750 | 750 | 40 |
| | | ცომსაზელი ქვაბი | 1 ცალი | 75 | 75 | 4 |
| 20 | შპს „სოჩხეთის თაიგული“ (ს/ნ 219617788). ქ. ტყიბული სოფ. სოჩხეთი | ავტომანქანის სასწორი 15 ტონიანი | 1 ცალი | 1500 | 1500 | 80 |
| 21 | შ.პ.ს. „ფარი 12“ (ს/ნ 212697660). ქ. ქ.ქუთაისი, პუშკინის №14 | კრაზ-256 ბ1, სარეგ. № DBB-407, გამოშვების წელი 1992 | 1 ცალი | 7500 | 7500 | 400 |
| 22 | შ.პ.ს. „ბეღელი“ (ს/ნ 225057595). მის: ბაღდადის რაიონი, სოფ. ვარციხე | ხორბლის გამწმენდი 1,5 კვტ | 1 ცალი | 400 | 400 | 20 |
| | | ხორბლის მიმწოდებელი 2 კვტ | 1 ცალი | 150 | 150 | 10 |
| | | ელექტროწისქვილი | 1 ცალი | 1000 | 1000 | 50 |
| | | დამახარისხებელი ბუნკერი | 1 ცალი | 750 | 750 | 40 |
| | | ტომრის მოსაკერი | 1 ცალი | 300 | 300 | 15 |
| 23 | შ.პ.ს. „აგირი“ (ს/ნ 225063515 ). მის: ბაღდადი, სოფ. წითელხევი | ცისტერნა ღვინის 16ტ. (შესაძლებელია გაიყიდოს ცალ-ცალკე) | 12 ცალი | 600 | 7200 | 30 (ყოველი ერთეულის შემთხვევაში) |
| | | ცისტერნა ღვინის 25 ტ. | 1 ცალი | 900 | 900 | 50 |
| | | ცისტერნა ღვინის 8 ტ. | 1 ცალი | 400 | 400 | 20 |
| | | ყურძნის მიმღები | 1 კომპლ. | 30000 | 30000 | 1500 |
| 24 | შ.პ.ს. „ვაზისა“ (ს/ნ 231945018). თერჯოლა, იმერეთის. ქ№5 | რკინიგზის ჩიხი 3708გრძ.მ | 1 ცალი | 927000 | 927000 | 5000 |
| | | რკინა-ბეტონის ხიდი 78გრძ.მ | 1 ცალი | 728000 | 728000 | 5000 |
| 25 | საცდელ-მექანიკური ქარხანა "უნივერსალი" (ს/ნ 212679458 ). მის: ქ. ქუთაისი, სულხან-საბას ქ.№7 | ერთკოჭიანი 3ტ.ამწე | 1 ცალი | 750 | 750 | 40 |
| | | ერთკოჭიანი 3ტ.ამწე | 1 ცალი | 750 | 750 | 40 |
| | | ერთკოჭიანი 3ტ.ამწე | 1 ცალი | 750 | 750 | 40 |
| | | ჰიდრავლიკური წნეხი | 1 ცალი | 250 | 250 | 15 |
| | | გელიოტინა ნზ-121 | 1 ცალი | 1050 | 1050 | 50 |
| | | ფურც.ლითონ.საჭრ.მაკრატ. ნ-475 | 1 ცალი | 50 | 50 | 5 |
| | | მრგვლადსახერხი ჩარხი ზუ-133 | 1 ცალი | 400 | 400 | 20 |
| | | ხის დამამუშავებელი ჩარხი | 1 ცალი | 200 | 200 | 10 |
| | | ხის სახეხი მოწყობილობა | 1 ცალი | 180 | 180 | 10 |
| | | სახარატო ჩარხი | 1 ცალი | 900 | 900 | 50 |
| 26 | შპს „ნავთობპროდუქტი“ (ს/ნ №219617859) ქ. ტყიბული, ბარათაშვილის ქ.№2 | სამრეცხაო დანადგარი | 1 ცალი | 4000 | 4000 | 200 |
| | | ავტოგასამართი სადგურის სვეტი | 2 ცალი | 5 | 10 | 1 |
| | | ელექტროპულტი | 1 ცალი | 5 | 5 | 1 |
| | | ამწე | 1 ცალი | 75 | 75 | 5 |
| | | სასწორი | 1 ცალი | 750 | 750 | 40 |
| | | ტრანსფორმატორი 250 კვტ | 1 ცალი | 6000 | 6000 | 300 |
| | | მოტოპომპა | 1 ცალი | 50 | 50 | 5 |
| | | ნასოსი (ტუმბო) | 1 ცალი | 175 | 175 | 10 |
| | | შესადუღებელი აპარატი | 1 ცალი | 150 | 150 | 10 |
| | | კარადა | 2 ცალი | 30 | 60 | 5 |
| | | მაგიდა | 4 ცალი | 18.75 | 75 | 1 |
| | | ტუმბო | 2 ცალი | 5 | 10 | 1 |
| | | სპეცავტომობილი – “კო-5036”, სარ. №ГРЕ 67-64 | 1 ცალი | 400 | 400 | 20 |
| | | ტრაქტორი “DT-75B”, გამოშვების წელი 1991, საქარხნო №834004 | 1 ცალი | 4000 | 4000 | 200 |
| | | მინი ტრაქტორის ურიკა | 1 ცალი | 75 | 75 | 8 |
| | | მინი ტრაქტორის ძრავი №504153 | 1 ცალი | 500 | 500 | 25 |
| | | ავტომობილი “გაზ-53-04” სარ.№ГРВ 10-79 | 1 ცალი | 450 | 450 | 23 |
| | | ავტომობილი “გაზ-52-04” №ГРЖ 65-01 | 1 ცალი | 475 | 475 | 24 |
| | | ავტომობილი “გაზ-24” №CCC-455 | 1 ცალი | 100 | 100 | 5 |
| | | ღობე ლითონის (შესაძლებელია გაიყიდოს ცალ-ცალკე) | 165 ცალი | 8 | 1320 | 1 (ყოველი ერთეულის შემთხვევაში) |

მესამე პირებს რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარუდგინონ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს.
აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე (302006000) წინასწარ შეიტანოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2 %, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.
აუქციონზე გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც ვაჭრობის მსვლელობისას დადგენილი ბიჯის დამატებით დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს.
ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი ან 5000 ლარი, უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააცნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს, უფლება აქვს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.
დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს მისამართზე ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16 ტელ: 26-12-68 : 26-12-69.

ან ეწვიეთ ვებ გვერდს მისამართზე: www.auction.gov.ge

## შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2009 წლის 30 სექტემბრის N212 ნომერში გამოცხადებულ აუქციონში, შპს "რკინიგზის ტელეკომის" 100% წილის რეალიზაციაზე, სააუქციონო პირობებში ცვლილებების შეტანის შესახებ, შემდეგი რედაქციით;

1. მუხლი 5: **რეალიზაციის ფორმა:** ორეტაპიანი აუქციონი;

2. **განაცხადების მიღების ვადა:** 2009 წლის 30 სექტემბრიდან 2009 წლის 16 ნოემბრის ჩათვლით, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე.

3. **აუქციონი ჩატარდება:** 2009 წლის 23 ნოემბერს 14:00 საათზე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციულ შენობაში.

4. ***აუქციონის შედეგების ოქმის შედგენა, დამტკიცება და ნასყიდობის ხელშეკრულების დადება***

დაემატოს შემდეგი სახის პუნქტები:

- აუქციონის პირველ ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია გადაეგზავნება შუალედურ კომისიას, რომელიც ერთი კვირის ვადაში შეისწავლის წარმოდგენილ განაცხადებს და მიიღებს გადაწყვეტილებას მონაწილეთა ნუსხის თაობაზე, რომლებსაც დაეგზავნებათ მოწვევა აუქციონზე მონაწილეობის მისაღებად.

- შუალედური კომისიის გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ოქმის სახით, რომელსაც ხელს მოაწერენ კომისიის თავმჯდომარე, წევრები და კომისიის პასუხიმგებელი მდივანი;

- აღნიშნულ ოქმზე დაყრდნობით შპს "საქართველოს რკინიგზა" გაუგზავნის მოწვევას მონაწილეთა ნუსხაში მოხვედრილ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს;

- შპს "საქართველოს რკინიგზის" მუდმივმოქმედ სააუქციონო-საკონკურსო კომისის მიერ გამართულ აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ იმ პირებს, ვინც დასაშვებად იქნება ცნობილი შუალედური კომისიის მიერ.

*5. "აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები"*

1. მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით. უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე თარგმნილი სათანადო წესით დამოწმებული დოკუმენტაცია.

- იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს. უცხო ქვეყნის იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე თარგმნილი სათანადო წესით დამოწმებული დოკუმენტაცია.

- სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციისა და "მონაწილის ბილეთის" შეძენის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონის პირველი ეტაპის მონაწილის სტატუსს.

- იმ პირებს, ვინც არ იქნება დაშვებული აუქციონის მეორე ეტაპზე მონაწილეობის მისაღებად და აუქციონში მონაწილე, დამარცხებულ კომპანიას გადახდილი "ბე" უკან დაუბრუნდება.

*შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2009 წლის 30 სექტემბრის N212 ნომერში გამოცხადებული სააუქციონო ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.*

თვალის მიკროქირურგიის
ჯავრიშვილის კლინიკა
"ოფთალმიჯი"
ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი
მოძრავი საოპერაციო ბლოკით
სიახლე!
მნიშვნელოვანი ფასდაკლება
კატარაქტის ოპერაციაზე
ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

GEONET myhost
შენი ადგილი ინტერნეტში
www.myhost.ge
3 თვე უფასო
ჰოსტინგი
470000
info@myhost.ge
აქცია

# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი**

**შესყიდვის ობიექტი – ვიდეოსათვალთვალო სისტემები (მონტაჟით)**

**1.** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს ვიდეოსათვალთვალო სისტემების (მონტაჟით) შესყიდვაზე.

**შესყიდვის ობიექტი:**

| საქონლის დასახელება | | განზომილების ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| **ვიდეოსათვალთვალო სისტემები (მონტაჟით)** | ქსელური მართვის მოძრავი (IP) ვიდეოკამერა, დღე/ღამის რეჟიმით, გარე გამოყენებისთვის | ცალი | 11 |
| | ქსელური მართვის მოძრავი (IP) ვიდეოკამერა დღე/ღამის რეჟიმით, შიდა გამოყენებისთვის | ცალი | 4 |
| | ქსელური (IP) ფიქსირებული ვიდეოკამერა დღე/ღამის რეჟიმით ინფრაწითელი განათებით, გარე გამოყენებისთვის | ცალი | 25 |
| | ქსელური ფერადი (IP) ფიქსირებული ვიდეოკამერა შიდა გამოყენებისთვის | ცალი | 69 |
| | ვარიფოკალური ლინზა | ცალი | 25 |
| | ქსელური ჩამწერი მოწყობილობა 8 არხიანი (NVR/DVR) | ცალი | 17 |
| | ქსელური ჩამწერი მოწყობილობა 16 არხიანი (NVR/DVR) | ცალი | 2 |
| | სერვერის აქსესუარი (გადამყვანი მოწყობილობა) | ცალი | 1 |
| | სერვერის აქსესუარი (გადამყვანი მოწყობილობა) | ცალი | 1 |
| | კედლის რეკი | ცალი | 19 |
| | უწყვეტი კვების ბლოკი UPS, ჩამწერებისთვის და კამერებისთვის | ცალი | 19 |
| | გარე მიერთების მყარი დისკი | ცალი | 2 |
| | სერვერის ოპერაციული სისტემა | ცალი | 1 |

**2.** ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

**3.** ვიდეოსათვალთვალო სისტემების (მონტაჟით) მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. მიწოდება (მონტაჟით) უნდა განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრული პირობებით, დოკუმენტაციაში მითითებული მიწოდების ადგილის შესაბამისად.

**4.** პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში 2009 წლის 26 ნოემბერს 09:00 საათიდან 14:00 საათამდე მე-17 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 **იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა შესაბამისად თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ;

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

5.2 **ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან პირის ქმედუნარიანობის შესახებ;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5.3 **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა)სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;

**18.**

ბ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ.

**6.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტია (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას).

**7.** სატენდერო წინადადება შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

| № | შეფასების კრიტერიუმი | პრიორიტეტულობის კოეფიციენტები |
|---|---|---|
| 1 | სატენდერო წინადადების ღირებულება | **0,50** |
| 2 | საგარანტიო პირობები | **0,35** |
| 3 | მიწოდების ვადები | **0,15** |
| | **სულ:** | **1,00** |

**8.** სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე თუ პრეტენდენტი მე-4 პუნქტში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტში მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, თუ რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული არ იქნება შეფასებისათვის აუცილებელი ინფორმაცია მე-7 პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

**9.** თუ წინამდებარე შესყიდვის ფარგლებში, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ გათვალისწინებული იქნება სუბკონტრაქტორების ჩართვაც, მაშინ, სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტის მოთხოვნები სავალდებულო იქნება ასევე ყველა სუბკონტრაქტორისათვის.

**10.** ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმების დროს, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

**11.** შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება მე-5 და მე-6 პუნქტებში აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია.

**12.** ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს შეეძლებათ (მე-16 პუნქტში აღნიშნული მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) 2009 წლის 06 ნოემბრის 09:00 საათიდან 2009 წლის 25 ნოემბრის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ქ. თბილისი 0114, გორგასლის ქ. №16, მე-8 სართული ოთახი №8-9, სატენდერო კომისიის აპარატი.

**13.** ტენდერში მონაწილეობის მსურველ ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

**14.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 26 ნოემბერს 14:00 საათზე.

**15.** ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

**16.** სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი - 200 ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღები – ხაზინის ერთიანი ანგარიში**
**ანგ. №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302006000**
**გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, ვიდეოსათვალთვალო სისტემები (მონტაჟით), საქართველოს ფინანსთა სამინისტრო**

და წარადგინოს გადახდის დამადასტურებელი საბუთი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში მე-17 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

**17.** შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში. ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, მე-8 სართული, ოთახი №8-9; ტელეფონი: (+99532) 261-337, 261-335; საკონტაქტო პირები: ალექსანდრე თევდორაძე, ირაკლი თადიაშვილი, ელ-ფოსტა: **a.tevdoradze@mof.ge, i.tadiashvili@mof.ge.**

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შპს მოხუცთა პანსიონატი “ჭალარა” საკუთრებაში არსებული ავტოტრანსპორტის აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ.

აუქციონზე გამოტანილი იქნება შემდეგი ავტოტრანსპორტი:

| № | დასახელება | სახელმწიფო ნომერი | გამოშვების წელი | საწყისი გასაყიდი ფასი ლარებში |
|---|---|---|---|---|
| 1 | ავტომ. ოპელ-ვექტრა | SKS-060 | 1989 | 700 |

აუქციონში მონაწილეობის წინასწარ შესატანი “ბე” შეადგენს ქონების საწყისი გასაყიდი ფასის 10%. ბიჯის სიდიდე საწყისი გასაყიდი ფასის 5%-ს. აუქციონში მონაწილეობის ბილეთის ფასი 10 (ათი) ლარია.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განაცხადი მიიღება პრესაში ამ საინფორმაციო ცნობის გამოცხადებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში 11:00 საათიდან 17:00 საათამდე. სამუშაო დღეებში მისამართზე: ქალაქი ბოლნისი, ს.ს. ორბელიანის 43ა.

აუქციონი ჩატარდება გაზეთში გამოცხადებიდან ოცდამეათე დღეს ქალაქ ბოლნისში, ს.ს. ორბელიანის 43ა 17:00 სთ-ზე. იმ შემთხვევაში თუ განაცხადის მიღების ოცდამეათე დღე და აუქციონის ჩატარების დღე დაემთხვა არასამუშაო დღეს, მაშინ განაცხადის მიღება შეწყდება და აუქციონი ჩატარდება მომდევნო დღეს.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა აუქციონის რეგისტრატორს უნდა წარუდგინონ განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, სასურველი შესასყიდი ქონების დასახელებას და საწყის ფასს.

“ბე”-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში).

სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის წარმოდგენის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

მინდობილობას თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით.

“ბე”-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს ანგარიშზე:

სახალხო ბანკის ბოლნისის ფილიალი
ა/ა – 36020260
ს/კ – 225377277
ბანკის კოდი – 220101429

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ: ქალაქი ბოლნისი, ს.ს. ორბელიანის 43ა.

ტელეფონი: 895 96-96-89, 8-258-2-28-37.